ISSN 1987-6890

ეკონომისტი
EKONOMISTI

ეძღვნება ინსტიტუტის დაარსების 65-ე და აკადემიკოსის პაატა გუგუშვილის დაბადების 105-ე წლისთავს

Is Dedicated to 65-th Anniversary of the Foundation of the Institute and the 105-th Anniversary of Academician Paata Gugushvili

3

2 0 1 0

UDC33
ე-49

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

მაისი
ივნისი 3 2010

მთავარი რედაქტორი რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები:
ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, ლეო ჩიქავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები:
იური ანანიაშვილი, როზეტა ასათიანი, კლიმენტი აჩელაშვილი, თემურ ბერიძე, გიორგი ბერულავა, ვახტანგ ბურდული, რევაზ გოგოხია, მიხეილ თოქმაზიშვილი, რევაზ კაკულია, თემურ კანდელაკი, მურმან კვარაცხელია, ალფრედ კურატაშვილი, იაკობ მესხია, ელგუჯა მექვაბიშვილი, გიორგი პაპავა, შშანგი სამადაშვილი, როლანდ სარჩიმელია, ავთანდილ სულაბერიძე, თემურ შენგელია, თინა ჩხეიძე, ნოდარ ჯითანავა, ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიბუტი.

აკადემიური დოქტორები:
ნანული არევაძე, ნანა ბიბილაშვილი, მერაბ გველესიანი, ლინა დათუნაშვილი, ლია თოთლაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ეთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, თეა ლაზარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), იზა ნათელაური, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მამუკა ხუსკივაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ჯავახიშვილი.

უცხოელი წევრები:
ანა ახვლედიანი (დიდი ბრიტანეთი, პასუხისმგებელი მდივანი უცხოეთში), ელდარ ისმაილოვი (აზერბაიჯანი), დავით კურტანიძე (აშშ, მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანტანას მაძსტიტუსი (ლიტვა), ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია), მიხეილ როკეტლიშვილი (აშშ), სლავომირ პატრიცკი (პოლონეთი), დიმიტრი სოროკინი (რუსეთი), ანდრეი ჰერმანი (პოლონეთი).

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე.

თბილისი
Paata Gugushvili Institute of Economics

EKONOMISTI

International Scientific-analytical Journal
Published from January 2009

May
June

3

2010

Editor-in-chief **Ramaz Abesadze**

SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

CORRESPONDING MEMBERS OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:
Leo Chikava, Vladimer Papava, Avtandil Silagadze

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:
Klimenti Achelashvili, Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gogokhia, Mikhail Jibuti, Revaz Kakulia, Temur Kandelaki, Eter Kharaishvili, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Giorgi Papava, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze, Mikhail Tokmazishvili.

ACADEMIC DOCTORS:
Nanuli Arevadze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Lia Totladze (executive secretary).

FOREIGN MEMSERS:
Anna Akhvlediani (Great Britain, executive secretary abroad), Eldar Ismailov (Azerbaijan), David Kurtanidze (USA, deputy editor-in-chief abroad), Antanas Mackstitus (Lithuania), Vladimir Menshikov (Latvia), Slavomir Patritski (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Dmitri Sorokin (Russia), Andrei Herman (Poland)

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

Tbilisi



ინსტიტუტის დაარსების 65-ე და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადების 105-ე წლისთავის გამო[1]

2009 წლის 29 ივნისს პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65 წელი შესრულდა, ხოლო 2010 წლის 28 ოქტომბერს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105 წელი სრულდება.

პირველი თარიღი ინსტიტუტში არაერთი ღონისძიებით აღინიშნა, მაგრამ გადავწყვიტე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და საიუბილეო სხდომა ამ ორი თარიღისათვის ერთად მიგვეძღვნა, ვინაიდან ეს ორი თარიღი ერთმანეთთან განუყრელადაა დაკავშირებული. **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის** სათავეებთან ხომ სწორედ ბატონი პაატა იდგა და 32 წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელი უწყვეტლივ ხომ ბატონი პაატა იყო.

ჟურნალ ეკონომისტის წინამდებარე საიუბილეო ნომერი სწორედ ამ ორ თარიღს ეძღვნება.

რასაკვირველია, ბატონი პაატა ისედაც არ დააკლებდა ძალისხმევას საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარების დიდ საქმეს, მაგრამ ინსტიტუტის დირექტორის პოსტზე ყოფნამ ეს ძალისხმევა, შეიძლება ითქვას, გააასკეცა და შედეგი შესაბამისად გაცილებით დიდი მოგვცა. ასევე, ბუნებრივია, ინსტიტუტი რომ არ დაარსებულიყო და ბატონი პაატა ეკონომიკურ მეცნიერებას არ გაჰყოლოდა, ეკონომიკური მეცნიერება მაინც განვითარდებოდა. მაგრამ, ინსტიტუტის დაარსებამ და მის ხელმძღვანელად, წლების განმავლობაში, უნარიანი და ნიჭიერი პიროვნების ყოფნამ საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას არნახული იმპულსი მისცა და პროცესები მნიშვნელოვნად დააჩქარა.

***

ინსტიტუტი ომის წლებში დაარსდა. მისი საშტატო განრიგი საკავშირო სახკომსაბჭოსთან არსებულმა საშტატო კომისიამ 1944 წლის 15 აპრილს დაამტკიცა, მუშაობას კი ინსტიტუტი ფაქტობრივად მაისიდან შეუდგა. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება №734 – "საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ეკონომიკის ინსტიტუტის მოწყობის შესახებ" კი მიღებულ იქნა 1944 წლის 29 ივნისს, რომლის მიხედვითაც, ინსტიტუტის შტატი განისაზღვრა 16 ერთეულით (დირექტორი, სწავლული მდივანი (უფროსი მეცნიერი თანამშომელი), სამი სექტორის გამგე, სამ-სამი უფროსი და უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბიბლიოთეკის გამგე და ოთხი ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალი).

ინსტიტუტის პირველი მეცნიერი თანამშრომლები იყვნენ: პროფ. **პაატა გუგუშვილი** (დირექტორი, განყოფილების გამგე), **აკაკი კაკაბაძე** (სწავლული მდივანი), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. **ნიკოლოზ იაშვილი** (სექტორის გამგე), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. **იოსებ ბაჯაძე** (სექტორის

[1] ზოგიერთი მასალა აღებულია წიგნიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ინსტიტუტი (1944-1994), თბ., 1994.

გამგე), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. **ივანე ჯაში** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. **ლევან ასათიანი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ლუარსაბ კარბელაშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ნიკოლოზ ტყეშელაშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ნიკანდრო ჯაკობია** (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი), **შურა მარგველაშვილი** (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ია ყიფშიძე** (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი), **მარი კაპანელი** (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი). შემდეგ უახლოეს წლებში (1945-1950) ინსტიტუტში მუშაობას იწყებენ: **ფილიპე გოგიჩაიშვილი, ვასილ ჩანტლაძე, ვალერიან მელქაძე, სერგი ბერაძე, ვალერიან ბახტაძე, კირილე ღოღობერიძე, მიხეილ გველესიანი, მიხეილ კახეთელიძე, ვლადიმერ პაპავა, ნიკო დგებუაძე, დიმიტრი ქორიძე, ანდრო ფაცურია, ნიჟა ხურციძე, რაფიელ ხარბედია, ბექირბი ხასია, აპოლონ ნუცუბიძე, მამულო კეკელიძე, ქეთევან დადიანი.**

ინსტიტუტის პირველ სამეცნიერო საბჭოში შედიოდნენ: პროფესორი **პაატა გუგუშვილი** (ინსტიტუტის დირექტორი), აკადემიკოსი **სიმონ ჯანაშია,** აკადემიკოსი **ნიკო კეცხოველი**, პროფესორები: **ფილიპე გოგიჩაიშვილი, გიორგი გეხტმანი** და **ნიკოლოზ ქოიავა**, დოცენტები: **აკაკი კაკაბაძე** (ინსტიტუტის სწავლული მდივანი), **იოსებ ბაჯაძე, ნიკო იაშვილი, ივანე ჯაში, ლუარსაბ კარბელაშვილი, ნიკოლოზ ტყეშელაშვილი, ირაკლი მიქელაძე**, საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარი **კონსტანტინე ციმაკურიძე**, სტატისტიკის სამმართველოს უფროსი **გ. ფერაძე**, მიწსახკომის საკოლმეურნეო განყოფილების უფროსი, დოცენტი **შ. ჭელიძე.**

ინსტიტუტში, თავდაპირველად, ნავარაუდევი იყო სამი – სოფლის მეურნეობის ეკონომიკის (**პროფ. ნიკო იაშვილი**), მრეწველობის ეკონომიკის (დოც. **იოსებ ბაჯაძე**) და ვაჭრობის ეკონომიკის სექტორების გახსნა. მაგრამ, შემდეგ, ვაჭრობის ეკონომიკის სექტორის ნაცვლად დაარსდა სახალხო მეურნეობის ისტორიის სექტორი (პროფ. **პაატა გუგუშვილი)**

ინსტიტუტში სხვადასხვა დროს ეკონომიკის განხრით ფუნქციონირებდა შემდეგი განყოფილებები: სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განყოფილება (გამგეები: ემდ, პროფ. **ნიკო იაშვილი,** ემდ, პროფ. **აპოლონ ნუცუბიძე,** ემდ, პროფ. **მიხეილ კახეთელიძე,** ემდ, პროფ. **ამირან ჯიბუტი**); სახალხო მეურნეობის ისტორიის (აკად. **პაატა გუგუშვილი)**; მრეწველობის ეკონომიკის (ემკ **იოსებ ბაჯაძე,** ემდ, პროფ. **კანდიდ ჩარკვიანი,** აკად. **ავთანდილ გუნია**); სოციალისტური წარმოების გაადგილების (ემდ **აკაკი კაკაბაძე**); პოლიტიკური ეკონომიის განყოფილება (აკად. **ავთანდილ გუნია,** ემდ, პროფ. **აპოლონ ნუცუბიძე,** ემკ **მერაბ გველესიანი**); სტატისტიკის (ემდ, პროფ. **მიხეილ კახეთელიძე**); მიმოქცევის (ემდ, პროფ. **აკაკი კაკაბაძე**); სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის (აკად. **პაატა გუგუშვილი**); საბჭოთა ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის განვითარების (ემდ, პროფ. **ბექირბი ხასია**); საქართველოს ეკონომიკის ისტორიის (ემდ, პროფ. **ბექირბი ხასია, ემკ ნათია შიოლაშვილი**); სოციოლოგიის (აკად. **პაატა გუგუშვილი)**; აღრიცხვისა და ფინანსების (ემკ **შალვა ბურდული**); სოციალისტური აღწარმოების (აკად. **ავთანდილ გუნია**); საქართველოს ეკონომიკის განვითარების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილება (**ემდ, პროფ. მიხეილ ჯიბუტი, ემდ. მიხეილ თოქმაზიშვილი, ემდ, პროფ. ვალერიან დათუკიშვილი**); მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკურ პრობლემათა (აკად. **ავთანდილ გუნია, ილია რუბინშტეინი,** ემდ

თამაზ ჩიკვაიძე); აღწარმოებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის (ემდ **არჩილ თეთრაული**); აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურ პრობლემათა (ემკ **დურსუნ დიასამიძე,** ემკ **თენგიზ ქავთარაძე**); ეკონომიკური განვითარების (ემდ **გივი ბედიანაშვილი,** ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე**); არასაწარმოო სფეროს ეკონომიკურ პრობლემათა განყოფილება (ემკ **რევაზ ჯავახიშვილი**); სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გამოცდილების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის (იმდ, პროფ. **ალექსანდრე ბრეგვაძე**); დემოგრაფიისა და სოციოლოგიის (აკად. **პაატა გუგუშვილი,** ემდ **ავთანდილ სულაბერიძე**); ეკონომეტრიკის (ფ/მმკ **როლანდ სარჩიმელია**); მაკროეკონომიკის (ემდ **არჩილ თეთრაული,** ემკ **ნანული არევაძე**); მიკროეკონომიკის (ემკ **ზურაბ სოსელია,** ემდ **თემურ ბერიძე,** ემდ, პროფ. **გიორგი პაპავა, ემდ, პროფ. რამინ მითაიშვილი,** ემკ **იზა ნათელაური**); საფინანსო და საბანკო სისტემების (ემდ **მიხეილ როკეტლიშვილი, თინა ქურდაძე**); რეგიონული ეკონომიკის (ემკ **ვახტანგ ბურდული**); აგრარული ეკონომიკის (ემკ **დურსუნ დიასამიძე**); ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის (ემდ, **პროფ. გიორგი წერეთელი**); ეკონომიკურ პროცესთა მართვის (ემდ, **პროფ. გიორგი ბერულავა**); ფინანსების, ბუღალტრული აღრიცხვის, სტატისტიკისა და აუდიტის (ემკ **თეა ლაზარაშვილი**); აგრარული, რეგიონული ეკონომიკის (ემდ **ვახტანგ ბურდული**); ეკონომიკური ინფორმატიკის (ემკ **ნანა ბიბილაშვილი**); ეკონომიკური აზრისა და სახალხო მეურნეობის ისტორიის (ემდ, **პროფ. ბექირბი ხასია**); მართვის ეკონომიკური პრობლემების ლაბორატორია (ემდ **ვახტანგ ბურდული**); სისტემური გამოკვლევებისა და ქ. თბილისის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიის ლაბორატორია (ემდ **გივი ბედიანაშვილი**); ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების სექტორი (ემდ **როლანდ სარჩიმელია**); ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ეკონომიკურ პრობლემათა ლაბორატორია (ემკ **თენგიზ ხოშტარია, ემდ ლეო ჩიქავა**); აღრიცხვისა და ფინანსების მართვის ავტომატიზებული სისტემის ფუნქციონირების ეკონომიკური ეფექტიანობის ჯგუფი (ემკ **შალვა ბურდული**); შრომის ესთეტიკის ლაბორატორია (**ფ/მმდ ა. ჩხარტიშვილი**); სოციალური ინფრასტრუქტურის ეკონომიკის ლაბორატორია (ემკ, **დოც. რევაზ ჯავახიშვილი**); ინფორმატიკის ლაბორატორია (ემკ **გივი ლემონჯავა**); საგარეო ეკონომიკური კავშირების ლაბორატორია (ემკ **იზა ნათელაური**); მარკეტინგის ლაბორატორია (ემკ **მალხაზ შუბითიძე**); მენეჯმენტის ლაბორატორია (ემკ **თამაზ აქუბარდია**); მეურნეობრიობის ახალი ფორმების ლაბორატორია (ემდ **უშანგი სამადაშვილი**); რეგიონული მართვის ლაბორატორია (ემდ **ვახტანგ ბურდული**); აგრობიზნესის ლაბორატორია (ემკ **თენგიზ ქავთარაძე**); სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობათა კვლევის ლაბორატორია (ემკ **ლინა დათუნაშვილი**); ენერგოეკოლოგიის ეკონომიკურ პრობლემათა ლაბორატორია (ემდ **რამაზ აბესაძე**);

თავისი არსებობის მანძილზე ინსტიტუტმა არაერთგზის განიცადა ცვლილებები. 1957 წელს მის შემადგენლობაში შეიქმნა სამართლის განყოფილება, რომელიც მალე სექტორად გარდაიქმნა (ხელმძღვანელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **თინათინ წერეთელი**) და რის გამოც 1958 წელს **ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი** ეწოდა. 1988 წელს სამართლის სექტორი სამართლის ცენტრად გადაკეთდა (**პროფ. თამაზ შავგულიძე**).

ინსტიტუტში სამართლის სექტორი ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარების კერად იქცა. მის წიაღში იურისტ მეცნიერთა მთელი თაობა აღიზარდა, რომელთა ნაშრომები მრავალ უმნიშვნელოვანეს პრობლემას (კრიმინოლოგიის, საერთაშორისო სამართლის, სახელმწიფოსა და სამართლის, სამოქალაქო სამართლის და სხვ,) ეძღვნება, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს

ეროვნული სამართალშემოქმედების წინსვლაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **თინათინ წერეთელის** მოღვაწეობა, რომლის სამეცნიერო შრომებმა ეროვნულ იურიდიულ მეცნიერებას საყოველთაო აღიარება მოუტანა. ასევე აღსანიშნავია **ისიდორე დოლიძის, ვლადიმერ მაყაშვილის, თამაზ შავგულიძის, დავით ფურცელაძის, გიორგი ნადარეიშვილის, გივი ჟვანიას, თენგიზ ლილუაშვილის, ოთარ გამყრელიძის, იაშა ფუტკარაძის, ჯონი ხეცურიანის, ბესარიონ ზოიძისა და სხვათა ნაშრომები.**

1973 წლიდან ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ფუნქციონირება დაიწყო ეკონომიკურ-მათემატიკური კვლევისა და მათემატიკური სტატისტიკის სექტორმა (ხელმძღვანელი ფ/მმდ, პროფ. **გვანჯი მანია**). სექტორი წარმოდგენილი იყო შემდეგი განყოფილებების სახით: ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის (**ელიზბარ ნადარაია,** 1981 წლიდან ფ/მმკ **თენგიზ შერვაშიძე**); მართვადი შემთხვევითი პროცესების სტატისტიკის (ფ/მმკ **რევაზ ჩიტაშვილი**); სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირებისა და ოპტიმალური პროგრამირების (ფ/მმკ **როლანდ სარჩიმელია**); შემთხვევითი პროცესების სტატისტიკის განყოფილება (ფ/მმკ **ომარ ღლონტი**); სტატისტიკურ გადაწყვეტილებათა (ფ/მმკ **ესტატე ხმალაძე**). სექტორში ასევე ფუნქციონირებდა პროგნოზირების მეთოდოლოგიის ჯგუფი (**ვიქტორ სარაჯიშვილი**).

1989 წელს ინსტიტუტს კვლავ ეკონომიკის ინსტიტუტი ეწოდა, ხოლო 1991 წლიდან მას მისი დამაარსებლის, **აკადემიკოს პაატა გუგუშვილის** სახელი მიენიჭა.

ინსტიტუტის ბაზაზე 1963, 1989 და 1991 წლებში შეიქმნა სამი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი: **საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის ინსტიტუტი.**

ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორები მისი დაარსებიდან იყვნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **პაატა გუგუშვილი** (1944 – 1976), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ავთანდილ გუნია** (1976 – 1991), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ვლადიმერ პაპავა** (1991 – 1996), ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი წერეთელი** (1996 – 2008).

2006 წელს იგი გახდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი და **ეწოდა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი.**

ამჟამად ინსტიტუტში ფუნქციონირებს ეკონომიკური თეორიის (ემდ, პროფ. **ალფრედ კურატაშვილი**); მაკროეკონომიკის (ემკ **ნანული არევაძე**); ბიზნესის პრობლემათა კვლევის (ემდ, პროფ **გიორგი ბერულავა**); საჯარო ეკონომიკის (ემკ **თეა ლაზარაშვილი**); ინოვაციებისა და საერთაშორისო კონკურენციის (ემკ **იზა ნათელაური**); სექტორული და რეგიონული ეკონომიკის (ემდ **ვახტანგ ბურდული**); მდგრადი ეკონომიკური განვითარების განყოფილება (**ემკ მამუკა ხუსკივაძე**).

ინსტიტუტის ახალი წესდების შესაბამისად მეცნიერ თანამშრომელთა მიერ აირჩევა სამეცნიერო საბჭო. ამჟამად სამეცნიერო საბჭო არჩეულია შემდეგი შემადგენლობით: პროფ. **თინა ჩხეიძე** (თავმჯდომარე), ემკ **ნანა ბიბილაშვილი** (თავმჯდომარის მოადგილე), ემკ **თეა ლაზარაშვილი** (თავმჯდომარის მოადგილე), **ლინა დათუნაშვილი** (სწავლული მდივანი), ემდ პროფ. **ალფრედ კურატაშვილი**, ემდ **ვახტანგ ბურდული**, ემდ **გიორგი ბერულავა**, ემკ **იზა ნათელაური**, ემკ **მამუკა ხუსკივაძე**.

ინსტიტუტის არსებობის მანძილზე მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოიცა, განსაკუთრებით აღსანიშნავია **პაატა გუგუშვილის, ფილიპე გოგიჩაიშვილის, ავთანდილ გუნიას, ვასილ ჩანტლაძის, ვლადიმერ პაპავას, ლეო ჩიქავას, გიორგი წერეთელის, თამაზ ჩიკვაიძის, გიორგი პაპავას და სხვათა ნაშრომები.** ბუნებრივია, ინსტიტუტის თემატიკაში საბჭოთა წლებში სოციალიზმის ეკონომიკის საკითხები დომინირებდა (თუმცა **პაატა გუგუშვილის, ფილიპე გოგიჩაიშვილის, ვასილ ჩანტლაძის** და სხვ. ნაშრომებში სოციალიზმამდელი ეკონომიკის საკითხებსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა), 1985 წლიდან კვლევებში თანდათან ძირითად ადგილს გარდამავალი ეკონომიკისა და საბაზრო ეკონომიკის საკითხები იკავებს.

მნიშვნელოვანია “ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების” (მთავარი რედაქტორი **პაატა გუგუშვილი**) კრებულის თხუთმეტი ტომის, კრებულის – "ეკონომიკა" – ექვსი ტომის, ინსტიტუტის თემატური სამეცნიერო ნაშრომთა კრებულის – "საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში" ოთხი ტომის (პროფ. **გიორგი წერეთლის** რედაქციითა და წინასიტყვაობით), “პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის” ორი ტომის (მთავარი რედაქტორი ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე), ასევე** კოლექტიური ნაშრომების "ეკონომიკურად დამოუკიდებელი საქართველოს კონცეპტუალურ-ნორმატიული მოდელი" (ხელმძღვანელი ემდ, პროფ. **ვლადიმერ პაპავა**), "სუვერენული საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფცია" (ხელმძღვანელი აკად. **ავთანდილ გუნია**) და "საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია" (ხელმძღვანელი ემდ, პროფ. **ვლადიმერ პაპავა**) გამოცემა;

მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად, ინსტიტუტში დამუშავდა სისტემურად ურთიერთდაკავშირებული ერთიანი კომპლექსური კვლევის ამსახველი ნაშრომი **"მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები" (ვლადიმერ პაპავა, გ. წერეთელი, ი. მესხია, კ. აჩელაშვილი, ი. ანანიაშვილი).** აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომმა, რომელიც გამოვიდა პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ეგიდით, 2004 წელს მიიღო საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. 2008 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ემდ, პროფ. **ვლლადიმერ პაპავამ** მოიპოვა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფ. გოგიჩაიშვილის სახელობის პრემია წიგნისათვის – **“Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism”,** New York: Universe, 2005.

ინსტიტუტში მისი დაარსების დღიდანვე გაიშალა მუშაობა ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შესაქმნელად. 1947 წელს გამოიცა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიკური ტერმინოლოგია, რომლის შექმნაში მონაწილეობდნენ: **პაატა გუგუშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ვასილ ჩანტ-**

ლაძე, იოსებ ბაჯაძე, ნიკო დგებუაძე, აკაკი კაკაბაძე, ლუარსაბ კარბელაშვილი, აპოლონ ნუცუბიძე, ია ყიფშიძე და სხვ.

სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერების მიზნით, ინსტიტუტში 2009 წლიდან დაარსდა ჩვენი სახელოვანი მეცნიერების: **აკადემიკოს პაატა გუგუშვილის, აკადემიკოს ავთანდილ გუნიასა და პროფესორ გიორგი წერეთლის სახელობის პრემიები,** რომლებიც მიენიჭება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს საუკეთესო წლიური მონოგრაფიის, სტატიისა და გეგმური ნაშრომისათვის (2009 წლის მონაცემებით, საუკეთესო წლიური მონოგრაფიისათვის პაატა გუგუშვილის პრემია მიენიჭა პროფესორ **გიორგი პაპავას).** სამეცნიერო დონის ამაღლების მიზნით 2008 წელს დაარსდა პერიოდული გამოცემა: **"პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული,** რომლის I-II ტომი უკვე გამოვიდა. 2009 წელს დაფუძნდა ინსტიტუტის **სადისკუსიო დარბაზი**, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ქვეყნის მეცნიერ და პრაქტიკოს ეკონომისტთა საუკეთესო წარმომადგენლები (გაიმართა ემდ, პროფ. გიორგი პაპავას წიგნის – “Методология познания качеств реалий смешанной рыночной экономики и паралогизмы”, Стокгольм, CA&CC Press? 2009. – განხილვა, მისი ეგიდით იმუშავებს ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემმუშავებელი კომისიის სხდომები და ა. შ.). აღდგა ეკონომისტთა ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია-სიმპოზიუმების ჩატარების ტრადიცია და ა.შ. ინსტიტუტში დაარსდა **გამომცემლობა**, რომელსაც შესწევს უნარი, გასწიოს ნებისმიერი საგამომცემლო საქმიანობა. **დაფუძნდა სასწავლო და საკონსულტაციო-საექსპერტო ცენტრი,** რომელიც ეკონომიკურ და იურიდიულ საკითხებში კვალიფიციურ დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ პირებს, ფირმებს, სახელმწიფო მოხელეებსა და განახორციელებს ერთ წლამდე ხანგრძლივობის სასწავლო პროგრამებს. შეიქმნა შესაბამისი სამსახური, რომელიც პროექტებს შესთავაზებს ბიზნესს, სახელმწიფო ორგანოებს, უმაღლეს სასწავლებლებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და ა.შ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილია ინსტიტუტში მომზადდეს და გამოიცეს **"დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედია" (მთავარი რედაქტორი ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე).** ამ მიზნის განსახორციელებლად ინსტიტუტში 2009 წელს დაარსდა “**დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის მთავარი რედაქცია”,** რომელიც უკვე შეუდგა ფუნქციონირებას.

დიდია ეკონომიკის ინსტიტუტის როლი ქართული ეკონომიკის პუბლიცისტიკის განვითარებაში. 1958 წელს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივითა და რედაქტორობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა ჟურნალი - "საქართველოს ეკონომისტი", რომელიც 1918 წლის 13 სექტემბერს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ჟურნალის – **"ეკონომისტის"** მემკვიდრედ მოიაზრებოდა. მან 1967 წლამდე იარსება. შემდეგ ჟურნალმა არაერთხელ შეიცვალა ადგილსამყოფელი, სახელწოდება, სარედაქციო კოლეგია და მთავარი რედაქტორი.

2008 წელს ინსტიტუტის დირექციისა და სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით დაარსდა საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი **“ეკო-**

ნომისტი", რომელიც ზემოთ ხსენებული ჟურნალების მემკვიდრედ მოიაზრება და რომელმაც უკვე დაიმსახურა ეკონომიკური საზოგადოების აღიარება.

***

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეცნიერული თვალსაწიერი მეტად ფართოა. მისი ნაშრომები ეძღვნება პოლიტიკური ეკონომიის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ჟურნალისტიკის, ეკონომიკური აზრის ისტორიის პრობლემებს. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 50-ზე მეტი ცალკე წიგნადაა გამოცემული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიების შვიდტომეული – "საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XXსს.", რომელშიც, გარდა იმისა, რომ წარმოდგენილია უმდიდრესი მასალა საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების შესახებ, ასევე გამოვლენილია ეკონომიკური ურთიერთობების არაერთი მანამდე მეცნიერებისათვის შეუმჩნეველი მხარე და მოცემულია მათი სიღრმისეული ანალიზი.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი რომ ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო, ამაზე მეტყველებს იმ ნაშრომთა არასრული ჩამონათვალი, რომელიც ეხება ისტორიის, ჟურნალისტიკის, დემოგრაფიის და სოციოლოგიის აქტუალურ პრობლემებს. აი ისინიც: "ქართული წიგნი 1629-1929 წწ."; "ქართული ჟურნალისტიკა"; "სოციოლოგიური ეტიუდები"; "საქართველოს მოსახლეობა 160 წლის (1800-1960) მანძილზე"; "საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები", "მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა"; "დემოგრაფიის ნარკვევები" და სხვ., რომელთაც, ისე, როგორც მისმა ყველა ნაშრომმა, სპეციალისტთა ფართო გამოხმაურება და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

მრავალმხრივი და ფართოა ბატონი პაატას პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობის სფერო. აღნიშვნის ღირსია მისი საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, რომელთა დადებითი შეფასებები ბატონი პაატა გუგუშვილის ნაშრომების შესახებ კარგადაა ცნობილი.

მინდა, ჩემი წერილი გაზეთში ერთ-ერთი ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებული სტატიის ნაწყვეტით დავასრულო:

"ვისაც პაატა გუგუშვილი უნახავს და, მით უმეტეს ისინი, ვისაც ბედნიერება ჰქონია მასთან თანამშრომლობისა და ახლო ურთიერთობისა, ალბათ დაგვეთანხმებიან, რომ იგი საოცრად მოგვაგონებს ჩვენი წარსულის მწიგნობრებს, თერგდალეულთა პლეადას, დარბაისლობით. ხშირად ამიდევნებია თვალი ქუჩაში მიმავალი პაატა გუგუშვილისათვის ... ასე დადიან აზრითა და ფიქრით დატვირთული ადამიანები, მძლავრი ტალანტის შუქით გაბრწყინებულნი".

* * *

დასასრულ, ინსტიტუტის კოლექტივის სახელით მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ჩვენთან ერთად აღნიშნავს ამ ორ თარიღს – სისხლხორცეულად დაკავშირებულს ქართული ეკონომიკური მეცნიერების ჩამოყალიბებასა და, საერთოდ, საქართველოს მეცნიერულ, კულტურ

ულ და სულიერ განვითარებასთან.

მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც გვერდში ედგა და უდგას ინსტიტუტს წარმატებების თუ დაბრკოლებების გადალახვის დროს. უპირველეს ყოვლისა, მადლობა საქართველოს განათლების სამინისტროსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღანელობას ჩვენდამი ობიექტური დამოკიდებულებისა და დახმარების გაწევისათვის.

მადლობა ჩვენს სახელოვან მეცნიერეკონომისტებს, რომელთა მხარში დგომას ყოველთვის ვგრძნობდით და ვგრძნობთ.

სამარადისო ხსოვნა ბატონი პაატას წმინდა სულს. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს კი შემდეგი წარმატებები ვუსურვოთ.

რამაზ აბესაძე

ზოგიერთი შტრიხი პაატა გუგუშვილის შემოქმედებაში

ავთანდილ სულაბერიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

ციცინო გვრიტიშვილი
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის
მოადგილე სამეცნიერო დარგში

ვლადიმერ სულაბერიძე
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

ოჯახის სოციოლოგიის საკითხები პაატა გუგუშვილის ნაშრომებში

ძალზე რთულია რაიმე ახლის თქმა აკადემიკოს პაატა გუგუშვილზე, როგორც მეცნიერზე, არა იმიტომ, რომ მასზე, როგორც ეკონომისტზე, ისტორიკოსზე, სოციოლოგზე, დემოგრაფზე, ჟურნალისტზე, ლექსიკოლოგზე, ბიბლიოფილზე, პოლიგრაფისტზე და არქეოგრაფზე უკვე ყველაფერია ნათქვამი, არამედ იმიტომ, რომ აქ ჩამოთვლილ ყველა სფეროში განუზომელია პ. გუგუშვილის ღვაწლი და კიდევ წლები და თაობები იქნება საჭირო, რათა სრულად იქნეს გაანალიზებული და შემეცნებული ის მეცნიერული სიღრმე და მომავლის ჭვრეტის უნარი, რაც ამ ბუმბერაზი მეცნიერისთვის იყო დამახასიათებელი. ამიტომაა, რომ მისი მეცნიერული ნაღვაწი ყოველთვის აქტუალურია, ხშირ შემთხვევაში უსწრებს დროს, ზოგადსაკაცობრიო ხასიათისაა.

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს აკად. პაატა გუგუშვილის მოღვაწეობის შეფასება მეცნიერების დარგებში, თუნდაც დემოგრაფიაში. ამაზე არაერთხელ ითქვა და კიდევ ბევრჯერ გახდება მსჯელობის საგანი. ჩვენ ვეცდებით, რამდენადაც სტატიის ფორმატი მოგვცემს საშუალებას, წარმოვაჩინოთ პ. გუგუშვილი, როგორც სოციოლოგიური, სოციალური დემოგრაფიის, ოჯახის სოციოლოგიის ფუძემდებელი და მკვლევარი საქართველოში, რადგან მისი ნაშრომები ამ კუთხით ნაკლებად შესწავლილი და გაანალიზებულია.

აკად. პაატა გუგუშვილის დემოგრაფიული ნაშრომების თუნდაც მხოლოდ სარჩევებისთვის თვალის გადავლება საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ მან საქართველოში პირველმა დაიწყო სოციალური დემოგრაფიის, ოჯახის და ქორწინების სოციოლოგიის საკითხთა შესწავლა და წინა პლანზე წამოსწია ჩვენი საზოგადოების ყველაზე პრობლემური ასპექტები, ისტორიულ ჭრილში გააშუქა და გაანალიზა ისინი. ამ კუთხით ჩვენთვის, როგორც დემოგრაფებისათვის, განსაკუთრებით საინტერესოა მისი "დემოგრაფიული ნარკვევები" (1986), "მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა" (1985), უფრო ადრინდელი – "საქარ-

თველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები" (1973) და "თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის შესახებ" (1966).

აკად. პაატა გუგუშვილისთვის იმთავითვე ნათელი იყო, რომ "დემოგრაფიული პროცესების შესწავლაში, ცხადია, უაღრესად მნიშვნელოვანია ოჯახური ურთიერთობის პრობლემა" და, რომ "ოჯახის სოციოლოგია თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთი ფრიად მიმზიდველი და სადღეისო საგანია"[2].

სავსებით სამართლიანად მიიჩნევდა ბატონი პაატა, რომ მოსახლეობის აღწარმოების, ანუ განახლების შესწავლის საფუძველს ოჯახი და ოჯახური მეურნეობა წარმოადგენს და აუცილებლად თვლიდა ამ ფენომენის შესწავლას, როცა აღნიშნავდა, რომ "მიუხედავად დიდი მიღწევებისა, რაც დემოგრაფიას, სოციოლოგიას, ეთნოგრაფიას დღეისათვის გააჩნია, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ასპექტში ოჯახის სტრუქტურისა და ოჯახური მეურნეობის, როგორც თავისთავად უაღრესად მობილური სოციალური ინსტიტუტის როლი და მნიშვნელობა ჯეროვნად არაა შესწავლილი"[3].

მონოგრაფიული ნაშრომით – "საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები", ფაქტობრივად დაიწყო არა მარტო დემოგრაფიული მეცნიერების ევოლუცია საქართველოში, არამედ დემოგრაფიული საკითხების კვლევა მრავალმხრივი მიმართულებით, მ.შ. სოციოლოგიური დემოგრაფიის კუთხითაც. განსაზღვრავს რა დემოგრაფიის საგნის არსს, მიზანსა და მიმართულებას და განიხილავს რა მსოფლიოს ყველა დროის ცნობილ მოაზროვნეთა შეხედულებებს მოსახლეობის აღწარმოებისა და ოჯახის ურთიერთკავშირის შესახებ, კრიტიკულად აანალიზებს 1920-იან წლებში სქესობრივი მორალისა და ოჯახის საკითხების შესახებ იმდროინდელ საბჭოთა კავშირში არსებულ დისკუსიებზე წარმოჩენილ არასწორ შეხედულებებს[4]. საკვლევი საგნის სიღრმისეული წარმოჩენისათვის იგი აანალიზებს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სტატისტიკის მასალებს მოსახლეობის აღწარმოების შესახებ, ამ ქვეყნებში გატარებულ სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებათა ორგანიზებასა და სახელმწიფოს მიერ მათი ცხოვრებაში გატარების შედეგებს. აკრიტიკებს მსოფლიოში ცნობილი სოციოლოგების (გიდენსი) და დემოგრაფების შეხედულებებს და იძლევა საკუთარ დასკვნებს.

გვსურს კიდევ ერთ ასპექტს შევეხოთ. ზემოაღნიშნული მონოგრაფია უხვად არის გაჯერებული მის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის III და IV კურსის სტუდენტებში ჩატარებული ანკეტური გამოკითხვის მასალებით. საკითხი ეხებოდა ოჯახში ბავშვთა რაოდენობის კვლევას.

სწორედ ამ აღნიშნული გამოკითხვით მან არა მარტო საფუძველი ჩაუყარა ქართულ სოციალურ დემოგრაფიას, არამედ ოჯახში შვილთა ყოლის მოთ-

[2] პ. გუგუშვილი. "საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები", თბ., 1973, გვ. 56.
[3] იქვე, გვ. 8-9.
[4] იქვე, გვ. 63-67.

ხოვნილებების შესწავლით მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევის სოციოლოგიურ-დემოგრაფიული კუთხით კვლევას, რადგან ღრმად სწამდა, რომ "...თუნდაც უაღრესად კეთილშობილური სუბიექტური განწყობილების გამოცხადებით დემოგრაფიულ მოვლენებზე მოხდენის ცდა ისევე ეფემერულია, როგორც ოცნებაში აშენებული კოშკები" და, რომ "...აუცილებელია თვით გამრავლების არსებული ტემპების მამოძრავებელი მექანიზმების აღმოჩენა"[5]. ამ მამოძრავებელი მექანიზმების კვლევა კი სხვა არაფერია, თუ არა რეპროდუქციული განწყობები, მათი ჩამოყალიბებების და მოქმედების საფუძვლები. ამ მიმართულებით, დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიაზე დაყრდნობით, არაერთი მეცნიერული ნაშრომი შეიქმნა ქართველი დემოგრაფების მომდევნო თაობაში (პროფ. გ. წულაძე და სხვები).

1976 წ. თბილისში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაზე პაატა გუგუშვილი გამოვიდა მოხსენებით "ოჯახის ფორმირების შესახებ მოსახლეობის აღწარმოების ასპექტში", სადაც ხაზი გაუსვა, რომ მოსახლეობის აღწარმოება და ოჯახი ერთმანეთს აპირობებს და საკითხის კვლევა ყველა დროის აქტუალური პრობლემა იყო და ასეთად დარჩება მუდამ.

აღნიშნულ მოხსენებაში აკად. პ. გუგუშვილი არ შემოფარგლულა მხოლოდ საქართველოთი და მხოლოდ მცირე პერიოდით. მან განსახილველად დაახლოებით 80 წლიანი პერიოდი აიღო და მოსახლეობის აღწარმოების და ოჯახის პრობლემები ამიერკავკასიის რეგიონისთვის განიხილა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმი, ერთი მხრივ, გამოდის როგორც ოჯახის საშუალო ზომის ზრდა-შემცირების ფაქტორი, მეორე მხრივ კი, ოჯახი წარმოაჩინა, როგორც მოსახლეობის აღწარმოების ტემპის განმსაზღვრელი; ამიერკავკასიაში ოჯახის სულობრივი შემადგენლობის ცვლილება, ქალთა მდგომარეობა და ოჯახის ფორმირებისა და მოსახლეობის აღწარმოების ფაქტორები, ქალის როლის ტრანსფორმაცია ოჯახში, მისი ორმაგი დატვირთვა ოჯახსა და სახელმწიფო სამსახურში, რაც შობადობის შემცირების მნიშვნელოვან ფაქტორად იქნა მიჩნეული. ამავე მოხსენებაში აკად. პაატა გუგუშვილმა საკითხის კვლევა კიდევ ერთი ასპექტით წარმოაჩინა – ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების აღწარმოების პრობლემები ეთნოდემოგრაფიული კუთხით განიხილა.

1960-იანი წლებიდან მაშინდელი საბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობის მკვეთრი შემცირების ძირითად მიზეზად აკად. პ. გუგუშვილს საზოგადოებრივ წარმოებაში ქალების მასობრივი ჩართვა მიაჩნდა. სოციოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე დაასაბუთა, რომ ქალები ყოველდღიურად ორ სამუშაო დღეს ასრულებენ. ოჯახში მათი სამუშაო დღე არ ჩამორჩება სამუშაო დღეს წარმოებასა და ორგანიზაციაში და ორბავშვიანი ოჯახის ფორმირებული მოდელი ბუნებრივ მოვლენად წარმოჩინდება, რაც, თავის მხრივ, მშობლების ახალ მოთხოვნილებას შეესაბამება ბავშვთა აღზრდის მიმართ. ოჯახის საშუალო ზომის და მისი კომპონენტების ცვლილების დინამიკაზე დაყრდნობით, მან ოჯახის სტრუქტურული ვარიაციების მოდელები შემოგვთავაზა.

[5] იქვე, გვ. 7-9.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან აკად. პ. გუგუშვილმა გააააქტიურა სოციოლოგიურ-დემოგრაფიული კუთხით მუშაობა, რისი დადასტურებაცაა ათზე მეტი სტატია ჟურნალებსა და რესპუბლიკურ გაზეთებში.

სოციოლოგიური და საოჯახო სოციოლოგიის კუთხით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბატონ პაატას უკანასკნელი მონოგრაფია "მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა", 1985.

ნაშრომში გაშუქებულია საქართველოსა და ამიერკავკასიის მოსახლეობის აღწარმოების პრობლემები: ქორწინებისა და განქორწინების, სექსუალური მორალის, ოჯახის სტრუქტურის, შობადობის, შვილიანობის და მოსახლეობის დინამიკის სხვა საკითხები.

ნარკვევები შესრულებულია სოციოლოგიური და დემოგრაფიული მეცნიერების მიღწევების საფუძველზე, 1979 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის და მოსახლეობის განვითარებისა და გამრავლების ტემპების შესახებ სტატისტიკური მონაცემების და ანკეტური გამოკითხვის მასალათა გამოყენებით.

თვითონ ავტორის შეფასებით, ნაშრომი მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის მონოგრაფიაა, მაგრამ, სხვა ღირსებებთან ერთად, მან დემოგრაფიაში სრულიად ახალ მიმართულებას – საოჯახო პოლიტიკას[6], დაუდო დასაბამი თუმცა თვით ტერმინი "საოჯახო პოლიტიკა" მას არ გამოუყენებია და იგი მხოლოდ 90-იან წლებში დამკვიდრდა საქართველოში.

ბატონმა პაატამ მეცნიერულად დაასაბუთა, რომ სახელმწიფო პოლიტიკა უშუალოდ ოჯახისკენ უნდა წარიმართოს, რომ ძლიერი ოჯახი ძლიერ სახელმწიფოს ნიშნავს.

ოჯახის პრობლემები და მისი გადაჭრის გზები მონოგრაფიაში მრავალი კუთხითაა წარმოდგენილი. ასეთი მიდგომით ბატონმა პაატამ დაასაბუთა, რომ მხოლოდ დემოგრაფიული პოლიტიკით ვერ გადავჭრით ოჯახში დაგროვილ პრობლემებს და მოსახლეობის ოპტიმიზაციის საკითხებს.

მონოგრაფიაში განხილული საკითხები მრავალფეროვანი და მრავალმხრივია: ქორწინება, ქორწინების გარეშე შობადობა, სექსუალური მორალი, შვილიანობა და ოჯახის გეგმიანობა, ჩვილთა მოკვდაობა, განათლება, ოჯახის სოციალური სამსახურების მომსახურების აქტივიზაცია, ოჯახის ეკონომიკა და სხვა. აქ ჩამოთვლილი თითოეული საკითხი ცალკე კვლევის საგანია ცალკეულ მეცნიერთათვის და კიდევ დარჩება ასეთად მომავალშიც.

არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ბატონ პაატას დამოკიდებულებას მრავალშვილიანობის საკითხისადმი. მისი აზრით, საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, "...ორზე მეტი შვილის აღმზრდელს შეიძლება ვუწოდოთ საერთოდ მრავალშვილიანი დედა და მაშასადამე, მათზე გავრცელდეს ყველა ის დახმარება და შეღავათები, რაც ეძლევა მრავალშვილიანებს"[7]. და კიდევ, "აუცილებელია... მოეწყოს ოჯახების, მრავალშვილიანი დედების სოციოლოგიურ-დემოგრაფიული (ანკეტური გამოკითხვისა და სხვა მონაცემთა მოპოვების მი-

[6] პაატა გუგუშვილი. "მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა". თბ., 1985, გვ. 83-85.
[7] იქვე, გვ. 84.

ხედვით) შესწავლა, რათა ამ გზით მოპოვებული მასალის საფუძველზე დაისახოს მეცნიერულად აუთენტური რეკომენდაციები მრავალშვილიანობის ამა თუ იმ ზომით აღდგენის ღონისძიებათა შემუშავებისათვის"[8].

ცალკე აღნიშვნის ღირსია, რამხელა ყურადღებას უთმობდა ბატონი პაატა სოციოლოგიური გამოკითხვის მეთოდების გამოყენებას დემოგრაფიულ საკითხთა შესწავლაში.

სიცოცხლის ბოლო წლებში, იგი თავის მოსწავლეებთან (ა. სულაბერიძე, ც. გვრიტიშვილი, ნ. ყრუაშვილი, ზ. გალდავა და სხვ.) ერთად, მასალებს აგროვებდა ოჯახში შრომის დანაწილების შესახებ, ხოლო 1977 წლიდან მთელი საქართველოს მასშტაბით ხელმძღვანელობდა დემოგრაფიულ ექსპედიციებს და სპეციალურად შემუშავებული ანკეტების საფუძველზე სოციოლოგიური გამოკითხვის მეშვეობით სურდა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების სპეციფიკურობის გამოვლენა. 1977-1982 წწ. შეივსო 30 000-მდე სოციოლოგიური ანკეტა. სამწუხაროდ, ბატონ პაატას გარდაცვალება და შემდგომ ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები გახდა იმის მიზეზი, რომ ამ ორი უკიდურესად მნიშვნელოვანი სოციალურ-დემოგრაფიული საკითხის კვლევა ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

როდესაც სოციალურ, სოციოლოგიურ დემოგრაფიაში აკად. პ. გუგუშვილის დამსახურებაზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით მის ნაშრომს "თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის შესახებ" (1966), სადაც, ბურჟუაზიული სოციოლოგიის მდგომარეობის განხილვასთან ერთად, კრიტიკულად არის გაშუქებული მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში სოციოლოგიურ მიმართულებათა (ზოგადი და კონკრეტული სოციოლოგიის მთავარი დარგების) ზოგიერთი ძირითადი მომენტი.

სოციოლოგია IV მსოფლიო კონგრესის (იტალია, 1959) ოჯახის სოციოლოგიის სექციის მუშაობის მასალათა გაანალიზებისას, ბ-ნი პაატა ხაზს უსვამდა რა იმ დადებითს, რაც ბურჟუაზიული სოციოლოგიისთვის იყო დამახასიათებელი და შეფარვით მიანიშნებდა მკითხველს პოზიტიურ მომენტებზე, იმდროინდელი კომუნისტური რეჟიმიდან გამომდინარე, იძულებული იყო საკითხი საბჭოური იდეოლოგიის კუთხით წარმოეჩინა. სხვაგვარად ეს ნაშრომი დღის სინათლეს ვერ იხილავდა და მის ავტორს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა.

იგი გაბედულად ეკამათებოდა სოციოლოგიაში ისეთ ავტორიტეტებს, როგორებიც არიან რ. ჰილი (აშშ), ბ. ბარბერი (აშშ), პ. ლაზერსფელდი (აშშ), ტ. მარშალი (ინგლისი), რ. მერტონი, პ. გიონიგი (გფრ) და სხვ. ამავე დროს, უყურადღებოდ არ ტოვებდა მათ ნაშრომებში გამოთქმულ პოზიტივისტურ იდეებსაც.

განიხილავს რა ამერიკული სოციოლოგიის მიღწევებს ოჯახისა და ქორწინების პრობლემების კვლევაში, აგრეთვე დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული ქვეყნების გამოცდილებას, ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ სოციალური დემოგრაფიის საკითხებზე იბეჭდება დიდძალი ლიტერატურა, რიგ უმაღლეს და საშუალო სასწავლებელში შემოღებულია სათანადო სალექციო კურსები და გამოიცემა სპეციალური სახელმძღვანელოები და, რომ ამ "დიდი და დიფერენ-

[8] იქვე, თბ., 1985, გვ. 85.

ცირებული მუშაობის შედეგად" ოჯახისა და ქორწინების სოციოლოგია გაიყო მაკრო და მიკროსოციოლოგიად და, რომ ჩამოყალიბდა პრობლემურ საკითხთა ფართო სპექტრი, მაინც ნათელია, რომ ოჯახის სოციოლოგია ზემოაღნიშნულ ქვეყნებში ოჯახს არ განიხილავს "...იმ კონკრეტულ საზოგადოებრივ, წარმოებრივ ურთიერთობებში, რომელშიც იგი მოძრაობს და, რომელიც საბოლოო გამოვლინებაში განსაზღვრავს მის თავისებურებათა ძირითად მომენტებს"[9]. რამდენადაც ყველაზე ცნობილი ბურჟუაზიული სოციოლოგების აზრითაც კი მეცნიერების განვითარების ერთადერთი გზა ფაქტების ემპირიულ აღწერაშია და არა მათ სოციოლოგიურ განზოგადებაში. სწორედ ასეთი მიდგომის გამო, "თეორიის დატოვების" ტენდენციისთვის უპირატესობის მინიჭების გამო აღნიშნავდა აკად. პაატა გუგუშვილი, რომ ბურჟუაზიული საზოგადოებათმეცნიერება ღრმა კრიზისს განიცდიდა, რომ უმნიშვნელოვანეს სოციალურ მოვლენათა თეორიული ახსნის ნაცვლად წვრილმანი ემპირიული ფაქტების თავმოყრითა და აღწერით დაკმაყოფილება შორს არის მეცნიერული სოციოლოგიიდან.

აკად. პაატა გუგუშვილის მეცნიერული მოღვაწეობა კი სწორედ რომ მასშტაბური აზროვნებისადმი ერთგულება და დემონსტრირება იყო.

[9] პ. გუგუშვილი. "თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის შესახებ". თბ., 1966, გვ. 102.

მოგონებები აკადემიკოს პაატა გუგუშვილზე

ლეო ჩიქავა
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, ემდ, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული
მოღვაწე

პაატა გუგუშვილი – ქართული ეკონომიკური მეცნიერების ჭეშმარიტი რაინდი

აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა, ღვთისაგან უხვად ბოძებული ნიჭიერების, ფართო ერუდიციის, მაღალი ინტელექტის, რთული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ღრმად გააზრება-განზოგადებისა და, ყოველივე ამის საფუძველზე, არაორდინარული დასკვნების გაკეთების შესაშური უნარ-ჩვევების მეოხებით, საქართველოში ეკონომიკური (და არა მარტო ეკონომიკური) მეცნიერების განვითარებაში ისეთივე გამორჩეული ადგილი დაიკავა, როგორიც ისტორიოგრაფიაში ივანე ჯავახიშვილმა, ფსიქოლოგიაში – დიმიტრი უზნაძემ, ფილოსოფიაში – შალვა ნუცუბიძემ, მათემატიკაში – ანდრია რაზმაძემ, მექანიკაში – ნიკო მუსხელიშვილმა, ფიზიოლოგიაში – ივანე ბერიტაშვილმა, ქიმიაში – პეტრე მელიქიშვილმა, გეოგრაფიაში – ვახუშტი ბაგრატიონმა, ენათმეცნიერებაში – არნოლდ ჩიქობქვქმ, გეოგრაფიაში – ალექსანდრე ჯანელიძემ, ქართულ ლიტერატურაში – კორნელი კეკელიძემ, ასტრონომიაში – ევგენი ხარაძემ, ბოტანიკაში – ნიკო კეცხოველმა, არქეოლოგიაში – ანდრია აფაქიძემ და ა.შ. თანაც, იმპერიაში როცა თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტზე თავიანთ პროფესიულ ჭაპანს, მასთან ერთად, ასევე ენერგიულად და სახელოვნად ეწეოდნენ მისი სპეციალობის როგორც მასწავლებლები (ფილიპე გოგიჩაიშვილი, გიორგი გეხტმანი, ბიძინარამიშვილი, ნიკოლოზ ქოიავა, დას ხვ.), ისე უშუალო კოლეგები (ვასილ ჩანტლაძე, ირაკლი მიქელაძე, გიორგი გამყრელიძე, იოსებ ბაჯაძე, ნიკოლოზ იაშვილი, ლუარსაბ კარბელაშვილი და ა.შ.). ქართველ სწავლულ ეკონომისტთა (და არა მარტო ეკონომისტთა) წრეში პ. გუგუშვილი საყოველთაოდ აღიარებულია ეკონომიკური მეცნიერების ჭეშმარიტ რაინდად.

ამის საილუსტრაციოდ, აი, ზოგიერთ საგულისხმო შტრიხი მისი მდიდარი ისტორიული წარსულიდან:

– პ. გუგუშვილს წილად ხვდა ბედნიერება, ყოფილიყო მოწინავე ქართული კულტურისა და მეცნიერების ისეთი ჭეშმარიტი მოჭვაწეობის, როგორც იყვნენ ნიკო ნიკოლაძე, ივანე ჯავახიშვილი და ფილიპე გოგიჩაიშვილი, მაგრამ არც თვითონ დარჩენილა ვალში. მან სულ მალე მტკიცედ დაიმკვიდრე თავისი სახელოვანი და საყოველთაოდ აღიარებული მასწავლებლების ბეჯითი მოწაფისა და ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე მეცნიერული მემკვიდრეობის ღირსეული გამგრძელებლის სახელი. გამოქვეყნებულიორიგინალური მეცნიერული ნაშრომებისათვის, პროფესორების – ფილიპე გოგიჩაიშვილის, ფრიგოლ ნათაძისა და პეტრე პოლიევქტოვის შუამდგომლობით, მას 1938 წელს, საჯარო

დაცვის გარეშე – Honoris Caysa, ერთხმად მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, რაც იშვიათი მოვლენა იყო თსუ-ის (მით უმეტეს, სხვა დაწესებულებების) ისტორიაში;

– 1940 წელს, პ. გუგუშვილმა, სრულიად ახალგაზრდა მკვლევარმა, ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მის სადისერტაციო ნაშრომს – "საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია XIX ს." – მაღალი შეფასება მისცეს უაღრესად მომთხოვნმა და სიმკაცრით ცნობილმა მეცნიერებმა: ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა და ფილიპე გოგიჩაიშვილმა, როგორც ოფიციალურმა ოპონენტებმა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ეკონომიკის სპეციალობით საქართველოში დაცული პირველი სადოქტორო დისერტაცია;

– პ. გუგუშვილის, როგორც მეცნიერისა და მკვლევარის, პროდუქტიულობის შესაფასებლად საკმარისია თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული, მას გამოქვეყნებული აქვს 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (მ.შ. 510 მონოგრაფია) 1100-ზე მეტი ნაბეჭდი თაბახის მოცულობით, რაც დაახლოებით 28-29 სქელკანიან ტომს შეადგენ. მისი ნაშრომებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა 1949-1984 წწ. გამოქვეყნებული მონოგრაფიების შვიდტომეული – "საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვიტარება XIX-XX სს." 5300 გვერდის მოცულობით, რომლის სამი წიგნი გამოცემულია რუსულ ენაზე;

– დღევანდელი თვალსაწიერიდან თუ შევაფასებთ, ნათლად დავინახავთ, თუ რაოდენი წინადხედულობა და გამჭრიახობა გამოუჩენია პ. გუგუშვილს ჯერ კიდევ მაშინ, როცა თავის მთავარ საკვლევ პრობლემას ირჩევდა. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ საბჭოთა პერიოდში მოღვაწე ეკონომისტთა უმრავლესობის ნაშრომები, რომლებიც სოციალისტურ ურთიერთობათა "უპირატესობების" ანალიზს ეძღვნებოდა, სანაგვეში გადასაყრელი გახდა, ბინი პაატას მონოგრაფიებში გაკეთებული დასკვნები კი დღესაც სრი8ულიად ინარჩუნებენ ძალას და ამ პრობლემეტიკაზე მომუშავე ვერ ცერთი მკვლევარი მათ მომავალშიც ვერ აუვლის გვერდს;

– აკად. პ. გუგუშვილი რომ უაღრესად ფართო დიაპაზონის მკვლევარი იყო, ამაზე მეტყველებს მისი მეცნიერული კვლევა-ძიების საკითხთა ფართო წრე. გარდა იმისა, რომ არ დარჩენილა ეკონომიკური მეცნიერების თითქმის არც ერთი დარგი, რომელშიც მას თავისი სიტყვა არ ეთქვას, მან მოამზადა და გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომები ისტორიულ მეცნიერებაშიც. ასევე, კაპიტალური გამოკვლევები მიუძღვნა ჟურნლისტიკას, სოციოლოგიასა და დემოგრაფიას;

– პ. გუგუშვილი იგი არა მარტო დიდი მეცნიერი და გულისხმიერი პედაგოგი, არამედ მეცნიერების დიდი ორგანიზატორიცაა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეც. საკმარისია თუნდაც იმის გახსენება, რომ მეორე მსოფლიო იმის ქარცეცხლიან დღეებში – 1944 წელს მისი ინიციატივით, აქტიური ძალისხმევითა და შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელსაც 32 წლის განმავლობაში თვითონვე ედგა სათავეში. ინსტიტუტიამჟამად კანონზპმიერად ატარებს მისს ახელს;

– აკად. პ. გუგუშვილი წლების განმავლობაში არჩეული იყო ყოფილი სსრ კავშირის სოციოლოგთა ასოციაციის პრეზიდიუმის, ასევე, მსოფლიო სოციოლოგიური ასოციაციის საბჭოთა და აღმასკომის (იტალია) წევრად:

– ცოტა რამ ბ-ნი პაატას პიროვნული პორტრეტის ტაობაზე. ჩემი თვალთახედვით, ის იყო ფრიად დარბაისლური აღნაგობის, პირველი შეხვედრისთანავე მდიდარი შთაბეჭდილების მომხდენი, საოცრად მომხიბლავი, მუდამ ბრძნული იუმორის მქონე, ყოველმხრივ განსწავლული და ფართოდ ერუდირებული პიროვნება, რომელიც მეცნიერულ დისკუსიაში ჩაბმისას ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში. ამის ნათელი მაგალითია 1947 წელს ძირითადად მისი ავტორობით გამოცემული "ეკონომიკის ტერმინოლოგიის" საჯარო განხილვასთან დაკავშირებით თსუ-ში გამართული ფართო მასშტაბიანი დისკუსია, რომელშიც, ეკონომისთებთან ერთად, მონაწილებდნენ იურისტები, ისტორიკოსები, ფილოლოგები, ინჟინრები, აგრონომები და სხვ. იგი გამძვინვარებული ვეფხვივით იგერიებდა "აგრესიულად" განწყობილი ოპონენტების შემოტევებს და, შეიძლება ითქვას, თითქმის ყველას "სუფთად"უგებდა.

ბ-ნი პაატა იყო პრინციპული, მომთხოვნი, შეიძლება ითქვას, საშუალოზე უფრო მკაცრი და მეცნიერულ კამათში უშედავათო, რომელიც ობიექტურობის ფარგლებს თითქმის არასოდეს გასცილებია და რომელსაც არასოდეს შეუშლია ხელი მისთვის, რომ ადამიანებთან ურთიერთობაში უხვად გადმოეფრქვია სითბო და სიკეთე, გაჭირვებულისათვის გაეწოდებინა დახმარების ხელი, პერსპექტიული ახალგაზრდები დაეყენებინა სწორ გზაზე და შეექმნა მათთვის ხელსაყრელი სამუშაო პირობები.

თავმდაბლობისა და სისადავის მიუხედავად, მასთან ურთიერთობა არ იყო ადვილი. იგი თუნდაც უბრალო შეცდომასა თუ უტაქტობას საკუთარ შვილსაც არ პატიობდა, ამიტომ მუდამ ფრთხილი და მობილიზებული უნდა ყოფილიყო, რომ არაფერი შეშლოდა, მასთან ურთიერთობაში რაიმე მოუზომელი ნაბიჯი არ გადაგედგა და მისი "მსხვერპლი" არ გამხდარიყავი.

მე, როგორც მის ერთ-ერთ მოწაფესა და (მისი სიტყვებით რომ ვთქვათ) უმცროს მეგობარს დიდ კმაყოფილებას მგვრის ის, რომ წილად მხვდა მოკრძალებული წვლილის შეტანა მისი ორი საოცნებო (მადგრამ იმდროისათვის მიუღწეველი) მიზნის რეალობად ქცევაში. ერთი ეხება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დაარსებას, ხოლო მეორე – 40 ათ. ტერმინისაგან შემდგარი რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული "ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგიის" სათანადო კონდიციამდე მიყვანაასა და გამოცემას.

აკად. პ. გუგუშვილისნაირი სასიქადულო პიროვნებები თავისთავად იმკვიდრებენ საპატიო ადგილს ერის ცხოვრებაში, მისი უკვდავება მის მეცნიერულ მემკვიდრეობაშია, რომელსაც მომავალი კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს.

ელგუჯა მექვაბიშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ეკონომიკის პრინციპების კათედრის გამგე,
სრული პროფესორი

ბუმბერაზი მეცნიერი, ეროვნული მოღვაწე, მზრუნველი პიროვნება

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილის წვლილი ფასდაუდებელია ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში. ბატონი პაატა იყო ენციკლოპედიური განათლების მქონე ადამიანი, უდიდესი მეცნიერი, უბადლო მოპაექრე, პატრიოტი პიროვნება. იგი გამორჩეული იყო თავისი სამეცნიერო პროდუქტიულობით, ტიტანური შრომისუნარიანობით. რაც უფრო დიდი დრო დაგვაშორებს ბატონი პაატა გუგუშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდს, მით უფრო აშკარად წარმოჩინდება ამ ბუმბერაზი მეცნიერისა და მოღვაწის წვლილი ქართული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და განვითარებაში.

ამ პატარა წერილში თავს უფლებას ვერ მივცემთ, პრეტენზია განვაცხადოთ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეცნიერული ღაწლისა და მემკვიდრეობის დახასიათებაზე. მასთან ჩემი ურთიერთობის, მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს გავიხსენებ, რომელიც, ვფიქრობ, ნათლად წარმოაჩენს ბატონი პაატას მზრუნველ და ყურადღებით აღსავსე დამოკიდებულებას ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკების მიმართ და მის უაღრესად დიდ პატრიოტიზმს.

ეპიზოდი პირველი. საკანდიდატო დისერტაციის თემად შევარჩიე თავისუფალი დროის სოციალურ-ეკონომიკური ბუნების პოლიტეკონომიური ანალიზი. ჩემი ხელმძღვანელი გახლდათ აკადემიკოსი ავთანდილ გუნია. ბატონი პაატა იმ დროს სოციოლოგიური და დემოგრაფიული პრობლემატიკით იყო დაინტერესებული. გავბედე და გარკვეული კონსულტაციისათვის მივმართე მას. თავდაპირველად დისერტაციის თემისა და ხელმძღვანელის შესახებ შემეკითხა, ვუპასუხე და ჩემი პასუხიდან გამომდინარე, ცოტაოდენი გაკვირვებაც შევნიშნე, თუმცა არაფერი უთქვამს. საკმაო დრო დამითმო და ბევრი სასარგებლო რჩევა მომცა. კოლეგებს, რომლებსაც გასული საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებში მოუხდათ მოღვაწეობა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, კარგად ემახსოვრებათ იმ დროს იქ შექმნილი დელიკატური სიტუაცია. ბატონი პაატას დამოკიდებულება ჩემს მიმართ ამ შემთხვევაშიც ძალიან ტაქტიანი იყო. მახსენდება მეორე ეპიზოდიც, რომელიც უკავშირდება ჩემი პირველი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებას ჟურნალ «ეკონომისტში». ჟურნალის რედკოლეგიის სხდომაზე დამიბარეს. აღმოჩნდა, რომ ჩემი სტატია ბატონი პაატასათვის გადაეცათ სარეცენზიოდ. მან ვრცელი დასკვნა წარმოადგინა, ნახევარ საათზე მეტი ისაუბრა და როცა დაამთავრა, ბატონი რევაზ ბასარია შეეკითხა: «ბატონო პაატა, როდის მოასწარით ასე დეტალურად სტატიის გაცნობა ასეთი ვრცელი და ამომწურავი რეცენზია რომ წარმოადგინეთო». აღმოჩნდა, რომ ჩემი სტატია რე-

დაქციას ბატონი პაატასათვის პარასკევს გადაუცია, შაბათს იგი წყნეთში წასულა თავის აგარაკზე, «ბაღში ფიზიკური მუშაობის შემდეგ ვისვენებდი და თან ამ ახალგაზრდის სტატიას ვეცნობოდიო» – იყო ბატონი პაატას პასუხი.

მესამე ეპიზოდი. სანკტ-პეტერბურგის, იმჟამინდელი ლენინგრადის, სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველი წლის აპრილის დასაწყისში ატარებდა ეკონომისტის დღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას. ერთ-ერთ ასეთ კონფერენციაზე მეც ვიყავი მიწვეული. თავისუფალ დროს ნევის პროსპექტზე მდებარე წიგნის მაღაზიაში შევედი, ჩემი ყურადღება მიიპყრო წიგნმა, რომელიც შეეხებოდა რუსეთის იმპერიაში მარქსიზმის გავრცელებას. ამიერკავკასიაზე მსჯელობისას ავტორი მთლიანად ეყრდნობოდა ბატონი პაატას ნაშრომს და სქოლიოში რამდენჯერმე ჰქონდა მითითებული მისი გამოკვლევა. ეს წიგნი შევიძინე და თბილისში ჩამოვიტანე. აღმოჩნდა, რომ იგი ბატონი პაატასთვის უცნობი იყო და ძალიან ესიამოვნა მისი წვლილის ასე ფართო გაშუქება. რა თქმა უნდა, წიგნი საჩუქრად დავუტოვე მას, საპასუხოდ კი მისი ერთ-ერთი მონოგრაფია მივიღე ავტორისეული წარწერით, რაც ძვირფასი რელიკვიის სახით ახლაც ინახება ჩემ ბიბლიოთეკაში.

მეოთხე ეპიზოდი. თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტში სადაც საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი, ბატონი პაატა სადისერტაციო საბჭოს წევრი იყო. მან დადებითი შეფასება მომცა, მაგრამ ისიც კარგად მახსოვს, რომ თითქმის მთელი თავისი გამოსვლა ჩემი ლენინგრადელი ოპონენტის კრიტიკას მიუძღვნა. საქმე ის იყო, რომ დისერტაციის აქტუალობაზე მსჯელობისას პროფესორმა ვ. ელმეევმა საქართველო მოიხსენია, რეგიონად, რამაც ბატონი პაატას აღშფოთება გამოიწვია. მან საკმაოდ კრიტიკული შენიშვნა მისცა რუს პროფესორს და უთხრა, რომ საქართველო არის ქვეყანა უდიდესი ისტორიით, ტრადიციებით, კულტურით და დაუშვებელია მისი რეგიონად მოხსენიება. მკითხველს მინდა შევახსენო, რომ ეს ხდებოდა 1983 წლის ბოლოს, როცა ჰაერში «ანდროპოვშჩინის» სუნი ტრიალებდა და სულაც არ იყო უხიფათო ასეთი მოსაზრებების საჯაროდ გამოთქმა. ბატონი პაატას უდიდესი ღირსება სწორედ ის იყო, რომ იგი პირდაპირ ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა და მისთვის პატრიოტიზმი იყო არა პოზა ან თავშესაფარი, არამედ მისი პიროვნების მორალურ-ფსიქოლოგიური კონსტრუქცია და ცხოვრების მთავარი პრინციპი.

ჩემი თაობა ბედნიერია, რომ ბატონი პაატას თანამედროვე იყო და შესაძლებლობა გვქონდა მოგვესმინა მისი ლექციები, საუბრები, დისკუსიები, რითაც დიდ ცოდნასა და გამოცდილებას ვიღებდით. ჩვენ ვალდებულნი ვართ, რომ უკვდავყოთ ბატონი პაატას სახელი, მისი ნათელი ხსოვნა და ამ დიდი პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითზე აღვზარდოთ ქართველი მეცნიერი ეკონომისტების ახალგაზრდა თაობები.

მიხეილ ჯიბუტი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პაატა გუგუშვილის ნაშრომის – "კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში"– სათაურის წარმოშობის გამო

მიმდინარე წლის დასაწყისში მოსკოვში გარდაიცვალა რამაზ ქოჩორაძე. მან დიდი კვალი დატოვა ყველას ცხოვრებაში, ვინც მას იცნობდა. მას დარჩა მეუღლე და სამი შვილი. მან – ეტლზე მიჯაჭვულმა – ცხოვრების სანიმუშო მაგალითი შექმნა. მისი ბედის გარდატეხა მოხდა მაშინ, როდესაც მან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. აქ მან მეორედ "აიდგა ფეხი". ჩაერთო კოლექტივში. მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი. მისი სადისერტაციო ნაშრომი მიეძღვნა ტრანსპორტის ეკონომიკას. ეს იყო მეორე თემა. პირველი თემა მას ჰქონდა კარლო ორაგველიძის ეკონომიკური მემკვიდრეობის შესახებ. იმ დროისათვის ისეთი კონიუნქტურა შეიქმნა, რომ თემა აშკარად არა დისერტაბელური იყო (არადისერტაბელური ნიშნავდა, რომ, ესა თუ ის თემა, მისი სამეცნიერო დამუშავების დონის მიუხედავად, სხვადასხვა სუბიექტური მიზეზით, ვერ მოიპოვებდა სადისერტაციო საბჭოს თანხმობას). თემის შეცვლის შესახებ, ისევე, როგორც თავის დროზე მისი დამტკიცების შესახებ, გადაწყვეტილება მე მივიღე იმდენად, რამდენადაც მე ვიყავი მეცნიერ ხელმძღვანელი. თემის შეცვლა გამოიწვია პროფესორ სერგო ჯორბენაძის ნაშრომით განახლებულმა უარყოფითმა საზოგადოებრივმა აზრმა კარლო ორაგველიძეზე, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან ფაქტობრივად გამოძევებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლის შესრულებისათვის. მაგრამ საიდან მომდინარეობდა თემის დანიშვნისას ჩემი განწყობა? – ბატონ პაატა გუგუშვილისაგან. ბატონ პაატასთან ახლო ურთიერთობა არ მქონია.

მე როდესაც ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა, მაშინ დირექტორი უკვე ბატონი ავთანდილ გუნია იყო. თუმცა კარგად მიცნობდა, იცოდა ჩემი წარმომავლობა. მას კეთილი გრძნობა ჰქონდა ჩოხატაურისადმი, რადგანაც მის ცხოვრებაში კრიტიკულამდე მისული ავადმყოფობისაგან ის კურორტმა ბახმარომ იხსნა. ჩვენი თითქმის ყველა შეხვედრის დროს რაღაცა კუთხით იხსენებდა მისი ცხოვრების ამ ნაწილს. ბატონ პაატასთან ინტენსიური შეხვედრები სულ რამდენჯერმე მომიწია. ერთი, ქართულ ენციკლოპედიაზე მუშაობისას – მე, როგორც ერთ-ერთ ავტორსა და ეკონომიკური სექციის წევრსა და ბატონ პაატას, როგორც ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელს შორის. მეორე, ეს იყო აქსეოლოგიურ დისკუსიასთან დაკავშირებით: ცნებების "ღირებულება" და "ფასეულობა" მიმართების დადგენის მცდელობისას. მესამე, ეს იყო ჩემ მიერ 1951 წლის ეკონომიკური დისკუსიის მასალების შესწავლისა და პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს შექმნის ისტორიის კვლავასთან დაკავშირებით. სწორედ ამ უკანასკნელი მიზეზით ერთ-ერთი შეხვედრის დროს, როდესაც მე მას მოვუყევი იმ მასალების შესახებ, რომელსაც მივაკვლიე მოსკოვში 1951 წლის ეკონომიკური დისკუსიის წამყვანის – აკადემიკოს კ. ოსტროვიტიანოვის

ოჯახში, მე მას ვუთხარი ამერიკელი ავტორის კოენის მიერ ბუხარინის შესახებ გამოცემული წიგნის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ ბუხარინის "წითელ პროფესურაში" ეკონომისტებს შორის უსაყვარლესი და უნიჭიერესი ქართველი მოსწავლე ჰყავდა. ბატონმა პაატამ მაშინ მითხრა, რომ ეს იყო კარლო ორაგველიძე. ეს სახელი და გვარი მაშინ პირველად გავიგე. ამის შემდეგ დავინტერესდი მისი შრომებით. ძალიან მოკლე დროში, პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს მაკეტთან დაკავშირებით, ისევ მომიწია შეხვედრა. მან მაკეტი მომიტანა და მთხოვა იქვე, მასთან კაბინეტში მემუშავა მასზე (მაკეტის სულ სამი ეგზემპლარი იყო საქართველოში. ბატონ პაატას გარდა, ის ჰქონდა პროფესორებს – ნიჟა ნუცუბიძესა და იოსებ ბაჯაძეს). როდესაც შესაძლებლობა მომეცა ვუთხარი, რომ ორაგველიძის ნაშრომებს გავეცანი და ჩემი ყურადღება მიიქცია შემდეგმა შრომებმა "კაპიტალიზმის განვითარება ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში", "ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება" და კიდევ რამდენიმე სხვამ. წარბებს ქვემოდან შემომხედდა. ცოტა ხანი არაფერი უთქვამს. შემდეგ კი მითხრა, რომ ორაგველიძე უნივერსიტეტის რექტორი იყო. იყო ენერგიული, ბევრი საქმე გამოუვიდა და ბევრიც არა. მან შექმნა ეკონომიკური ისტორიის კაბინეტი, სადაც ბატონი პაატა მუშაობდა. აგროვებდნენ ისტორიულ მასალებს, მათ შორის საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამიერკავკასიის თემატიკა იყო არჩეული იმიტომ, რომ არსებობდა ამიერკავკასიის ფედერაცია. ამ საკითხებს მე გვიან დავუბრუნდიო. საინტერესო იქნებოდაო ორაგველიძის, როგორც ეკონომისტის, მემკვიდრეობის შესწავლაო. მეტი არაფერი არ უთქვამს. ამ შეხვედრის შემდეგ ვფიქრობდი ამ საკითხე, რომლის პირველი ცდაც არ გამოვიდა. თუმცა საკითხი ჯერ არ მომიხსნია ჩემი დღის წესრიგიდან. შემდგომ, აწ განსვენებულმა პროფესორმა იოველ ასათიანმა გაიხსენა, რომ, როდესაც კარლო ორაგველიძე დააპატიმრეს (ი. ასათიანი იმ დროს ფაკულტეტის ადმინისტრაციაში მუშაობდა), მისი დაარსებული ისტორიის კაბინეტიდან ყველა საარქივო და სხვა მასალები გარეთ გაყარეს. ბატონმა პაატა გუგუშვილმა ურემი იქირავა და ამ მასალას ეპატრონაო. თემატიკის გარდა რა პოზიციური ერთიანობაა ორაგველიძისა და გუგუშვილის ნაშრომებში ჯერ კიდევ შესასწავლია და ამ კვლევის ინტერესის გასაღვიძებლად მოვიყვანე ეს ისტორია. და კიდევ იმისათვის, რომ ერთმა მედროვემ, როდესაც თავისი ჭკუით დაუნგრია ეკონომისტებს (სინამდვილეში ქვეყანას) ვალერიან მელქაძის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, იქ "გარეთ" გამოყარეს ათეულობით წლების ნაგროვები უნიკალური მასალა საქართველოს რეგიონების შესახებ და რადგანაც ის დღესაც უპატრონოდაა, იქნებ ბატონ პაატას მაგალითმა წაახალისოს ვინმე, რომელიც იქირავებს ურემს და ამ განძსა და კვლევის მიმართულებას გადაურჩენს შთამომავლობას.

იაშა მესხია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პირველი შეხვედრა აკადემიკოს პაატა გუგუშვილთან

ცხელი ზაფხული იდგა თბილისში 1972 წელს. მოსკოვიდან დაბრუნებულმა, სადაც ვსწავლობდი ასპირანტურაში, აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტს მივაშურე. ძალიან მიხაროდა, რომ საკანდიდატო დისერტაციის წინასწარმა დაცვამ წარმატებით ჩაიარა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ეკონომიკურ-მათემატიკურ ინსტიტუტში და წამყვან ორგანიზაციად გამომიყვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი. ფრთხილად შევაღე შენობის პირველ სართულზე მდებარე ბატონ პაატას კაბინეტის კარები. ვიღაც გამხდარი, ჰალსტუხიანი კაცი იჯდა დირექტორთან და კარი მოვიხურე. გარეთ დიდხანს ვიდექი. დერეფანში მიმოდიოდნენ ევროპულად ჩაცმული თანამშრომლები, თავი უხერხულად ვიგრძენი, რადგან ჩაცმული ვიყავი ჯინსებში და ვიფიქრე, ამით ვინმესთვის უპატივცემლობა არ გამომეხატა და წასვლა დავაპირე. ამ დროს კარი გაიღო და კაბინეტიდან გამოვიდა დირექტორთან მყოფი მამაკაცი. შეჩერდა და მითხრა – ჩქარა შედი, დირექტორი წასვლას აპირებსო. მეც გავრისკე და შევედი. მივესალმე, რამ შეგაწუხაო – მკითხა. მე დავიბენი და გავუწოდე ჩემი დისერტაცია და ავტორეფერატი. გამომართვა და ავტორეფერატი გადაფურცლა. მისკოვში რატომ იცავო მკითხა. მე იქ ვსწავლობ-მეთქი. გამომკითხა ხელმძღვანელზე და უცბად ჩემი ატორეფერატი და დისერტაცია უკან გამომიწოდა. მითხრა, ჩვენი თანხმობის გარეშე მათ არ ჰქონდათ უფლება წამყვან ორგანიზაციად ჩვენი ინსტიტუტის გამოყოფისო, თანაც მითხრა – შენ არაფერ შუაში არ ხარ, ეს მათი ბრალიაო. კითხვაზე, როგორ უნდა მოვქცეულვიყავი, მითხრა – დაბრუნდი მოსკოვში, მომწერონ წერილი და განვიხილავთო.

სიმწრის ოფლმა დამასხა, ვიფიქრე, დავიღუპე – მეთქი... არც ფული მქონდა იმჟამად მოსკოვში წასასვლელად და თანაც დისერტაციის დაცვა უკვე დანიშნული იყო 22 სექტემბერს. როგორ გამოვედი კაბინეტიდან არ მახსოვს. დერეფანში ოფლი მოვიწმინდე და იმის ფიქრში რომ ვიყავი სად უნდა წავსულვიყავი და რა უნდა გამეკეთებინა, ისევ ის ჰალსტუხიანი გამხდარი კაცი შემხვდა. როგორც ჩანს, შემატყო ძალიან დაღონებული რომ ვიყავი და მკითხა, რამე პრობლემა ხომ არ გაქვსო. მოკლედ ვუთხარი ჩემი გაჭირვების შესახებ. გვარი მკითხა და მითხრა დირექტორი მართალია, ჩვენი თანხმობის გარეშე მოსკოვს უფლება არ ჰქონდა ჩვენი ინსტიტუტის წამყვან ორგანიზაციად გამოყოფისო. დამამშვიდა და ისევ დირქტორის კაბინეტში შევიდა. დავტოვე ინსტიტუტის შენობა და ნელი ნაბიჯებით გავუყევი ჯაფარიძის ქუჩას. ვფიქრობდი ვისთვის მიმემართა დახმარებისათვის. ამ დროს ქუჩიდან ჩემი გვარი მომესმა, ისევ ის ჰალსტუხიანი გამხდარი კაცი მეძახდა. მოდი დირექტორი გიბარებსო, ცოტა შვება ვიგრძენი, იქნებ რაღაც მეშველოს- მეთქი. ისიც შემომყვა ბატონ პაატას კაბინეტში. უხმოდ გაშეშებული ვიდექი. რა ვუყოთ ამ ახალგაზრდა კაცსო – ჰკითხა ბატონმა პაატამ ამ ჩემთვის უცნობ სიმპათიურ კაცს, მან კი სწრაფად უპასუხა, დავეხმაროთ ბატონო პაატა და რუსებს ყური ავუწიოთო.

დამატოვებინეს ჩემი ქაღალდები და დამიბარეს სექტემბრის დასაწყისში. გამოვედი ინსტიტუტის შენობიდან და მთელი ქვეყანა ჩემი მეგონა...

დისერტაცია დავიცავი დანიშნულ დღეს. ბანკეტზე ჩემს თავს გადახდენილის შესახებ მოვუყევი ჩემს პირველ ოპონენტს ცნობილ მეცნიერს, აკადემიკოს სტანისლავ შატალინს (შემდგომში ჩემს უსაყვარლეს უფროს მეგობარს), რომელმაც მითხრა, ჩემთვის დაგერეკა, ბატონი პაატა ჩემი უახლოესი მგობარიაო. დისერტაციის დაცვაზე უფრო მეტი სიხარული მომანიჭა ორმა მოსალოცმა დეპეშამ. ბატონმა პაატამ და ბატონმა ბექირბ ხასიამ (როგორც შემდგომ გავარკვიე ეს უკანასკნელი ის ჰალსტუხიანი კაცი იყო) მოსკოვში მომილოცეს დისერტაციის წარმატებით დაცვა. ეს დეპეშები დღემდე მაქვს შემონახული, როგორც ადამიანური სითბოს და სიყვარულის სიმბოლო.

აქედან დაიწყო ჩემი მეგობრობა დიდ ქართველ მეცნიერთან, რომლითაც მე ძალიან ვამაყობ.

როზეტა ასათიანი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის თვალსაჩინო მკვლევარი

აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა, მრავალმხრივი განათლებისა და ფართო ერუდიციის, კვლევა-ძიებისა და წერის გამორჩეული სტილის მქონე ქართველმა მკვლევარმა, გარდა იმისა, რომ თვალსაჩინო კვალი დატოვა ეკონომიკურ მეცნიერებაში, ნაკლებად ცნობილ როგორც ძველქართულ, ისე ძველუცხოულ (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ, სომხურ და ა.შ.) ლიტერატურულ წყაროებზე, ფაქტობრივ და საარქივო მასალებზე დაყრდნობით, მათი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მნიშვნელოვანი გამოკვლევები შექმნა უპირატესად ქართველოლოგიის განხრით ისტორიის, ეთნოგრაფიის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ჟურნალისტიკის, ენათმეცნიერებისა და ა.შ. დარგებში. ამ მხრივ, ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის მკვლევარმა წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ (და არა მხოლოდ ქართულ) მეცნიერებაში, უდიდესი წვლილი შეიტანა ეროვნული აზროვნების განვითარებაში. მისმა ფუნდამენტურმა ნაშრომებმა – „ქართული წიგნი 1829-1929 წწ.", „სახალხო მეურნეობის ისტორია" (ათ ნაკვეთად), „ქართული ჟურნალისტიკა", „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. (შვიდტომეული), „სოციოლოგიური ეტიუდები" (ორტომეული), „საქართველოს მოსახლეობა 160 წლის (1800-1960) მანძილზე", „დემოგრაფიის ნარკვევები", „საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები" და ა.შ. დიდი რეზონანსი პოვა არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ მკითხველთა ფართო წრეებშიც. უცხოელი სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო და მაღალი შეფასება დაიმსახურა აკად. პაატა გუგუშვილის 1958 წელს გამოცემულმა მონოგრაფიამ – «Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX-XX вв.». ეს ნაშრომი აღიარებულ იქნა, არც მეტი და არც ნაკლები, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკური ისტორიის ფუძემდებლურ საკითხთა სწორად გადაჭრის მეთოდოლოგიურ საფუძვლად. ჩეხი მეცნიერები მას ცოდნის მნიშვნელოვან საგანძურად მიიჩნევდნენ, გერმანელი მეცნიერის გ. ჰაინინგერის აზრით, „ეს ნაშრომი მეტად საყურადღებო მასალებს შეიცავს გეოგრაფიულად ჩვენთვის შორეულ, მაგრამ **კაცობრიობის ისტორიის თვალსაზრისით, მრავალმნიშვნელოვანი ქვეყნის** (ხაზგასმა ჩვენია, რ.ა.) შესახებ და, ამავე დროს, იგი მეცნიერულად თეორიულ საგანძურს წარმოადგენს.[10]

ბატონი პაატა, გარდა იმისა, რომ დიდი მეცნიერი იყო, იგი ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ერის მოჭირნახულე, შეიძლება ითქვას, ქვეყნის სადარაჯო-

[10] კონსტანტინე გამსახურდია. პაატა გუგუშვილის მონოგრაფიები. იხ., პაატა გუგუშვილი. დაბადებიდან 100 წლისთავი. თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე", 2006, გვ. 57.

ზე მდგომი ჭეშმარიტი მამულიშვილი გახლდათ. ამიტომაცაა, რომ მის სახელს დავიწყება არ უწერია.

ეს ბუმბერაზი პიროვნება პირად ურთიერთობაშიც ორიგინალური იყო. მისთვის არ არსებობდა ასაკობრივი ბარიერი. თუკი კარგი თვალით შეხედავდა ვინმეს, ასაკის მიუხედავად, მასთან მეგობრობაც შეეძლო, გულის ნადების გაზიარებაც კი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ნარდის თამაშიც, რომელიც ძალზე უყვარდა და საოცრად აზარტულიც იყო. ასეთი ურთიერთობა ჩამოყალიბდა ჩვენს შორის წლების განმავლობაში საირმეში ერთად დასვენების დროს. ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ: ძალიან მოსწონდა ჩემი გამომცხვარი ხაჭაპური, ათასგვარი ეპითეტებით მამკობდა და მეც მეტი რა მინდოდა ქუთაისელ, ქართულ ტრადიციულ ოჯახში გაზრდილ ორშვილიან ახალგაზრდა ქალს. დიდი ენთუზიაზმით ვაცხობდი და ვაცხობდი იმერულ ხაჭაპურებსა და საღამოს, კინოდან დაბრუნებულები, ბატონი პაატასა და მის შესანიშნავ მეუღლეს – ქალბატონ ნინოსთან ერთად, ფინჯან ჩაიზე მხიარულად ვატარებდით საღამოს აივანზე ლამაზი ბუნების წიაღში. იმ გადმოსახედიდან ჩემი საქართველო ძალიან ლამაზი იყო, მე კი ძალიან ბედნიერი ვიყავი.

დასასრულ, საკანდიდატო მინიმუმი სპეციალობაში ჩავაბარე აკად. პაატა გუგუშვილის მიერ დაარსებულ ინსტიტუტში მისივე თავმჯდომარეობით (პირველად მაშინ გამიცნო). გამოცდის შემდეგ ბატონმა პაატამ შემომთავაზა ინსტიტუტის სწავლული მდივნის თანამდებობა, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის გამო ვერ შევძელი ჩემთვის ესოდენ საპატიო შემოთავაზების მიღება. მე ამის აღნიშვნა მხოლოდ იმიტომ მინდოდა, რომ აკად. პაატა გუგუშვილმა ესოდენ დიდი პატივი დამდო, რაც მეამაყება.

იზოლდა აბაშიძე

უკვდავია მისი სახელი

ასხუთი წელი გავიდა დიდი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან. ასე მგონია, გუშინ გადავუხადეთ 80 წლისთავი. რა ჭარმაგად და მხნედ გამოიყურებოდა, როგორი ბრწყინვალე, შეუბღალავი აზროვნება ჰქონდა. სწორედ იმ იუბილეს დღეებში შესანიშნავად წერდა ერთ-ერთი ჟურნალისტი: "ვისაც პაატა გუგუშვილი უნახავს და მით უმეტეს ისინი, ვისაც ბედნიერება ჰქონია მასთან თანამშრომლობისა და ახლო ურთიერთობისა, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ იგი საოცრად მოგვაგონებს ჩვენი წარსულის გამოჩენილ მწიგნობრებს, თერგდალეულთა პლეადის დარბაისელთ. ხშირად ამიდევნებია თვალი ქუჩაში დინჯად მიმავალი პაატა გუგუშვილისათვის. ასე დადიან აზრითა და ფიქრით დატვირთული ადამიანები, მძლავრი ტალანტის შუქით გაბრწყინებულნი."[11] ნამდვილად დიდი ბედნიერება მხვდა წილად, რომ წლების მანძილზე ვიშრომე და ვიმოღვაწევე იმ დიდი ადამიანის გვერდით, რომელმაც მუხლჩაუხრელად აკეთა თავისი საკეთებელი, მიაღწია ისეთ წარმატებებს, რაც დიდად აჭარბებს ერთი ადამიანის შესაძლებლობებს, ბოლომდე გაიხარჯა თავისი ერისა და ქვეყნის სიყვარულში, არ დარჩენია საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის არც ერთი სფერო თავისი კომპეტენტური სიტყვა რომ არ ეთქვა, თავისი გონიერება რომ არ წარმოეჩინა.

ბევრი ითქვა და დაიწერა ბატონ პაატას მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ. მე, როგორც მის ერთ-ერთ მოწაფეთაგანს, დიდი მოწიწებით, უაღრესად მოკრძალებულად მინდა შევეხო მის პიროვნებას, როგორც მოქალაქეს, მის დიდ ღვაწლსა და საქმიანობას. ბატონი პაატა ამ ამპლუაშიც ისეთივე ძლიერი იყო, როგორიც მეცნიერებაში.

მას ბედად დაჰყვა ცხოვრებაში თავისი საქმიანობით გამორჩეული ყოფილიყო. იგი ქართველ მეცნიერთა შორის პირველი იყო, რომელსაც დისერტაციის დაცვის გარეშე, სტუდენტობის დროს დაწერილი ნაშრომებისათვის მიენიჭა ეკონომკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. საკმაოდ ავტორიტეტულ და ძლიერ მეცნიერ-ეკონომისტთა შორის მას ერგო უპირატესობა და არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ჯერ წევრ-კორესპონდენტად, შემდეგ აკადემიკოსად. საქართველოში მან ითავა ბეჭდვითი სიტყვის ისტორიის შესწავლა. დაინტერესდა და შეუდგა ისეთი ახალგაზრდა მეცნიერული დარგების განვითარების ხელშეწყობას, როგორიცაა სოციოლოგია და დემოგრაფია. აღადგინა ჟურნალი "საქართველოს ეკონომისტი", დააარსა ეკონომიკის ინსტიტუტი, შექმნა უძლიერესი ქართული ეკონომიკური სკოლა, ბევრი იბრძოლა და მოამზადა ნიადაგი დემოგრაფიის ინსტიტუტის ჩამოსაყალიბებლად. რომელი ერთი შეიძლება ჩამოვთვალოთ... ყველაფერი ეს კი 60 წლის მანძილზე სამეცნიერო ასპარეზზე მისი მოღვაწეობის პერიოდში, ამა თუ იმ ეტაპზე წამოიჭრებოდა ხოლმე.

[11] მურმან მურადაშვილი, წიგნის სამყარო. 1985 წ., 9 ოქტომბერი

მთელი მისი საქმიანობა მისი ცხოვრების მთავარი აზრიდან – სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულიდან გამომდინარეობდა. იგი ყოველთვის იქ იდგა, სადაც თავის ქვეყანას სჭირდებოდა, იმ საჭირო საქმეს აკეთებდა, რაც მოცემულ მომენტში ქვეყნისათვის იყო აუცილებელი. "მგზნებარედ უნდა გიყვარდეს ჩვენი ქვეყანა, მშობელი ხალხი, არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ საქმით. ეს გადამწყვეტია". – წერდა ბატონი პაატა და არაფერს ეპუებოდა ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ ბრძოლაში. ამ შეუპოვრობამ ბევრი უსიამოვნებაც შეამთხვია ცხოვრებაში. მაშინ, როცა ხალხი თავს არიდებდა თამამი აზრის გამოთქმას, იგი თავგამოდებით იბრძოდა როკის გვირაბის გაყვანის წინააღმდეგ. არ მალავდა თავის შეხედულებას და ხმამაღლა აცხადებდა: ბუნებრივი საზღვრის ძალით დარღვევა კარგს არაფერს გვიქადისო. სასტიკი წინააღმდეგი იყო ტრანსკავკასიის რკინიგზის გაყვანისა. არასასურველ ეკოლოგიურ შედეგებთან ერთად, ეშინოდა უცხო მუშახელის ჩამოსახლებისა. სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ საქართველოში ძალიან მაღალი იყო ქართველი მოსახლეობის კონცენტრაციის პროცენტი. ამაყობდა ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულით და ხშირად იმეორებდა ძველისძველ სიბრძნეს: ვინც არ იცის საიდან მოდის, მან არ შეიძლება იცოდეს, საით მიდისო. ამიტომ ისტორიისა და წარსულის ცოდნას დიდ როლს ანიჭებდა მომავლის შენების საქმეში. ასე სწამდა თვითონ და ამიტომაც იყო, რომ განცვიფრებაში მოჰყავდა ყველა საქართველოს ისტორიის ზედმიწევნითი, არაჩვეულებრივი ცოდნით. ეამაყებოდა ჩვენი წარსული და უნდა გენახათ, როგორი გატაცებით შეეძლო ესაუბრა უცხოელ სტუმრებთან ჩვენს გმირულ ისტორიაზე. მახსოვს, ერთხელ ბოტანიკურ ბაღში სეირნობდა. გაუყვა გზას და ქართლის დედის ძეგლთან მივიდა იმ დროს, როცა უცხოელების ჯგუფი ათვალიერებდა იქაურობას. ჯგუფს არაქართველი ექსკურსიამძღოლი ახლდა, რომელმაც რუსულად, ორი სიტყვით აუხსნა სტუმრებს, რომ ეს იყო ქართველი ქალის ქანდაკება და დაუსახელა მისი ავტორი. ძეგლის შინაარსზე ყურადღება არ გაუმახვილებია. აღშფოთებული დაბრუნდა უკან. როგორ შეიძლება უცხო სტუმრებს არაქართველი გიდი დაჰყვებოდეს, ასე მშრალად ლაპარაკობდეს და ეროვნული სული და სიამაყე არ წარმოაჩინოსო.

ბატონ პაატასათვის თავისი ქვეყნისა და მშობელი ხალხის სიყვარული რომ უპირველესი იყო, საილუსტრაციოდ უამრავი მაგალითის გახსენება შეიძლებოდა... ამისი ნათელი დადასტურებაა თუნდაც თავისი ძვირფასი მასწავლებლის, ფილიპე გოგიჩაიშვილის დახასიათებისას დაწერილი სიტყვები: "ფ. გოგიჩაიშვილი, – ხაზს უსვამდა ბატონი პაატა, – მაღალი წარმოდგენისა იყო ქართველი ხალხის კულტურასა და მის სულიერ პოტენციალზე და ეს ნებას არ აძლევდა მას უცხოეთში, საერთოდ, საქართველოს გარეთ თუ შინ ყოფნისას, ვინმეს წინაშე თავისი სამშობლო და საკუთარი თავი დაემცირებინა. ეთქვა, ჩამორჩენილი ქვეყნიდან ვარ, დამეხმარეთ, ფეხზე დამაყენეთ და თქვენი კაცი ვიქნებიო.

არ ეკადრებოდა და, რაც მთავარია, არასოდეს არ უკადრია. თავისთავად უაღრესად თავმდაბალს, ასეთ ვითარებაში თავი ყოველთვის მაღლა აწეული ეჭირა და თავისი ძლიერი ენერგიით, ნიჭით, მუყაითობით, ბეჯითობით ცდილობდა გზა გაეკაფა, რათა თავისი სამშობლოსთვის მეტი სარგებლობა მოეტანა".

ადამიანის ღირსეულ თვისებებს რომ ჩამოთვლიდა, ბატონი პაატა ხაზს უსვამდა განათლებას, ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებას, სპეციალობის ღრმა ცოდნას. "ამასთან, რაინდობა, ვაჟკაცობა, მამაცობა, სამშობლოს და სამართლიანობისათვის თავდადება, გამბედაობა და პრინციპულობა, შეუპოვრობა და სხვა მრავალი ძვირფასი თვისება მუდამ იქნება ნაღდი კაცის დამამშვენებელიო" – წერდა ბატონი პაატა და თვითონაც არასდროს გადაუხვევია საკუთარი მრწამსიდან.

შრომა მიაჩნდა მას ადამიანის უპირველეს მოვალეობად. "არაფერი ისე არ ამშვენებს ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცეო" – ხშირად იმეორებდა თავისი მეგობრის, კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებს. სწამდა, რომ საქვეყნო გარჯა, ძიება და მოღვაწეობაა საზოგადოების ძლიერების, მისი თითოეული წევრის სრულქმნის, სამშობლოს გაღონიერების უპირველესი წყარო.

ბატონი პაატას უდიდესი შრომისმოყვარეობის შედეგია ის ძვირფასი ნაშრომები, რომლებიც მან შთამომავლობას დაუტოვა. განსაცვიფრებელი იყო სიცოცხლის ბოლომდე მისი დაუდალავი, ახალგაზრდული ენერგია. ვერავინ იტყოდა, რამდენი ეძინა დღე-ღამის განმავლობაში. კითხულობდა და წერდა დღისით, ღამით, დილით, საღამოს. თავისი განსაკუთრებული შრომის რეჟიმი ჰქონდა. თუ რაიმეს დაგეგმავდა გასაკეთებლად, ვერ ისვენებდა, სანამ არ მიაღწევდა მიზანს. ერთხელ, ბოლო წლებში, მძიმე ოპერაციის გაკეთება დასჭირდა. გაოცებული იყო მისი მეუღლე ქალბატონი ნინო – ოპერაციის წინა ღამით ოდნავი აღელვებაც კი არ შემჩნევია, მაშინ, როცა მისსავე პალატაში ავადმყოფს, რომელსაც მასთან ერთად უნდა გაეკეთებინა ოპერაცია, მთელი ღამე ნერვიულობისაგან არ ეძინა. ბატონმა პაატამ იმ ღამით რამდენიმე ფურცელი დაწერა დემოგრაფიის საკითხებზე და დილით საავადმყოფოში მისულ თანამშრომლებს სთხოვა გადაებეჭდათ და გაემზადებინათ მის გამოჯანმრთელებამდე. მადლობა ღმერთს, ოპერაციამ მაშინ კარგად ჩაიარა. ეს ერთი პატარა დეტალი იყო იმ ადამიანის ცხოვრებიდან, რომელსაც სჯეროდა, რომ არამშრომელი არასოდეს ყოფილა კეთილშობილი, საზოგადოების კეთილდღეობისათვის მებრძოლი.

მისი შრომის საგანი არსებითად წიგნი იყო. წიგნი მიაჩნდა ამ ენციკლოპედიური ცოდნის ადამიანს სიბრძნის უშრეტ წყაროდ. იგი ადამიანის ცნობიერების განვითარების უკიდეგანო ზღვაო, წერდა ბატონი პაატა. სულით ხორცამდე უყვარდა ლიტერატურა. ამ დიდ პიროვნებას თითქოს ქართულ, ვაჟკაცურ გარეგნობასთან შეუსაბამო ნაზი, პოეტური სული ჰქონდა. ვერ წარმოიდგენთ რა შთამბეჭდავი იყო ექსპედიციების პერიოდში ბატონ პაატასთან გატარებული საღამოები. ვისხედით მის ირგვლივ და ვუსმენდით ამ საინტერესო ადამიანს, რომელსაც საათობით შეეძლო ეკითხა ვაჟა და აკაკი, ილია და გალაკტიონი. არანაკლებ უყვარდა რუსული პოეზიაც. ზეპირად იცოდა პუშკინის, ესენინის, ბლოკის, ტიუტჩევის და სხვათა უამრავი ლექსი. ამაში ხელს უწყობდა მისი ფანტასტიკური მეხსიერება, რომელიც სიკვდილამდე შემორჩა. დიდი განათლების წყალობით ბატონი პაატა ყველგან და ყოველთვის, ყოველ საზოგადოებაში გამოირჩეოდა და ყურადღების ცენტრში ექცეოდა. მის გვერდით შრომა და მოღვაწეობა ბედნიერება იყო.

ბატონი პაატა უაღრესად თავმდაბალი ადამიანი იყო, რაც ერთი შეხედვით თითქოს არ ჩანდა. მახსოვს, როცა ასპირანტურაში ჩავაბარე სოციოლოგიის სპეციალობით, ბატონმა პაატამ მოსკოვს მიმავლინა საჭირო მასალების გასაცნობად, თან ბარათი გამატანა პროფესორ ვლადიმერ მშვენიერაძესთან, რომელიც სოციოლოგიის დარგში მუშაობდა. ეს ბარათი დღესაც შენახული მაქვს. იგი წერდა: "ბატონო ვლადიმერ, ამ ბარათის მომტანი ჩემი პირველი ასპირანტია სოციოლოგიაში. ჯერჯერობით ვერც ერთი კარგად ვერ ვერკვევით ზოგიერთ საკითხში, გთხოვთ, დაგვეხმაროთ ორთავეს. პატივისცემით პაატა გუგუშვილი".

მისივე თავმდაბლობის ნიმუში იყო თუნდაც ამ შემთხვევასთან დაკავშირებული მეორე ამბავი. მე მშვენიერაძის ნაცვლად სოციოლოგიის საკავშირო ასოციაციის პრეზიდენტს, პროფესორ გენადი ოსიპოვს დავუკავშირდი. ჩემდა მოულოდნელად ოსიპოვმა შემომთავაზა, დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი მე ვიქნებიო. შევწუხდი და ვუთხარი ჩემი ხელმძღვანელი ბატონი პაატა გუგუშვილი არის-მეთქი. მაშინ მეორე ხელმძღვანელი მაინც ვიქნებიო. მოგეხსენებათ, რა იშვიათი იყო მაშინ ამერიკასთან კავშირი. პროფესორ ოსიპოვს კი ხელი მიუწვდებოდა უახლეს ამერიკულ ლიტერატურაზე და თემადაც აშშ-ში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სოციოლოგიის საკითხები შემირჩია. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როგორ უნდა გამებედა და მეთქვა ბატონ პაატასათვის თქვენთან ერთად კიდევ მეორე ხელმძღვანელიც შევარჩიე-მეთქი. იმ დროს იგი მეუღლესთან და უმცროს ვაჟიშვილთან, გულბაათთან ერთად ჩამობრძანდა მოსკოვში. დიდი ყოყმანის შემდეგ გავბედე და მოვახსენე ყოველივე. აბსოლუტურად ნორმალური რეაქცია ჰქონდა. ყველაფერზე დამთანხმდა, მხოლოდ, როცა ვუთხარი პროფესორ ოსიპოვს თქვენი გაცნობა, თქვენთან შეხვედრა უნდა და რესტორანში გეპატიჟებათ-მეთქი, სასტიკი უარი განმიცხადა, თვითონ გააშლევინა შესანიშნავი სუფრა ქალბატონ ნინოს სასტუმროში და პროფესორი ოსიპოვი თავისი ორი მეგობრით იქ მიიპატიჟა. იმ საღამოს ისე დამეგობრდნენ ბატონი პაატა და გენადი ოსიპოვი, რომ სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტიათ მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა.

ბატონი პაატა ყოველი საქმის არაჩვეულებრივი ორგანიზატორი იყო. მას სწამდა, რომ საზოგადოების წევრისათვის აუცილებელია კომპეტენტურობა არა მარტო იმ საქმეში, რომელსაც იგი უშუალოდ უძღვება, არამედ იმ არეალში საერთოდ, რომელსაც მისი მოღვაწეობა მოიცავს. მაგალითად, საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელს უნდა შეეძლოს კადრების შერჩევა, ადამიანების ცნობა და მასთან კონტაქტების დამყარება – წერდა ბატონი პაატა, რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს ცოდნა, საქმიანი თვისებები და არა ეგრეთ წოდებული ძმაბიჭური ურთიერთობა. ამაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ სრულქმნილი პიროვნებისათვის დამახასიათებელ თვისებათა გამოვლენა, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ხელმძღვანელს მოეთხოვება, ყოველი რანგის ხელმძღვანელის პირად მაგალითს კოლოსალური ძალა აქვს".

სანიმუშო იყო მისი უაღრესად ახლო დამოკიდებულება თანამშრომლებთან. ყველა ჩვენგანის ოჯახური მდგომარეობა იცოდა. განსაკუთრებით არ გამორჩებოდა, თუ ვინმეს რამე უჭირდა. მართლაც ღირსეულად შერჩეული კადრებით დაკომპლექტებული ინსტიტუტი ერთ ოჯახად იყო შეკრული. არავითარი

შუღლი და მტრობა არ არსებობდა. გულით გვიყვარდა ეს დიდებული ადამიანი, რომელიც თითქოს ახლობელიც იყო და მიუწვდომელიც. გვეხუმრებოდა, გვათამამებდა, მაგრამ მისი პიროვნული სიძლიერე გარკვეულ ზღვარს ინარჩუნებდა დამოკიდებულებაში.

ძალიან კეთილი გული ჰქონდა. თუ გაფიცხდებოდა და ვინმეს მკაცრად ეტყოდა რამეს, მეორე დღეს კაბინეტში შესვლისთანავე გამოიძახებდა და დაუყვავებდა. რამდენჯერ უთქვამს ჩვენთვის, წუხელ დარდისგან მთელი ღამე არ მეძინა, რა ვქნა, მეც ნუ გამაჯავრებთო.

ყველგან და ყველაფერში ჰუმანისტი იყო. არც მკაცრი გამომცდელი ყოფილა და არც არასოდეს ცდილობდა თანამშრომლის დასჯას. თავისთავად, პიროვნულად ისეთი დიდი იყო, რომ ვერც ვერავინ გაბედავდა მასთან გამოცდაზე მოუმზადებლად გასვლას და იშვიათად თუ დაარღვევდა თანამშრომელი წესრიგს. ერთხელ ინსტიტუტში ერთ-ერთი ჩვენი საკმაოდ ნიჭიერი თანამშრომლის საკანდიდატო მინიმუმისათვის გამოცდის ჩაბარებას არ ესწრებოდა. კომისიამ მას გამოცდაზე რაღაც კონსპექტი დაუჭირა და გამოცდიდან მოხსნა. მახსოვს მეორე დღეს როგორი საყვედურით მიმართა კომისიის წევრებს. რა მოხდა, ჩვენი თანამშრომელი, რომელსაც ასე კარგად იცნობთ, რომლის შესაძლებლობანიც კარგად იცით, როგორ გაუშვით უნიშნოდ გამოცდიდანო. კაცის ცოდნის შეფასება თუ მინდა, წიგნის, კონსპექტის წაკითხვის ნებას დავრთავ და ისე გავიგებ, რა დონისაა.

მასთან ურთიერთობა ადვილი იყო იმ ღვთისაგან ბოძებული ნიჭის წყალობით, რომელიც უხვად გააჩნდა – ეს იყო იუმორის არაჩვეულებრივი გრძნობა.

მახსოვს, ერთხელ განყოფილების სხდომა გვქონდა, 12 საათზე უნდა დაწყებულიყო. დამაგვიანდა, უფრო სწორად, ძალიან დამაგვიანდა და 2 საათზე მივედი. სხდომა გრძელდებოდა. მორიდებულად შევაღე კარი და ვკითხე, შეიძლება-მეთქი. ბატონმა პაატამ თავი ასწია, გამომხედა და მთელი სერიოზულობით მითხრა: რა ხათრიანი ხარ, შემოდი, თორმეტ საათზეც შეიძლებოდაო.

ძალიან უყვარდა ახალგაზრდები. მის ირგვლივ თითქმის ყველა სანიმუშოდ შერჩეული, ნიჭიერი და განათლებული იყო. მათ ბევრსაც ამუშავებდა, შრომას აჩვევდა, კიდევაც ათამამებდა და თანატოლივით ექცეოდა. თუ მათი ნამოქმედარი ან შესრულებული სამუშაო არ მოეწონებოდა, გაფიცხდებოდა და ცხელ გულზე მკაცრი ტონით ეტყოდა; დაწერე განცხადება და წადიო. ერთხელ ინსტიტუტში რაღაც საჭირო მასალა აუცილებლად უნდა მოეტანა და სახლში დარჩენია, ჩვენმა თანამშრომელმა ციცინო გვრიტიშვილმა არც აცია, არც აცხელა და უთხრა: რას ჰგავს ახლა ეს, დაწერეთ განცხადება და წადითო. მთელი დღე იცინა ამაზე და შემდგომშიც, თუკი რამეს ისე არ გააკეთებდა, შეხედავდა ციციცნოს და ეტყოდა: რა ვქნა ახლა, ციცი, დავწერო განცხადებაო?

ახალგაზრდებს დიდი მადლი და სიკეთე მიანიჭა მის გვერდით ყოფნამ, განსაკუთრებით მაშინ, როცა უკვე ინსტიტუტის დირექტორი აღარ იყო და თავისუფალი დროც ჰქონდა: ბევრი, ძალიან ბევრი რამ მიიღეს და შეისისხლხორცეს მისგან. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მის გვერდით მუშაობა ჩვენი

თავის მიმართ მომთხოვნელობასაც გვიზრდიდა და პასუხისმგებლობაც მეტი გვქონდა – შეიძლება საჭიროზე მეტიც.

უყვარდა ადამიანი, უყვარდა სიცოცხლე, მაგრამ არც სიკვდილის ეშინოდა. ბავშვობაში სუსტი ვიყავი და ჩემს მშობლებს ალბათ ვერც კი წარმოედგინათ ამდენ ხანს თუ ვიცოცხლებდიო. ყოველთვის თბილად და მადლიერებით მოიხსენიებდა მათ.

არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა, ძმა და ბაბუა იყო. აღსანიშნავი იყო მისი ოჯახის სითბო, სიმყუდროვე, სტუმართმოყვარეობა და ურთიერთდამოკიდებულება. რაღაც საოცარი ძაფებით აკავშირებდა ერთმანეთთან ოჯახსა და სამსახურს. ინსტიტუტის თანამშრომლები მისი ოჯახის ხშირი სტუმრები ვიყავით. არაჩვეულებრივი სითბოთი და სიყვარულით გვხვდებოდნენ ყოველთვის შესანიშნავი, ყოველმხრივ გამორჩეული ქალბატონი ნინო, უაღრესად განათლებული, ბრწყინვალედ გაზრდილი შვილები ბესარიონი და გულბაათი, მათი მომხიბლავი მეუღლეები ლია და ნონა. ბოლო წლებში მისი სუსტი ადგილი შვილიშვილები იყო. ჰყვებოდა მათ ოინებს და მორიდებით შეუქებდა ხოლმე გონიერებას, ნიჭს, ჯიშისა და გენის წყალობით რომ ჰქონდათ თანდაყოლილი. სამწუხაროა, რომ როგორც ეკუთვნოდათ, მთლად ისე ვერ წარიმართა მათი ცხოვრება.

ბატონი პაატა მადლიერი მოწაფე იყო იმ დიდი კორიფეებისა – ნიკო ნიკოლაძის, ივანე ჯავახიშვილის, ფილიპე გოგიჩაიშვილის და სხვებისა, რომელთა ხელდასხმითაც აიდგა ფეხი მეცნიერებაში. იგი ღვთით ბოძებულ დიდ იღბალს მიაწერდა ამ ადამიანებთან შეხვედრას, მთელი ცხოვრება მათ უერთგულეს მოწაფედ დარჩა.

სანიმუშო მეგობრობა იცოდა. ბოლომდე თავდადებული მეგობარი იყო კონსტანტინე გამსახურდიას, ვასილ ჩანტლაძის, გოგლა ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, აკაკი გაწერელიასი და ბევრი სხვა თვალსაჩინო მოღვაწისა, რომლებიც ყოველთვის გვერდში ედგნენ და გაჭირვების ჟამს ვაუკაცურად ამხნევებდნენ.

გაჭირვება და წინააღმდეგობები კი არ დაჰკლებია ცხოვრებაში. მთელი მისი სიცოცხლე ბრძოლა იყო. ამბიციურ უცოდინარს ვერ იტანდა. მეცნიერულ პაექრობაში შეიძლება ძალიან მკაცრადაც გაეკრიტიკებინა ოპონენტი, მაგრამ ეს იყო და ეს. როგორც თვითონ უყვარდა თქმა, დაუშვებელ ილეთებს არასოდეს მიმართავდა. სამაგიეროდ თვითონ დაუმსახურებლად ისჯებოდა. ვერ ეგუებოდნენ მასთან პაექრობაში დამარცხებას და უსამართლოდ უსწორდებოდნენ. ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც ახლოს იდგნენ ზემდგომ ეშელონებთან. თვითონ კი თავისი პირდაპირობით და პრინციპულობით, რა თქმა უნდა, ვერ დაიმკვიდრებდა მათ გვერდით ადგილს. ერთხელ მოხსნეს ინსტიტუტის დირექტორობიდან, კინაღამ დაიჭირეს კიდეც "მეგრელიზაციის საქმის" მოტივით. შემდეგ კი, სადაც ხელი მიუწვდებოდათ, რესპუბლიკურ თუ საკავშირო პრესაში, აქვეყნებდნენ მის შესახებ შეთითხნილ ცილისმწამებლურ მასალებს. გაუნახევრეს ინსტიტუტი ახლის შექმნის მოტივით, წაართვეს რუდუნებით აღდგენილი და ნალოლიავები ჟურნალი "საქართველოს ეკონომისტი", მეორედ და უკვე საბოლოოდ გაათავისუფლეს ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობიდან... არასდროს იმჩნევდა გულისწყვეტას, ისე შემოვიდოდა ოთახში, ვითომც არაფერი

მომხდარიყო. არასდროს ამბობდა ახალგაზრდებთან სხვების აუგს. არც მე მახსოვს შემთხვევა, რომ რომელიმე ჩვენგანს ეკადრებინა და ვინმე დაებეზღებინა ან რაიმე უსიამოვნო ამბავი მიეტანა მასთან. შეუვალი და ძლიერი პიროვნება იყო, ვერც სხვისგან იტანდა ადამიანური სისუსტეების გამჟღავნებას. მახსოვს, ერთხელ ერთ-ერთი სხდომიდან უხასიათოდ დაბრუნდა. ახლა ერთი ახალგაზრდა (გვარი არ დაუსახელებია) ბინის აღრიცხვაზე აყვანას მოითხოვდა და ამდენი ხალხის წინ ატირდაო. ანგარიშგასაწევია, მაგრამ კაცმა მატერიალურ სიდუხჭირეზე როგორ უნდა იტიროსო.

სამაგიეროდ, არ ეთაკილებოდა ქვეყნისა და ერის ბედზე ვაჟკაცის გულის აჩუყება. სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეები იყო. ინსტიტუტში მოიტანა ილიას დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვები და ხმამაღლა დაიწყო კითხვა. უნდა გენახათ ჯერ როგორ გაებზარა ხმა, მერე კი ნიაღვარივით წასკდა ცრემლები. ორივე ხელით იწმენდდა ცრემლს ეს ბუმბერაზი კაცი და ისე კითხულობდა დიდი აკაკის, ვაჟას და სხვათა სტრიქონებს.

მეორედ ცრემლი ბატონ პაატას თვალზე სიკვდილის წინ შევამჩნიეთ. იმ დღეს ახლობლის იუბილეზე უნდა წასულიყო. როგორც ყოველთვის, პეწიანად იყო ჩაცმული, იუბილემდე ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დასასწრებად სააქტო დარბაზში ჩავიდა. მე და რამდენიმე თანამშრომელი მის კაბინეტში დავრჩით. მალე მობრუნდა უკან. სახეზე მიტკლის ფერი ედო. რაღაც ვერ ვარ კარგადო, თქვა და სავარძელში ჩაეშვა. მაშინვე მივეცით საჭირო წამლები, რაც გაგვაჩნდა, წამოვაწვინეთ დივანზე, მდგომარეობა უარესდებოდა. დავაპირე სასწრაფო დახმარების გამოძახება. იუარა. ჩუმად გავიპარე და მეორე ოთახიდან მაინც გამოვიძახე. უყურებდა ჩვენს შეშფოთებულ სახეებს და აქეთ გვამშვიდებდა არა უშავს გამივლისო. მალე მოვიდა სასწრაფო დახმარებაც. ექიმი მიუახლოვდა თუ არა, მაგრად ჩასჭიდა ხელი, თავისკენ მიიზიდა და ჩუმად უთხრა: თუ კაცი ხარ, აუტანლად მტკივა გული და რაიმე მიშველეო. ბოლომდე ვაჟკაცურად შეხვდა სიკვდილს, თითქმის გათავდა მისი საყვარელი, ნალოლიავები და დიდი ძალისხმევით შექმნილი ინსტიტუტის კედლებში. გარეთ რომ გაჰყავდათ საკაცით ერთი მიმოიხედა, ყველა შეათვალიერა და უკანასკნელი ცრემლი გადმოუგორდა თვალიდან... ეს იყო და ეს... სულ რამდენიმე საათში კიდეც დაასრულა თავისი სიცოცხლე, სიცოცხლე ამქვეყნიური. სამაგიეროდ უკვდავია მისი სახელი და ის უდიდესი შემოქმედება, რომელზედაც მრავალი თაობა აღიზრდება, შეისისხლხორცებს მას, გაითავისებს და გვჯერა, რომ უაღრესად მადლიერი, საკადრის პატივს მიაგებს ამ ბუმბერაზი პიროვნების, მეცნიერისა და მოქალაქის სახელს.

ნანული არევაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

მისი სახელი თაობებს გადაეცემა

ამას წინათ ერთმა პროფესორმა, რომელსაც ეკონომიკის მეცნიერებასთან შეხება თითქმის არასდროს ჰქონია, მკითხა, თავს ვის მოწაფედ თვლიო, მაშინვე დაუფიქრებლად ვუპასუხე, პაატა გუგუშვილის-მეთქი. ცოტა რომ დავფიქრდი და გონებაში თითქმის ჩემი ყველა მასწავლებელი გავიხსენე, ისინი კი ძალზედ ბევრნი და ღირსეული ადამიანები იყვნენ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩემი მყისიერი რეაქცია სავსებით ბუნებრივი და სწორი იყო, რამდენადაც ბატონ პაატაზე ძლიერი პიროვნება, მეცნიერი, მკვლევარი, ერუდიტი, საკუთარი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე და პატრიოტი ძნელად თუ მოიძებნება. სწორედ ამიტომ მოახდინა დიდი ზეგავლენა ჩემზე და უამრავ სხვა ახალგაზრდაზე აკად. პაატა გუგუშვილმა.

უნივერსიტეტის დასრულებისთანავე, მისი მიბაძვითა და გავლენით მოვინდომე მეცნიერებაში მუშაობის დაწყება მის მიერვე დაარსებულ ინსტიტუტში, რომელიც იმ დროს ეკონომიკის სფეროში მომუშავე ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულება იყო, შემდეგ დაარსებული თითქმის ყველა ეკონომიკური პროფილის კვლევითი ორგანიზაცია ამ ინსტიტუტში აღზრდილთა ღვაწლითა და მონდომებით შეიქმნა. ჩვენ ახლაც ერთადერთნი დავრჩით, რამდენადაც, ჯერჯერობით, მეცნიერულ პროდუქციაზე მოთხოვნა თითქმის აღარ არსებობს. ახლა, ბატონ პაატასთან კაბინეტში შესვლა და მასთან საუბარი რომ შეიძლებოდეს, ვეტყოდი რა გვიჭირს და რა გვილხინს. მან ხომ ძალზე ყურადღებით მოსმენა, ჩვენი ნებისმიერი პრობლემის გულთან ახლოს მიტანა და გონივრული რჩევის მოცემა იცოდა, სამწუხაროა, რომ ეს შეუძლებელია.

ბატონი პაატა არასდროს ყოფილა გულგრილი, მას აინტერესებდა ყველაფერი, რაც ქართულ მეცნიერებას, ენას, ცნობიერებას, საქართველოს მომავალს და მთლიანად საზოგადოების განვითარებას ეხებოდა. სიმართლისათვის ბრძოლა მისი შინაგანი ბუნების მოთხოვნა და სტიქია იყო და მტკივნეულად განიცდიდა, როცა მის დაცვას ვერ ახერხებდა.

პაატა გუგუშვილი დღემდე ყველას ახსოვს, ინსტიტუტი მის სახელს ატარებს, მისი საქმეები კვლავაც გრძელდება და ახალი ინიციატივები და მიღწევები ემატება.

შარშან, დირექციის მონდომებით, მის სამუშაო ოთახში საზეიმოდ გაიხსნა მისი სახელობის კაბინეტი, სადაც წამყვანი მეცნიერ-ეკონომისტები ხშირად იკრიბებიან და ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაწყვეტაზე მსჯელობენ;

ინსტიტუტის დირექტორის, პროფ. რ. აბესაძის ინიციატივით განახლდა პ. გუგუშვილის რედაქტორობით გამომავალი ჟ. "ეკონომისტის" გამოცემა;

ინსტიტუტის კოლექტივმა დაიწყო "დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის"გამოცემაზე მუშაობა;

გასული წლის სამეცნიერო შედეგების მიხედვით, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტმა პირველი ადგილი დაიკავა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტებს შორის;

პ. გუგუგშვილის ბევრი მოწაფე სახელოვანი ადამიანი და მეცნიერი გახდა;

პ. გუგუშვილის 100 წლისთავზე, ქ-ნ იზოლდა აბაშიძის ძალისხმევით, ამ თარიღისადმი მიძღვნილი შესანიშნავი წიგნი გამოქვეყნდა, რომელშიც ბევრი გამოჩენილი პიროვნების, მწერლის, აკადემიკოსის, კოლეგისა და მეგობრის, თანამშრომლის და მოწაფის უამრავი სტატია, რეცენზია, შეფასება, მოგონება, შეხვედრა და გახსენება გამოქვეყნდა;

ახლაც, ინსტიტუტის კოლექტივი პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნისათვის ემზადება და ეს სტრიქონებიც ამ მზადების გამომხატველია.

დრო ვერასდროს დაგვავიწყებს უკვდავებასთან ნაზიარებ სახელებს, პაატა გუგუშვილის შემოქმედება და ღვაწლი მომავალშიც, შემდგომ თაობებს გზას შუქურასავით გაუნათებს და ცხოვრების ლაბირინთების გაკვლევაში დაეხმარება.

რევაზ გოგოხია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დიდი მეცნიერი და ერისკაცი

ეკონომისტთა იმ ბედნიერი თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ვარ, ვინც წლების მანძილზე დიდი პაატა გუგუშვილის ზეგარდმო ნიჭისა და გონის უშუალო ზემოქმედებით იზრდებოდა და საქმიანობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, რომელიც, მისი მესაჭეობით, მართლაც რომ ეროვნული საქმიანობის შტაბი იყო – მუდამ საქართველოს უკეთეს მერმისზე ორიენტირებული.

რაც შეეხება იუბილარის მრავალმხრივ შემოქმედებას – ეკონომიკური მონოგრაფიები იქნება ეს, სოციოლოგიური ეტიუდები, გამოკვლევები ჟურნალისტიკაში, დემოგრაფიული ტრაქტატები თუ ნოვაციები ეკონომიკურ ტერმინოლოგიაში, დიდი და უშრეტი ოაზისია, საიდანაც ულევად მოედინება სიბრძნის წყარო და ვისაც ხელეწიფება, შეუძლია უხვად შეირგოს ქართული სურნელებით გაჯერებული, ენციკლოპედიური აზროვნების, პაატასეული ოქროს კალმით ამეტყველებული სენტენციათა მთელი კასკადი.

აკად. პ. გუგუშვილის მრავალმხრივი და გაუხუნარი შემოქმედების თავიდათავი, მეცნიერულ სიღრმესა და კვლევის მასშტაბურობასთან ერთად, არის შერჩეულ პრობლემათა არა პარტიული ან, საერთოდ, კონიუნქტურული ხასიათი, არამედ ეპოქალურობა და ნაშრომთა უმეტესობის ეროვნულ მოტივებზე აჟღერება. იგი ამაყი პიროვნება იყო, წერდა ისე, როგორც უნდოდა და არა – შეკვეთით. ერთიც – მას არც ერთი წუთი არ დაუკარგავს იმისთვის, რომ თავისი მიღწევებით დამტკბარიყო.

კომუნისტურმა რეჟიმმა ბევრი დიდი მეცნიერი შეიწირა ან კიდევ, ნებსით თუ უნებლიეთ, იმპერიული ინტერესების მონა-მორჩილი გახადა, რის საფასურადაც ბევრმა „მაღალი სკამი" მოირგო, ბევრმაც გულმკერდი ნაირნაირი ორდენებით დაიმშვენა. პაატა გუგუშვილი არც ერთ ორდენს არასოდეს დახარბებია და ამით არც განებივრებული ყოფილა, თუნდაც იმიტომ, რომ იგი თავის მეცნიერულ და მოქალაქეობრივ მრწამსს არასოდეს იცვლიდა, არც მაშინ, როცა მას მთელი ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა ტოტალურად უტევდა და მასზე თითქოსდა – თავის საბოლოო გამარჯვებას ზეიმობდა. იგი ყველგან და ყოველთვის მედგრად იდგა, ვითარცა მუმლდასეული ბერმუხა, უკან არასოდეს იხევდა და აბობოქრებული, მაგრამ უფრო გულგამაგრებული თავის სამუშაო მაგიდას უჯდა და საქართველოს ეკონომიკური ისტორიის თუ ქვეყნის სამერმისო განვითარების იდეებით ახალ ფურცლებს ავსებდა.

მისი შემოქმედებითი ცხოვრების მრწამსი იყო დოსტოევსკის სენტენცია: „თუ დიდი მიზნებისკენ გაგიწევია და გზად ხშირ-ხშირად ჩერდები, რომ ქვა ესროლო ყოველ ძაღლს, რომელიც შემოგიყეფს, მაშინ მიზნამდე ვერასოდეს ვერ მიაღწევ". ცხოვრების მანძილზე მას ბევრი ტალახი ესროლეს სხვადასხვა სამიზნედან, მაგრამ არც ერთით არ გასვრილა, რამეთუ რომაული ანდაზისა არ იყოს – „მარმარილოს ძეგლს ტალახი არ ეკარება".

მარტო ის რად ღირს, რომ სადისკუსიო აუდიტორიებში, იქაც კი, სადაც მოწინააღმდეგენი ჭარბობდნენ, ხოლო მხარდამჭერნი ცოტანი იყვნენ, იგი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა – მეცნიერებაში ახალი აზრების შემომტანი და დამნერგავი. ფაქტობრივად, მასთან კამათი შეუძლებელი იყო – რკინისებური ლოგიკა, ცინცხალი აზრები, გარანდული ტერმინოლოგია, უტყუარი დოკუმენტები, ლიტერატურული წყაროების სიღრმისეული ცოდნა და მომარჯვების დიდოსტატური უნარი – მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს, რომელთა შორის ბევრს შეიძლება მართლაც სჯეროდა თავისი სიმართლისა – აიძულებდა ფარ-ხმალი დაეყარა, ხოლო ცრუებსა და უნიჭოებს – სწრაფად და უკან მოუხედავად დაეტოვებინათ დარბაზი.

პაატა გუგუშვილის ბობოქარი ცხოვრება და შემოქმედება იმის ნათელი მაგალითია, რომ მამულიშვილობა და მეცნიერება ისტორიულ სიმართლეს როდი უპირისპირებდა, რომ „სამშობლოსა და ჭეშმარიტების თანაფარდობაში" – ჭეშმარიტების უზენაესობის ქადაგება, რაოდენ დიდ მეცნიერსაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის, სავსებით უნიადაგოა, თუ მასონურ-კოსმოპოლიტური არა! და შემთხვევითი არაა, რომ ბ-ნი პაატა გაბედულად ებრძოდა მსოფლიოს კოსმოპოლიტური გლობალიზაციის იდეას, როგორც დანაშაულებრივ უპერსპექტივობას, რომლის მიზანია უერო, უენო, ურელიგიო, „ერთიანი", მაგრამ უსახური გლობალური მსოფლიოს ფორმირება. ბატონმა პაატამ იმთავითვე უწყოდა, რომ საქართველოსთვის უცხო, უნიადაგო კოსმოპოლიტური თეორიები, უცხოურ ეკონომიკურ იდეოლოგიაზე აგებული სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც დღეს ესოდენ გააქტიურებულია, გარკვეულწილად იმ „დიდი პოლიტიკის" შემადგენელი ნაწილია, რომელიც სამამულო ინდუსტრიისა და არსებითად მყარი ეკონომიკის ჩაკვლას ისახავს მიზნად და საქართველოს ნავთობსადენის, გაზსადენის ევრაზიული დერეფნისა და სამომავლოდ ტურისტთა საჯირითო ქვეყნის მხოლოდ მიზერულ პერსპექტივას უტოვებს. ამ ასპექტითაც აკად. პ. გუგუშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა, ფაქტობრივად, ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგიაა, რაც ესოდენ აკლია ჩვენს დღევანდელ ეკონომიკას და საერთოდ – ყოფასაც. ვაგლახ, რომ ფულისთვის სატანებზე სულმიყიდულმა მანქურთებმა კარგა ხანია საქართველოს განუსაზღვრეს სატრანსპორტო დერეფნისა და „საკურორტო ზონის" როლი, რომლის მოსახლეობასაც არ სჭირდება მეცნიერება, განათლება, კულტურა, რამეთუ მისი დანიშნულება მომსახურე პერსონალად ყოფნაა.

დასანანია, თუ ტრაგიკულ-კომიკური არა ის, რომ დღეს, როცა დიდი მოღვაწის 105 წლისთავს აღვნიშნავთ, ბევრი მისი ნააზრევი და ნაფიქრალი – მონოგრაფიებად ქცეული, არათუ ხორციელდება, არამედ მის საწინააღმდეგოდაც წარიმართება. კიდევ კარგი, რომ აკადემიის არააკადემიურ რეფორმას, ამ მშვიდობიან პერიოდში, ჩვენი იუბილარის მიერ მეორე მსოფლიო ომის კოშმარულ პირობებში შექმნილი მისივე სახელობის ინსტიტუტიც არ შეეწირა. დიდი ტრადიციების მქონე აკადემიური ინსტიტუტი, გარდაქმნილი სახით და ახალი კადრებით გაძლიერებული, შეუფერხებლად უნდა ფუნქციონირებდეს, რადგან, უწინარესად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განახლებასა და აღმავლობას სჭირდება და იმიტომაც, რომ ის დიდი პაატა გუგუშვილის სახელობისაა.

და საერთოდაც, ქართული სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტი კვლავაც მეცნიერება და ადამიანისეული კაპიტალი უნდა იყოს, რაც უმთავრესი შანსია საქართველოსთვის, რომ თანამედროვე ბობოქარ და „ვერაგ" მსოფლიოში მეტნაკლებად კონკურენტუნარიანი ქვეყანა გახდეს და არ გაქრეს მსოფლიო რუკიდან.

რაც შეეხება საქართველოში ბოლო პერიოდში შემოჭრილ „ყოვლისმომცველ სულს", სავსებით მისაღებია შეფასება, რომ ის ღვთის შემოქმედი სულის ანტიპოდია, რომ მას არ ძალუძს ახალი სიმართლისა და მშვენიერების შექმნა, რომ იგი დამანგრეველი ძალაა, რომელიც უპირისპირდება ყველაფერს, რაც კი უფლის ხელით შექმნილა, უპირველესად – ადამიანს. საბოლოო ანგარიშით, ესაა ბრძოლა ღმერთის წინააღმდეგ, რომლის ფინალიც წინასწარ ცნობილია - „ბოროტეულთ მათივე ძალადობა წალეკავს" (სიბრძნე სოლომონისა, 21,7).

ამის გარანტი საქართველოში მითაჟამიდან (იმთავითვე) ჩამოყალიბებული ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების კულტურა, ქართულ ცნობიერებაში კოდირებული ურთიერთთანადგომის გენეტიკური ტრადიცია, ანუ ისტორიის გონია, რაც საქართველოს ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული რესურსი და ერის მარადიული არსებობისა და მსოფლიო თანამეგობრობაში მისი მომავალი გაბრწყინების საწინდარია.

ასე სწამდათ ჩვენს დიდი წინაპრებს, ასე გვასწავლიდნენ ჩვენი სახელოვანი პედაგოგები, ასე „ტრადიციულად" ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ისინი, რომელთა შორის ერთ-ერთი ღირსეული ადგილი უდავოდ უკავია აკადემიკოს პაატა გუგუშვილს.

და კიდევ ერთი, ბევრისთვის უცნობი მხარე დიდი იუბილარის შემოქმედებიდან. რამდენიმე წლის წინ, ბესარიონ გუგუშვილმა ფინეთიდან გამოგზავნა ბატონ პაატას „დღიურები, მოგონებები, ჩანაწერები", რომელიც 1978 წლამდე – 50 წელზე მეტ პერიოდს მოიცავს და რომ ამოვბეჭდეთ – 3000 გვერდამდეა.

მასში, დასაწყისშივე მოცემულია „დღიურების" შემდეგნაირი ინტერპრეტაცია:

„- ყველაზე მისანდობი ადამიანისათვის მაინც დღიურებია, ოღონდ ერთი საშიშროებაა... სხვამ არ ჩაიგდოს ხელში;

- ყველაზე დიდი მესაიდუმლე ისევ დღიურებია... ოღონდ ვინ უწყის რა ბედი ელის თვითონ დღიურებს;
- ყველაზე ერთგული მაინც დღიურებია... ოღონდ ვინ იცის, ბრმა და უხეშ ძალას შეუძლია ისინიც შენს წინააღმდეგ გამოიყენოს;
- ყველაზე მტკიცე მაინც დღიურებია, ის, როგორც ყოველი დაწერილი, შეიძლება დიდხანს, ძლიერ დიდხანს ინახებოდეს და იცავდეს შენს აზრებს, შენს განცდებს, შენს წადილსა და მისწრაფებას და ამდენადვე შენს ინდივიდუალობას!."

ეს მცირე, მაგრამ საინტერესო „ნოველაა", რითაც ბატონმა პაატამ დღიურების არსი და დანიშნულება გადმოსცა.

კიდევ რამდენიმე ამონარიდი დღიურებიდან:

თითქოსდა წინასწარ გრძნობდაო, ერთმა შარიანმა ისტორიკოსმა, ალბათ, სიცოცხლეში რომ ვერ გაუბედა, გარდაცვალებიდან თითქმის 15 წლის მერე „გააკრიტიკა" აკად. პაატა გუგუშვილის ერთ-ერთი ნაშრომი, ჯეროვანი პასუ-

ხიც მიიღო ჩვენგან, მაგრამ აი, საერთოდ, რა საინტერესოდ აფასებდა იუბილარი ასეთ ქმედებას: „წარსულის (გარდაცვლილის) კრიტიკა საერთოდ ყველაზე ტრაფარეტული და ადვილი ფორმაა „კრიტიკისა", რისთვისაც საჭირო არაა არც დიდი ჭკუა, არც განათლება, არც შორსმჭვრეტელობა და მით უფრო, არც წინასწარმეტყველების უნარი" (რვეული 7, 1965 წლის 28 ივნისი).

იმავე რვეულის 56-ე გვერდზე საბჭოური სისტემის უდღეურობის მეტად მახვილგონივრული პამფლეტია პაატასეული შემდეგი მსჯელობა:

„პოლიტიკური ეკონომიის საგნის განმარტების ასპექტით ცნობილ ამერიკელ ეკონომისტს პ. სამუელსონს დასავლეთის ცივილიზაციის და თავისი ქვეყნის მოწინავე ადამიანთა ყველაზე საჭირბოროტო საკითხად მიაჩნდა: „დაეწევა თუ არა 20 წლის შემდეგ საბჭოთა კავშირი აშშ-ს?" (ეკონომიკა, გვ. 24). მე ვუპასუხებდი: თუ ეს ოდესმე მოხდება, მხოლოდ შედეგად იმისა, რომ შიშით საბჭოთა კავშირი არ დამეწიოსო, ამერიკა დაიწყებს საბჭოთა ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის მიბაძვას და რაც უფრო მეტი ზომით მიბაძავს, მით უფრო ჩქარა დაეწევა მაშინ მას საბჭოთა კავშირი" (1965წ. 7 მაისი).

დასასრულ, იმავე რვეულის 63-ე გვერდზე ბატონი პაატა წერს: „არიან ადამიანები, რომელთაც სიცოცხლეში განუზომლად მეტი პატივისცემა აქვთ, ვინემ ხსენებაში სიკვდილის შემდეგ და ადამიანები, რომელთაც სიკვდილის შემდეგ ბევრად დიდი პატივისცემა აქვთ, ვინემ სიცოცხლეში".

მე დავძენდი: ბ-ნი პაატა იმ ბედნიერ მოღვაწეთა რიგებშია, რომელთაც სიცოცხლეშივე განუზომელი ავტორიტეტი და სიყვარული მოიხვეჭეს, ხოლო გარდაცვალების შემდეგ მადლიერი შთამომავლობის წინაშე კიდევ უფრო ამაღლდნენ და უფრო დიდ პატივს მიაგებენ.

ამის თავი და თავი კი ის არის, რომ გენიალური შოპენჰაუერის გამონათქვამისა არ იყოს, კაცობრიობა არ ივიწყებს ადამიანებს, „რომლებმაც თავის ახალგაზრდობაში ყველა ძალა შეალიეს საქმეს, რომელიც არასოდეს ბერდება".

რევაზ ჯავახიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

ბრწყინვალე რედაქტორი და გამომცემელი

ქართული ეკონომიკური საზოგადოებისათვის 2010 წელი ორმაგად საიუბილეოა. მიმდინარე წელს აღინიშნება გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105 და მისივე ინიციატივით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შექმნილი ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65 წლისთავი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მრავალმხრივ ნაყოფიერ მოღვაწეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი მის სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობას განეკუთვნება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მისივე თაოსნობით, დაუღალავი შრომისა და ბრძოლის შედეგად აღდგენილი ქართული ეკონომიკური ჟურნალის – "საქართველოს ეკონომისტის" გამომცემლისა და მთავარი რედაქტორის პოსტზე სრულყოფილად წარმოჩინდა მისი სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობის დიდი ცოდნა, ნიჭი და უნარი.

ქართული პრესის ფურცლებზე ეკონომიკური პრობლემების გაშუქებას ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომლის შესანიშნავი მკვლევარი და მცოდნე თვითონ აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი ბრძანდებოდა. მე-19 ს-ის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საკითხები ფართოდ აისახებოდა ამ დროისათვის საქართველოში გამომავალ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, რომელთა რედაქტორ-გამომცემლები სხვადასხვა დროს იყვნენ ი. ჭავჭავაძე, ი. კერესელიძე, ა. ფურცელაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, ივ. მაჩაბელი, ალ. სარაჯიშვილი, გრ. ყიფშიძე, ფ. გოგიჩაიშვილი და სხვები. სწორედ ამ ბუმბერაზ მოღვაწეთა დიდებულ ტრადიციებზე აღიზარდა და ჩამოყალიბდა ბატონი პ. გუგუშვილი, როგორც მეცნიერი, რედაქტორი და გამომცემელი.

ქართულ ეკონომიკურ პუბლიცისტიკაში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება ჟურნალ "ეკონომისტს", რომელმაც ღირსეულად გააგრძელა ქართული პერიოდიკის დიდი ტრადიციები. მეორე მსოფლიო ომამდე ეს ჟურნალი სხვადასხვა სახელწოდებით გამოდიოდა, სადაც ბატონი პაატა აქტიურად თანამშრომლობდა როგორც ავტორი და შემდგომ კი სარედაქციო კოლეგიის წევრი. ომის დაწყებიდან სულ მალე ჟურნალის გამოცემა შეწყდა. 50-იანი წლების ბოლოს, აკდ. პ. გუგუშვილის დიდი მცდელობისა და ბრძოლის შედეგად, 1958 წლის იანვრიდან სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით განახლდა ქართული ეკონომიკური ჟურნალის გამოცემა, რომლის მთავარი რედაქტორი და გამომცემელი 1958-1967 წლებში იყო აკად. პ. გუგუშვილი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პ. გუგუშვილის თაოსნობით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში ეკონომიკის ინსტიტუტის შექმნის შემდეგ, მისივე ინიციატივით ქართული ეკონომიკური ჟურნალის აღდგენა-განახლება მეორე უდიდესი მოვლენა იყო ქვეყნის კულტურულ-სამეურნეო ცხოვრებაში. ჟურნალმა და მისმა მთავარმა რედაქტორმა თავი მოუყარა ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის სფეროში მომუშავე საუკეთესო ძალებს.

ჟურნალის რედკოლეგიის პირველ შემადგენლობაში შევიდნენ: პ. გუგუშვილი /მთავარი რედაქტორი, ი. ბაჯაძე, ს. ბერაძე, ი. მიქელაძე, ა. ნუცუბიძე, ნ. ქოიავა, გ. ჩოგოვაძე, ბ. ჩხეიძე, ა. ხაჩიძე. ჟურნალის პასუხისმგებელი მდივანი იყო ალ. ქაცარავა, ხოლო ტექნიკური რედაქტორი – ა. ნინიძე.

მთავარმა რედაქტორმა სწორად განსაზღვრა ჟურნალის ძირითადი მიზნები და ამოცანები, მისი შინაარსი და სტრუქტურა. ჟურნალმა თავის გარშემო შემოიკრიბა როგორც ძველი, ისე ახალი თაობის ავტორთა საკმაოდ ძლიერი კოლექტივი და წარმატებით შეუდგა თავის საქმიანობას. ჟურნალი აქტიურად ეხმაურებოდა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს. იგი ფართოდ ბეჭდავდა მასალებს ეკონომიკური თეორიის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკის, მისი ცალკეული დარგების განვითარებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის პრობლემატურ საკითხებზე. განუზომლად დიდია ჟურნალის როლი ეკონომიკური მეცნიერების განვითარების, სწავლულ-ეკონომისტთა კადრების მომზადებისა და სამეცნიერო ასპარეზზე გამოყვანის საქმეში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბატონი პაატას დამსახურება რედაქციის მუშა-კოლექტივის ფორმირებაში. მან იმთავითვე მოუყარა თავი სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობის კარგად მცოდნე და დიდი გამოცდილების მქონე ძველი თაობის მუშაკებს, როგორებიც იყვნენ: კ. ჩარკვიანი, ბ. ნანიტაშვილი, კ. ჯოხიძე, ალ. ბეგაშვილი, ალ. ქაცარავა, ა. სოხაძე, რ. მოწერელია და სხვები. შემდგომ ჟურნალის რედაქციაში სამუშაოდ მოვიდნენ ახალგაზრდა მეცნიერები: გ. მოზაიძე, ა. თეთრაული, ა. წერეთელი, ვ. კურცხალია, იზ. აბაშიძე, რ. გოგოხია, ამ სტრიქონების ავტორი და ბევრი სხვა, რომელთათვისაც ჟურნალში მუშაობა იყო დიდი სკოლა როგორც მათი მეცნირეული ზრდის, ისე სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობის უკეთ დაუფლების თვალსაზრისით. წლების განმავლობაში ჟურნალში წარმატებით მოღვაწეობდნენ ჟურნალისტები: კ. გრიგოლია, მ. ნანეიშვილი, ნ. ბიჭინაშვილი, ლ. გუგუშვილი, ტექნიკური რედაქტორი შ. კიზირია.

რამდენიმე სიტყვა თვითონ ბატონი პაატას პიროვნების შესახებ. იგი იყო უზარმაზარი ფიზიკური და გონებრივი ენერგიის მქონე მეცნიერ-მკვლევარი. ბატონი პაატა ხშირად ღამეებს ათენებდა საარქივო თუ სალიტერატურო მასალებზე მუშაობის დროს. მეცნიერული კვლევის სიღრმესთან ერთად, იგი ძალზე დიდ ყურადღებას უთმობდა და განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა კვლევის შედეგად მიღებული მასალის რედაქციული დამუშავებისა და პუბლიკაციის საქმეს. ბატონი პაატა ჟურნალის მთავარი რედაქტორის პოსტზე მოვიდა, როგორც სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობის დიდი მცოდნე და ამ საქმეში საკმაოდ გამობრძმედილი პიროვნება, იგი თვითონ იყო ქართული წიგნის გამოცემის სამასწლიანი ისტორიის უბადლო მკვლევარი და მისი მონოგრაფიული გამოკვლევის ავტორი. გარდა ამისა, მას საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი, გამოკვლეული და გამოცემული ქართული ჟურნალისტიკის ისტორია.

აკად. პ. გუგუშვილი კარგად იცნობდა საგამომცემლო-საშრიფტო მეურნეობას და სისტემატურად ზრუნავდა ქართული შრიფტის სრულყოფისათვის, მან სპეციალური გამოკვლევაც მიუძღვნა ამ საკითხს – "პოლიგრაფიული მრეწ-

ველობისა და მეცნიერული თარგმანის ზოგიერთი საკითხი". ქართული და რუსული საშრიფტო მეურნეობის მაჩვენებელთა ურთიერთშედარებისა და სათანადო ანალიზის საფუძველზე მან გააკეთა დასკვნა, რომ ქართული შრიფტი უფრო ეკონომიურია რუსულთან შედარებით. იგი მთელი სიმწვავით სვამდა ქართული შრიფტის შემდგომი სრულყოფის, მისი ეკონომიურობის ზრდის საკითხს. ამასთან, მას მიაჩნდა, რომ ეს უნდა განხორციელებულიყო ქართული ანბანის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის თავისებურებათა გათვალისწინებით.

ბატონი პაატა დაჯილდოებული იყო რედაქტორისათვის საჭირო ყველა აუცილებელი თვისებით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ამ საქმისათვის იყო დაბადებული. მას ძალზე მახვილი გონება და თვალი ჰქონდა, რაც ესოდენ აუცილებელია რედაქტორისათვის. როგორიც არ უნდა კარგად დამუშავებული მასალა მიგეტანა მასთან, როგორც ჟურნალის მთავარ რედაქტორთან, იგი თვალის ერთი გადავლებით მაინც იპოვიდა რედაქციულ ხარვეზსა თუ კორექტურულ შეცდომას, იქვე ჩაასწორებდა და დამრიგებლური ტონით გეტყოდა: "კარგად დაიმახსოვრე, სხვის ნაწერს სხვისი თვალი აუცილებლად სჭირდება".

ბატონი პაატა იყო ძალზე პრინციპული და მომთხოვნი რედაქტორი. იგი არ სცნობდა ე.წ. "ავტორიტეტიან" ავტორებს. იშვიათი როდი იყო, როცა რედაქციაში შემოდიოდა ცნობილი მეცნიერის, პედაგოგისა თუ მაღალი რანგისა და ჩინის მქონე პრაქტიკოსი მუშაკის სტატია, რომელიც მეცნიერული, ლიტერატურული და რედაქციული თვალსაზრისით ზოგჯერ დაბალ დონეზე იყო შესრულებული. ასეთ ავტორებთან გვიხდებოდა გაუთავებელი დავა და კამათი, რომელთა ერთი ნაწილი, ცხადია, არცთუ ისე "სიამოვნებით" ეგუებოდა მათი სტატიების რედაქციულ სახეცვლილებას. საკმარისი იყო მათთან მცირედი დათმობაც კი, რომ ამას ჟურნალის მთავარი რედაქტორის მახვილი გონება და თვალი მაშინვე შეამჩნევდა, რედაქციულად სუსტ და გაუმართავ ადგილებს იქვე ჩაასწორებდა, სათვალეებს ჩამოსწევდა, ზემოდან გადმოგვხედავდა და გვეტყოდა: "დაიმახსოვრეთ, ამ საქმეში ავტორიტეტები არ არსებობენ და მათთვის შეღავათების მიცემა დაუშვებელია. წერის კულტურა მხოლოდ წერაში გამომუშავდება. ვისაც არ შეუძლია კარგად წერა, მან ბევრი უნდა ავარჯიშოს გონება და კალამი, მხოლოდ ამ გზით გამოიმუშაოს წერის მაღალი კულტურა, ან თავი უნდა დაანებოს წერას".

ბატონ პაატას ჰქონდა წერისა და ნაწერის რედაქტირების ძალზე მაღალი კულტურა. იგი ამ მხრივ მართლაც რომ სანიმუშო და ყველასათვის მისაბაძი იყო. ბატონი პაატა ზედმიწევნით კარგად იცნობდა საგამომცემლო-პოლიგრაფიულ საქმიანობას და შესანიშნავად ერკვეოდა მის უმნიშვნელო ტექნიკურ-ორგანიზაციულ ნიუანსებშიც კი. ეს კარგად იცოდნენ გამომცემლობისა და სტამბის მუშაკებმა და სწორედ ამიტომ მისი აქ გამოჩენა სასიამოვნოც იყო და ზოგისთვის უსიამოვნოც. ჟურნალის დაგვიანებით გამოსვლის შემთხვევაში იგი განგაშს ტეხდა და მისთვის ჩვეული პრინციპულობითა და მთელი სიმკაცრით სთხოვდა პასუხს როგორც ჟურნალის ტექნიკურ რედაქტორს, ისე გამომცემლობისა და სტამბის მუშაკებს. მასთან ყალბი არგუმენტებით, მტკიცებებითა და დაუსაბუთებელი თავის მართლებით ფონს ვერავინ გავიდოდა, ვერავინ ვერაფერს გამოაპარებდა, ვინაიდან იგი მათზე ნაკლებად როდი ერკვეოდა ჟურნალის ბეჭდვისა და გამოცემის ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხებში.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილს, მრავალმხრივ სამეცნიერო და სარედაქციო-საგამომცემლო მოღვაწეობასთან ერთად, ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის მეცნიერ-ეკონომისტთა არაერთი თაობის აღზრდისა და სამეცნიერო-პედაგოგიური ცხოვრების დიდ გზაზე დაყენების საქმეში. რაოდენ სასიხარულოა, რომ მის მიერ აღზრდილი თაობები დღეს წარმატებით განაგრძობენ თავის დროზე ბატონი პაატას თაოსნობით დაწყებულ დიდ საქმეებს. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ინსტიტუტის ამჟამინდელი დირექტორის, პროფესორ რამაზ აბესაძის თაოსნობითა და რედაქტორობით ეკონომიკის ინსტიტუტში ქართული ეკონომიკური ჟურნალის – "ეკონომისტის" აღდგენა-გამოცემა, რომელიც უკვე მეორე წელია შეუფერხებლად მიეწოდება მკითხველ საზოგადოებას და მის მაღალ შეფასებას იმსახურებს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ალბათ ცოტა მოიძებნება ისეთი ფართო ერუდიციის მქონე მეცნიერი, როგორიც იყო აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, რომელიც ასე უხვად იყო დაჯილდოებული მაღალნაყოფიერი მეცნიერული კვლევის, ტექსტის მეცნიერული რედაქტირების უნარითა და საგამომცემლო-პოლიგრაფიული საქმიანობის ღრმა ცოდნით. მან ამ მხრივ ძალზე მდიდარი მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომლის შესწავლა თანამედროვეობისა და მომავალი თაობის საშური საქმეა.

3/VI–2010

როლანდ სარჩიმელია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ფიზ. მათ. მეცნ. კანდიდატი

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილის დამაკვალიანებელი მიდგომა მეცნიერ მუშაკის ახალი სამეცნიერო პროგლემით დასაინტერესებლად

პროფესორი ნიკო იაშვილი აღნიშნავდა, რომ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი პაატა გუგუშვილი მეცნიერ თანამშრომლებს პერსპექტიული საკვანძო თემატიკის შესარჩევად პირობებს უქმნიდა. ანალოგიური აზრი ჰქონდა პროფ. ოთარ სადარეიშვილს. მეც მალე დავრწმუნდი, რომ ბატონი პაატა ინსტიტუტის პერსპექტიული პრობლემის ახლებური გააზრების საშუალებას იძლეოდა. საქართველოს ეკონომიკაზე ამ დიდ მეცნიერთა გონივრული დასკვნებით აღფრთოვანებული ვიყავი და მათი მსჯელობებიდან გამომდინარე, ვცდილობდი ქვეყნის სასიკეთო ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შედგენას.

ეკონომიკაში მათემატიკის გამოყენებაზე მსჯელობასთან დაკავშირებით ბატონ პაატასთან მოუმზადებელ შეხვედრას არ ვჩქარობდი. თუმცა, სულ მალე შემოქმედებითი ძალების მოსინჯვის წინაშე აღმოვჩნდი, როდესაც ბატონმა პაატამ კითხვა დამისვა, თუ საქართველოს სოფლის განვითარების ოპტიმიზაციის როგორი მოდელი წარმომედგინა.

ეს ის პერიოდია, როდესაც თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტიდან ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ახალი გადმოყვანილი ვიყავი, მშენებლობის ეკონომიკასა და მედიცინაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების მცირე გამოცდილებაც მქონდა. მეგონა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ელემენტების ჩართვით შევძლებდი ქართული სოფლის განვითარების პერსპექტიულ მოდელზე მსჯელობას.

პასუხის ეფექტურად გაცემის სურვილს ბატონი პაატა მიმიხვდა და აზრი შემაშველა, რომ თანამედროვე ტექნიკური პროგრესით სოფელმა უნიკალური მიმზიდველობა და სხვა მრავალი რეალური ბუნებრიობა არ უნდა დაკარგოს, ხოლო სოფლის ქალაქად გადაქცევა სხვა საქმეა და დიდ სიფრთხილეს მოითხოვსო (რაც ამჟამად, მაღალი დონის სარისკო, მაგრამ აუცილებელ საქმედ ითვლება).

შემდგომ, ბატონ ნიკო იაშვილთან მსჯელობით დავაზუსტე, თუ რას გულისხმობდა ბატონი პაატა ქართული სოფლის მოდელში, რომ საჭიროა ფრთხილი "პოლიტიკა" და არ შეიძლებოდა სოფლის მოსახლეობის ქალაქში "თავშესაფარის საძებნელად მიშვება", სოფლის "კადრი" ქალაქისათვის, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ზედმეტია, ხოლო იგი სოფელს შესამჩნევად აკლდებაო როგორც შრომითი რესურსი და ა.შ. ბატონმა ნიკომ ისიც დამიზუსტა, რომ, როგორც მათემატიკოსმა, საქართველოს სოფლის მოდელის უნიკალურობაზე სხვაგვარი ხედვა უნდა მოახერხო, როგორც ბატონმა პაატამ ამაზე მიგანიშნაო. შენ მათემატიკის გამოყენებით აუცილებელია გამოხატო ის, რისი თქმის უფლება სოფლად ცხოვრების პირობების ცვლილებაზე ეკონომისტებს არ გვაქვსო.

აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა ჟურნალ მოამბეში ჩემი სტატიების წარდგენისას მირჩია, რომ ახალი მოდელების კონკრეტული მაგალითებით გამეგრძელებინა კვლევითი მუშაობა. ბატონ პაატას კაბინეტში მომეცა საშუალება პროფ. ნიკო იაშვილთან და პროფ. ოთარ საღარეიშვილთან ერთად, რეალური მსჯელობა დამეწყო საქართველოს სოფლის მოდელის ფორმირებაზე. რასაც შემდგომ, ობიექტური მიზეზების გამო, განხორციელების საშუალება არ მიეცა.

ინსტიტუტის ახალმა ხელმძღვანელობამ უკვე 1978 წლიდან სხვა თემის შესრულება დამავალა. მიუხედავად ამისა, დიდი ინტერესი საქართველოს სოფლის მოდელის ფორმირებასა და მის ოპტიმიზაციაზე მაინც დამრჩა, მაგრამ შემდგომ შესაბამისი პრობლემის ჩამოყალიბებისა და კვლევის პირობები არ შემექმნა. ერთხანს ვცადე საქართველოს სოფლის მეურნეობაში ღრმად გარკვეული ემკ დურსუნ დიასამიძის დაინტერესება საქართველოს სოფლის მოდელზე გამეაქტიურებინა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბატონი დურსუნის აზრი ბატონ პაატას შეხედულებებზე სოფლის მოდელის შესახებ დადებითი იყო, ამისათვის მან მაინც ვერ "მოიცალა".

მოგვიანებით, პირადა ემკ. მზია ქებურიასთან ერთად, გამოვაქვეყნე სტატია სათაურით: “თავისუფლების რთული ხასიათი სოფლად მოსახლეობის გაღარიბების პირობებში” (სამეცნიერო შრომების კრებული. აგრარული მეცნიერების პრობლემები. ტომი XXX. თბილისი, 2005).

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის გონივრული ხედვის გამოყენება ქვეყნის ეკონომიკას ამჟამადაც სჭირდება. ისიც არსებითია, რომ მეცნიერ ეკონომისტთა მონაწილეობისა და მათ მიერ პასუხისმგებლობის აღების გარეშე ქვეყანა არ უნდა იმართებოდეს.

დასანანია, რომ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს პაატა გუგუშვილს პერსპექტიული ჩანაფიქრის განხორციელებაში დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს.

ცნობილ მეცნიერთა შეხედულებები აკადემიკოს პაატა გუგუშვილზე

კონსტანტინე გამსახურდია

პაატა გუგუშვილის მონოგრაფიები

მე დაუცხრომელი მკითხველი გახლავართ ხალხთა საზოგადოებრივი და მორალური ყოფიერების პრობლემებზე დაწერილი მონოგრაფიებისა, კერძოდ, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების – სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, არქიტექტურის, ვაჭრობისა და სხვა საკითხებზე. მ .ბროსეს, ნ. მარის, ი. ჯავახიშვილის, ე. თაყაიშვილის, გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევებთან ერთად ბევრი რამ ჩემთვის საინტერესო წამიკითხავს პაატა გუგუშვილის მონოგრაფიებშიც. ეს მონოგრაფიები გამომდგომია მე. მაგალითად, "დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის" და "ვაზის ყვავილობის" წერის დროს.

სავსებით სამართლიანად წერს პროფ. ნ. იაშვილი, რომ პ. გუგუშვილის მონოგრაფიები, მაგალითად, მევენახეობისა და მეღვინეობის ეკონომიკის საკითხებზე ისეთი ღრმამეცნიერული გამოკვლევებია, რომ მათ გვერდს ვერ აუვლის ამ დარგის ვერც ერთი მკვლევარიო; აქ მე მინდა დავსძინო, რომ მის მონოგრაფიებს გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი მწერალი, რომელიც შეეცდება ასახოს შესაბამისი ეპოქების საქართველოს სოციალური ყოფიერების, მატერიალური კულტურის, მეურნეობათა დარგების, სამეურნეო ჩვევებისა და თაოსნობის, კლასთა ბრძოლების, საერთოდ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მოძრაობა.

მე დავსწრებივარ ფრიად ცხარე და დიდხნობით გაგრძელებულ დისკუსიებს პაატა გუგუშვილის წიგნების გარშემო, მარტივად მოაზროვნე ადამიანისათვის, ხშირად თვით მეცნიერისთვისაც ძნელია ახალი აზრების, ახალი მიღწევების, მოვლენების დიფერენციული ჭვრეტისა და გაგების დროული აღქმა. ხშირად მოწინააღმდეგენი რიცხობრივად ბევრნი ყოფილან, ხოლო მხარისდამჭერნი ცოტანი, მაგრამ იგი ყოველთვის თავის სიმაღლეზე მდგარა მეცნიერებაში ახალი აზრების შემოტანისა და დანერგვისათვის, მაღალი მომთხოვნელობის დამკვიდრებისათვის, ცრუმეცნიერთა მხილებისათვის, ძველ და დრომოჭმულ შეხედულებათა უარყოფისათვის ბრძოლებში, მიუხედავად იმისა, ვინ უნდა ყოფილიყო და რამდენიც არ უნდა ყოფილიყო ჩამორჩენილობისა და რუტინიზმის დამცველი.

როგორც მწერლობაში, ისე მეცნიერებაშიც ძალიან ხშირად ხდება, რომ ერთი ათასებზე მეტს აკეთებს და მარტოოდენ მოჭარბებულ სიმრავლეზე მინდობილთა იმედები ფიასკოს განიცდიან, ისე, რომ ისინი თავიანთი უმწეობის გამოჩენითაც უიმედოდ ნადგურდებიან, ზოგიერთი მათგანის სახელები თუ შერჩება ლიტერატურის ისტორიას, უმთავრესად იმით, რომ ისინი ამა თუ იმ დიდი მწერლის, თუ მეცნიერის წინააღმდეგ რაიმე ცილისმწამებლური ბრალდებისა თუ მონაჭორთა გამავრცელებლების არასასახელო როლში გამოსულან.

ისიც უნდა აღინიშნოს, კლოდ ჰელვეციუსის თქმისა არ იყოს, რომ უმეცრებისა და ჩამორჩენილობის მფარველები კაცობრიობის ყველაზე დაუძინებელი მტრები არიან.

პაატა გუგუშვილმა თავისი ხანგრძლივი ფრიად ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობით მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას. მართალია, ეკონომიკურ საკითხებზე საქართველოში სხვა ბევრიც წერდა, მაგრამ მათ შორის ყველაზე ცნობილ მეცნიერთაც მხოლოდ, ასე ვთქვათ, ეპიზოდურად შეეძლოთ გამოსულიყვნენ.

მეცნიერების ამ დარგში ნამდვილად სისტემური კვლევა-ძიების ტრადიცია დააფუძნა პაატა გუგუშვილმა, რომელმაც თავისი მრავალი სქელტანიანი ტომით, დიდმნიშვნელოვანი საკითხების წამოყენებითა და გაშუქებით, სწავლულ ეკონომისტთა ახალი კადრების აღზრდით, ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზაციით, თვით მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებითა და სხვ. შექმნა ეკონომისტთა ქართული სკოლა, რომელიც მეცნიერების მოწინავე რიგებში დგას.

12. VII. 1963.

გიორგი ლეონიძე
აკადემიკოსი

პაატა გუგუშვილი არ ეკუთვნის ისეთ მეცნიერთა რიცხვს რომლებიც ფიქრობენ: მე მითქვამს და გაიგებენ თუ არა, რა ჩემი საქმეაო. არა, ის თავისი აზრებისა და იდეების დაუცხრომელი პროპაგანდისტია. მე არ მეგულება ჩვენში მეცნიერი, რომელსაც მის ასაკში მასზე მეტი დაეწეროს და რაც მთავარია, რომლის შრომებსაც იმდენი საჯარო და ხანგრძლივი დისკუსიები გამოეწვიოს, რასაც, ცხადია, ყოველთვის დიდი სარგებლობა მოჰქონდა მეცნიერული აზრის შემდგომი განვითარებისათვის. იგი ყოველთვის პრინციპული საწყისებიდან იბრძოდა ამ გზაზე, სადაც მას არამცირედი მსხვერპლიც გაუღია.

მინდა ისიც აღვნიშნო, რომ პაატა გუგუშვილი არის არა მხოლოდ საქვეყნოდ გამოჩენილი ეკონომისტი და სოციოლოგი, იგი ამასთანავე არის ქართული მწერლობის და ხელოვნების დიდი მოყვარული და დამფასებელი, საერთოდ ძველი და თანამედროვე ქართული კულტურის საფუძვლიანი მცოდნე და პროპაგანდისტი და არა მხოლოდ ჩვენს, არამედ უცხოეთის ქვეყნებში და ამ მხრივაც მას მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი მშობლიური ცივილიზაციის წინაშე.

1965 წელი

ფილიპე გოგიჩაიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პაატა გუგუშვილი საქართველოსა და ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ

სულ ორიოდე თვეა, რაც გამოვიდა პროფ. პაატა გუგუშვილის ეს ფრიად საყურადღებო ნაშრომი, – საყურადღებო როგორც გამოკვლევის თემისა და საგნის მნიშვნელობის მხრივ, ისე შესრულებისა და შინაარსის მხრივ. ნაშრომი უდავოდ მოწმობს იმას, რომ ავტორს დიდი მუშაობა ჩაუტარებია არსებული საკითხის გამოსაკვლევად და, რაც მთავარია, ეს მუშაობა მეტად ნაყოფიერი გამომდგარა, რასაც დიდის სიამოვნებით, აქვე, დასაწყისშივე, აღვნიშნავ, ხოლო ქვემოთ უფრო დასაბუთებით მოვიხსენიებ.

მე მომსწრე და ნაწილობრივ დამსწრე ვარ – მისი სტუდენტობის დროიდანვე – ავტორის მუშაობისა და არ გამემტყუნება, თუ განმეორებით გამოვთქვამ სიხარულს, რომ მან ესეოდენ ნაყოფიერ შედეგს მიაღწია თავის მუშაობაში.

ჟურ. "მნათობი" № 10, 1941.

როინ მეტრეველი
აკადემიკოსი

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი ჭეშმარიტად იყო არამარტო გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტი, სოციოლოგი, დემოგრაფი და ჟურნალისტი არამედ ერთ-ერთი გამოჩენილი ისტორიკოსიც. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოსა და საერთოდ სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური ისტირიისადმი მიძღვნილი მისი მონოგრაფიების შვიდტომეული (თითოეული საშუალოდ 50 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით) ისეთი გამოკვლევაა, რომელსაც ამ პრობლემაზე მომუშავე ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. ამ მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობით მან საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ერის ცხოვრებაში და შთამომავლობას უძვირფასესი განძი დაუტოვა.

ჩემი სტუდენტობის წლებიდანვე მახსოვს, თუ როგორ ჰქუხდა ბატონი პაატას სახელი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც (ის ხომ წლების განმავლობაში იყო არჩეული სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესის აღმასკომის წევრად), მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ოდესმე მეც მარგუნებდა ბედი მასთან თანამშრომლობას, მაგრამ წარმოიდგინეთ ეს ოცნება ამიხდა. ჩვენ რამდენიმე წელიწადი ვითანამშრომლეთ საქართველოს ენციკლოპედიაში, როცა მთავარი სარედაქციო კოლეგიის სხდომას მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი – პ. გუგუშვილი ესწრებოდა ყველანი დაძაბულნი ვიყავით, რადგანაც იგი მცირეოდენ უზუსტობასაც კი არავის აპატიებდა.

პ. გუგუშვილი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწეც. ერის სახელით საზოგადოებისადმი მიმართვისა და საქვეყნო საჭირბოროტო პრობლემებზე თავისი ნაფიქრალ-ნააზრევით საჯაროდ გამოსვლის მორალირი უფლება ყველას როდი

აქვს. ბატონი პაატა იყო ის კაცი რომელსაც არამარტო ჰქონდა ასეთი უფლება (რა თქმა უნდა დაუწერელი კანონებით), არამედ, ერის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს მოეთხოვებოდა კიდეც, ამ საპატიო და ფრიად საპასუხისმგებლო მოვალეობას იგი პირნათლად ასრულებდა, საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ, საქართველოში დემოგრაფიული კრიზისის მოახლოებასთან დაკავშირებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მისი საჯარო გამოსვლები, რომელსაც ფართოდ გამოეხმაურა საზოგადოება.

პ. გუგუშვილის როგორც საოცრად ერუდირებული და ფართო დიაპაზონის მეცნიერ-მკვლევარის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა ნათელი დასტურია იმისა, თუ როგორ შეიძლება თავისი ინტელექტუალური მონაცემების მაქსიმალური მობილიზებით ასახელოს ტრადიციულ ოჯახში აღზრდილმა პიროვნებამ თავისი ერი, ქვეყანა და შორს გასტყორცნოს საკუთარი სამშობლოს სახელი.

ანდრია აფაქიძე
აკადემიკოსი

წილად მხვდა ბედნიერება, რომ ვყოფილიყავი სტუდენტი ისეთი ბრწყინვალე მეცნიერისა და სიტყვის დიდოსტატის, როგორიც პაატა გუგუშვილი იყო. ამიტომ ქართველი ერის ამ სასიქადულო შვილისადმი უღრმეს პატივისცემას ყოველთვის სათუთად ვინახავდი, ვინახავ დღესაც და შევინახავ მომავალშიც, ვიდრე აზროვნება ამის საშუალებას მომცემს.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ თავისი უაღრესად ღრმა შინაარსიანი და მრავალწახნაგოვანი მეცნიერული მემკვიდრეობის მეოხებით, აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა ქართული ეკონომიკური მეცნიერება სრულიად ახალ მაღალ საფეხურზე აიყვანა და საკუთარი ორიგინალური შეხედულებები საერთაშორისო მასშტაბითაც საკმაოდ ხელმისაწვდომი და ანგარიშგასაწევი გახადა.

თავისი ფუნდამენტური გამოკვლევებით მან ეკონიმიკურ, დემოგრაფიულ, სოციოლოგიურ, ფილოლოგიურ, იურდიულ მეცნიერებებთან ერთად უხვად გაამდიდრა ქართული ისტორიული მეცნიერებაც. ამის დასტურია მისი თუნდაც მონოგრაფიების შვიდტომეული "საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX ს.ს." (300 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით), რომელმაც როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მოდვაწე მრავალი გამოჩენილი მეცნიერის ყურადღება მიიქცია.

ვლადიმერ პაპავა
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დიდი ერისკაცი

თითოეული ადამიანის ცხოვრებაში გარკვეული პიროვნებები სხვადასხვა გზით, სხვადასხვა დროს შედიან და მათ მომავალზეც სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენენ. ჩემს ცხოვრებაში აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი მაშინ შემოვიდა და ღრმა კვალი დააჩნია ჩემს ცნობიერებას, როცა მე ჯერ კიდევ პატარა ვიყავი. ყველა ბავშვს აინტერესებს გაიგოს, თუ ვინ არის ყველაზე დიდი ამა თუ იმ სფეროში; მეც იმის გამო, რომ ეკონომისტის ოჯახში ვიზრდებოდი, მაინტერესებდა გამეგო, თუ ვინ იყო ყველაზე დიდი ქართველი ეკონომისტი. ამ კითხვით ხშირად მიმიმართავს მამისათვის და მისგანაც ყოველთვის არგუმენტირებული პასუხი გამიგია, რომ ყველაზე დიდი ქართველი ეკონომისტი აკადემიკოსი პაატა გუგუშვილია. იგივე აზრი ხშირად გამიგია იმ შეხვედრებზეც, როცა ცნობილი ქართველი ეკონომისტები ჩვენს ოჯახში იკრიბებოდნენ და ეკონომიკაზე ბჭობდნენ.

ბატონი პაატა გუგუშვილის სახელის უკვდავებაში ჩემ მცირე წვლილად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ როცა 1991 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა დირექტორად ამირჩიეს, მათ შევპირდი, რომ აღვძრავდი ინსტიტუტისათვის მისი დამაარსებლის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელის მინიჭების საკითხს. სრულიად სამართლიანად ხელისუფლებამ გაიზიარა ჩემი თხოვნა და ბატონი პაატას სახელი ამშვენებს დღეს ინსტიტუტს.

იმედია, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი ღირსეულად ატარებს ამ დიდი ქართველის სახელს.

ნოდარ ჭითანავა
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მან ეროვნულ ბურჯებზე აააგო ხიდი, რომელიც წარსულს, დღევანდელობასა და მომავალს მყარად აერთებს

პაატა გუგუშვილის როლი და ადგილი ისტორიულ მეხსიერებაში დიდი ხანია შეფასდა და განისაზღვრა, სიცოცხლეშივე აღიარეს, როგორც ქართული ეკონომიკური სკოლის შემქმნელი. ეს დიდი გამარჯვება იყო, მით უმეტეს, ქართულ სინამდვილეში, როცა ნიჭიერ თუ უნიჭოთ სხვა ნიჭიერთა დამსახურების აღიარება ყოველთვის და ყველა პოლიტიკურ ეპოქაში უჭირდათ (ახლს ასეა სამწუხაროდ). რაც დრო გადის უფრო ძლიერდება მნიშვნელობა პაატა გუგუშვილის მეცნიერული მემკვიდრეობისა, გვჯერა, რომ იგი მომავალშიც იქნება

არა მხოლოდ მეცნიერული ინტერესის საგანი, არამედ ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიო ინტერესების შერწყმა-განპირობებულის დონისა და ხარისხის შესწავლისა და განსაზღვრის მეთოდოლოგიური ბაზაც, სწორედ ამაში ვხედავთ პაატა გუგუშვილის შემოქმედების ეროვნული მნიშვნელობის განსაკუთრებულობას.

პირველ რიგში უნდა ითქვას ის, რომ პაატა გუგუშვილი მრავალსაუკუნოვანი ეკონომიკური მეცნიერული აზრის მდიდარ ტრადიციებზე ჩამოყალიბდა. ღრმა ინდივიდუალიზმით, ხშირად გამომწვევი მრავალფეროვნებითაც, იგი გაბედულად შევიდა სამეცნიერო სამყაროში. არა მხოლოდ აღიქვა და გაიზიარა მისი ფორმა და შინაარსი, ლოგიკა განვითარებისა, არმედ როგორც აღქმული, ასევე საკუთრივ მიგნებული ციცაბო ბილიკებით იარა, თანაც თამამად, გამომწვევადაც და მიაღწია მეცნიერების საკუთარ მწვერვალს. უპრიანია იგი ოფიციალურადაც პაატა გუგუშვილის სახელს ატარებდეს და იქ სამუდამოდ განსაზღვრა საკუთარი, დროისა და სივრცეში მოზომილი სიმაღლე აზროვნებისა. მას თავად ბუნებით რომანტიკოსს არასოდეს ჰქონია უფსკრულის ორი ნახტომით დაძლევის ილუზია. ბობოქარი სულის მეცნიერი საკუთარი ხელწერით ამდიდრებდა და აძლიერებდა მეცნიერულ აზრს საერთოდ. იგი სრულად ფლობდა ქართული სიტყვის ძალას, საჭირო, დროის შესაფერის ფორმასა და ენერგიას მატებდა მას, რათა ზოგადსაკაცობრიო იდეალების აღქმის, მათი ეროვნულ ნიადაგზე ობიექტურად გააზრების საშუალება მისცემოდა მის თანამემამულეთ. ამ თვალსაზრისთა დიდი განმანათლებლის როლს ერთგულად და ღირსეულად ასრულებდა. შემოქმედებითი სრულყოფის დაუოკებელი სურვილით, ფართო ერუდიციით, მრავალმხრივი განათლებით, შემოქმედებითი პოტენციით პაატა გუგუშვილმა – ახალგაზრდა მეცნიერმა დროის გამოწვევა მიიღო, ისე რომ საკუთარ შემოქმედებაში პაუზა არ დაუშვია, და თავად დროს შესთავაზა ისტორიული სინამდვილის ობიექტურად შეფასებისა და ქვეყნის მომავლის წარსულის წიაღიდან სწორად განჭვრეტის საკუთარი პოზიცია და ისტორიული მოვლენების, ეკონომიკური ცხოვრების ადათ წესებისა და ეროვნული თავისებურებისათვის ანგარიშგაწევის მკაცრი ლოგიკა-მოთხოვნა. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ მისი როგორც მოაზროვნის ფორმირებისა და მეცნიერული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობის პირობა-ფაქტორი. იგი დროის წინააღმდეგ კი არ წასულა, დრო რეალური სინამდვილით გაცნობიერებული და გააზრებული მოქმედება შესთავაზა. აი, ამას ჰქვია მეცნიერება, ამიტომაა იგი მისი აღმატებულება-მეცნიერება რჩეულთა ხვედრი, ხოლო პაატა გუგუშვილი რჩეულ მეცნიერთა შორის რჩეული.

დიდების და უკვდავების კვარცხლბეკზე აღმართულ მონუმენტურ ფიგურას ერთი განსაკუთრებული ხიბლი თავისებურებაც აქვს. მისი საძირკველია, ეროვნულ ბურჯებზე აგებული ხიდი, რომელიც წარსულს, დღევანდელობას და მომავალს მყარად აერთებს. პაატა გუგუშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური აზროვნების მშენებლობა კონსტრუქტორმა და არქიტექტორმა ამ ხიდზე უზენაესი ნიჭით და ლიდერობით გამოატარა ეკონომიკური აზრის ქართულ-ეკონომიკური მეცნიერებათა გარდაქმნის მრავალმხრივი და წინააღმდეგობრივი პროცესი. სწორედ ამიტომ პაატა გუგუშვილი სამივე დროშია წარმოდგენილი, თანაც ამაყად დგას მკვიდრად ნაგებ ეროვნულ კვარცხლბეკზე.

აკაკი სურგულაძე
აკადემიკოსი

ბატონი პაატა ეკუთვნოდა დიდი მამულიშვილისა და მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის გამორჩეულ მიწაფეთა იმ კოჰორტას, რომელიც მასწავლებლის სიცოცხლეშივე ჩადგა ქართველოლოგიის სამსახურში, მეტი სიღრმე და გასაქანი მისცა მას და აიყვანა განვითარების ახალ სიმაღლეზე. ისევე, როგორც სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილს, გიორგი ჩიტაიას, ბატონ პაატას მომადლებული ჰქონდა ნიჭი მშობლიური ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ისტორიისა და კულტურის სიღრმეებში წვდომისა... იგი აღიარებული იყო პატრიარქად ქართველ ეკონომისტთა დიდი ოჯახისა. დღეს, ალბათ, ვერავის დავასახელებთ, ამდენი მოწაფე რომ ჰყოლოდეს. მისი ხელდასხმით ასპარეზზე გავიდა რამდენიმე თაობა ქართველი ეკონომისტებისა, რომლებიც დღეს წარმატებით მოღვაწეობენ სამეურნეო თუ სამეცნიერო ცხოვრების სხვადასხვა უბანზე.

1987.

იური კაჭარავა
აკადემიკოსი

პაატა გუგუშვილი იკვლევს რა ქართული ეროვნული კულტურის ისტორიას, ის ყურადღებას ამახვილებს იმ სოციალურ-ეკონომიკურ წანამძღვრებზე, რომელთაც განაპირობეს ამ კულტურის ესოდენ მაღალი განვითარება საქართველოში ადრეულ და განვითარებულ სტადიაზე. ასე მაგალითად, მან ვენეციის, ფლორენციისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების შესაბამის მოვლენათა შედარებითი ანალიზის გზით XII-XIII სს. საქართველოსა და ამიერკავკასიაში დასავლეთი ევროპის რენესანსისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური მოვლენების ანალოგიური პროცესები შენიშნა და სათანადო დასაბუთებაც სცადა, ამით მეცნიერმა სავსებით ახალი სიტყვა თქვა ქართული რენესანსის ეკონომიკური წანამძღვრების შესახებ. ეს დასკვნა მთლიანად გაიზიარა დიდმა ეროვნულმა მოღვაწემ და უდიდესმა მოაზროვნემ შელვა ნუცუბიძემ. მან აღნიშნა, რომ შუასაუკუნეების საქართველოში წარმოქმნილი საკრედიტო ასოციაცია – ორტაღი – რენესანსის ეპოქის ერთ-ერთ ეკონომიკურ წანამძღვარს წარმოადგენდაო. (Творчество Руставели, 1958, Тб., с. 30-31).

1985.

სერგო ჯორბენაძე
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქართული წიგნის ქამთააღმწერელი

თბილისის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი პაატა გუგუშვილი 1926 წელს იწყებს მუშაობას ქართული წიგნის ისტორიაზე: სამი წლის შემდეგ სრულდებოდა 300 წელი პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნის გამოცემიდან.

უაღრესად ხელსაყრელ შემოქმედებით გარემოში უხდებოდა მუშაობა სტუდენტს. სახელოვანი პროფესორი, უნივერსიტეტის დამაარსებელთაგანი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, მაღალი მეცნიერული დონის სემინარში გაძლიერებული აკადემიური მოთხოვნილებით წარმართავს სადიპლომო ნაშრომზე სტუდენტის კვლევა-ძიებას.

დიდი ივანე ჯავახიშვილი ხელნაწერშივე ეცნობა სადიპლომო ნაშრომს და უაღრესად ძვირფას შენიშვნებს აძლევს ავტორს, უწონებს გულმოდგინებას და ნიჭიერებას.

ბეჭდვითი სიტყვის გამოჩენილი მოამაგე ნიკო ნიკოლაძე შეუცვლელი კონსულტანტია, როცა საქმე ეხება ძველი ცენზურის მიერ დასახიჩრებულ ანდა მოსპობილ გამოცემებს.

თავდაუზოგავად აგროვებს სტუდენტ პ. გუგუშვილი იშვიათ გამოცემებს ბუკინისტურ მაღაზიებსა და კერძო წიგნთსაცავებში. იგი ჭაბუკური გამბედაობით პირადად ხვდება XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეებს, რომელთაგან თითქმის არავის დაუტოვებია მემუარები და რომლებიც პირველწყაროების სიზუსტით უდასტურებენ ყოველ ბუნდოვან მოვლენას ქართული ბეჭდვითი სიტყვის ახალი ისტორიიდან.

გიორგი წერეთელი
მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის
სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის
დირექტორი, სახელმწიფო პრემიის
ლაურეატი, ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

დიდება და არ დავიწყება აკადემიკოს პაატა გუგუშვილს

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი მიეკუთვნება იმ ქართველ ეროვნულ შემოქმედთა შესანიშნავ პლეადას, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ჩვენი ქვეყნის მეცნიერების განვითარების საქმეში. იგი იყო უნივერსალური ცოდნის მქონე მეცნიერი მკვლევარი და მაღალი ეროვნული თვითშეგნების მატარებელი საზოგადო მოღვაწე. იგი ერთნაირი წარმატებით სწავლობდა ეკონომიკის, ისტორიის, დემოგრაფიის, სოციოლოგიისა და სხვა პრობლემებს. აქტიურ მონა-

წილეობას ღებულობდა ქვეყნის ეროვნული საკითხების გადაწყვეტაში, მთელი თავისი არსებით უჭერდა მხარს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას.

თამაზ ჩიკვაიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დიდი მეცნიერის უკვდავება

უდიდესი მნიშვნელობისაა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეცნიერული საქმიანობის რეალური შედეგები. ქართული ეკონომიკური მეცნიერების ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია. მასში მრავალი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ეკონომისტი მონაწილეობდა და მონაწილეობს, რადგან იგი გრძელდება საბაზრო მეურნეობის დამკვიდრებასთან დაკავშირებით თეორიული ტრანსფორმაციის აუცილებლობის გამო. მიუხედავად ამისა, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის უპირველესი როლი ქართული ეკონომიკური მეცნიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში შეუდარებელი დარჩება სამუდამოდ და ყოველთვის, რადგან ამ პირველობას მას ვერავინ შეეცილება. მან საფუძველი ჩაუყარა ამ მეცნიერებას საერთოდ და მის მრავალ მიმართულებას. სწორედ მისი უდიდესი ძალისხმევის შედეგად ჯერ კიდევ ომის პერიოდში შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, რომლის დირექტორადაც იგი მუშაობდა 1944 - 1976 წლებში. ამ ინსტიტუტის წვლილი ქართული ეკონომიკური აზროვნების განვითარებაში ყოველთვის იყო და არის ერთ-ერთი განმსაზღვრელი. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ძალისხმევით ჩამოყალიბდა სოციოლოგიისა და დემოგრაფიის განყოფილება ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, რომლის ბაზაზეც შემდეგ დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის დამოუკიდებელი ინსტიტუტი დაარსდა. უდიდესია მისი წვლილი ქართული ენციკლოპედიის შექმნაში, ეკონომიკური ტერმონოლოგიის დამკვიდრებაში. განსაკუთრებით ფასდაუდებელია აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მოღვაწეობა საქართველოში მეცნიერ ეკონომისტთა კადრებისა და სპეციალისტების მომზადების საქმეში. იგი ათწლეულების განმავლობაში სათავეში ედგა სადოქტორო და საკანდიდატო დისერტციების დაცვის სამეცნიერო საბჭოებს, უშუალოდ ხელმძღვანელობდა მრავალი მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის მომზადებას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა პოლოტიკური ეკონომიის, სახალხო მეურნეობის ისტორიის, სტატისტიკის სოციოლოგიის კურსს.

გიორგი პაპავა
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩემში აღბეჭდილი აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახე

ბატონი პაატა იყო არა მარტო დიდად განსწავლული მეცნიერი, მუხლ-ჩაუხრელი მშრომელი და ერუდიტი-მკვლევარი, არამედ დიდი ერის კაცი. მან ააღორძინა საქართველოში ქართული ეკონომიკური ჟურნალი და დააარსა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი.

იგი ყოველთვის ქართველი ერის ინტერესებს იცავდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის ძალისხმევას და მეცნიერულ ღვაწლს ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის დახვეწაში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი პაატა პრინციპული და კატეგორიული პიროვნება იყო, რომელსაც წაყრუება ვერ წარმოედგინა. იგი გამოირჩეოდა გულისხმიერებით და, რაც მთავარია, მართალი კაცის დამცველი იყო. მან კარგად იცოდა მეგობრობაც და საჭირო შემთხვევაში შეტევაც იქ, სადაც ამის აუცილებლობა იგრძნობოდა. ეს მისი კაცური-კაცობის ნიშანთვისება გახლდათ.

გრიგოლ თოდუა
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ეროვნული ცნობიერებით გამსჭვალული მოღვაწე

ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას, ალბათ, იშვიათად თუ ჰყოლია ესოდენ მრავალმხრივ განათლებული ეკონომისტი, გამორჩეული ნიჭითა და კვლევა-ძიების დაუცხრომელი უნარით. ყველასათვის მისაბაძი თვითდისციპლინა და ბრწყინვალე მეხსიერება მას საშუალებას აძლევდა სიღმისეულად გაეშუქებინა ქართველი ხალხის ეროვნული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ყოფის მრავალი ასპექტი. ბატონმა პაატამ დაგვიტოვა მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომლის შესწავლა ყოველი თაობის ქართველ მკვლევართა საპატიო მოვალეობაა. მისი ნაშრომები XIX-XX სს. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების შესახებ საისტორიო მეცნიერების უდიდესი შენაძენია. მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული ჟურნალისტიკისა და ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის შესწავლაში, სოციოლოგიურ პრობლემათა დამუშავებაში და ა.შ.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი იყო დიდი პედაგოგი და ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარების გამოჩენილი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. მისი თავკაცობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბდა ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც იგი სამ ათეულზე მეტი წლის მანძილზე წარმატებით ხელმძღვანელობდა. გამოჩენილი მეცნიერი ისეთივე სიდიადით მოევლინა ქართულ საზოგადოებას, რო-

გორც მისი ინტელექტუალური მიღწევები, თვითონვე რომ არის დამოკიდებული პიროვნების სულიერი ცხოვრების სიდიადის ხარისხზე.

გიორგი ადეიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, როგორც ერის რჩეული შვილი, მტკიცედ დამკვიდრდა ქართული მეცნიერების ისტორიაში, რაც ერთეულთა ხვედრია. მართებული იქნებოდა აქ გაგვეხსენებინა დიდი შალვა ნუცუბიძის ბრძნული გამოთქმა: "ისტორია არ არის საბუღალტრო წიგნი, რომელშიც ყველა ადამიანი უნდა ჩაიწეროს. მასში ადგილს იმკვიდრებს ის, ვინც ქმნის მეცნიერულ აზრებს და მიმართულებებს".

მეცნიერების მწვერვალებისკენ ბატონი პაატას სავალი ბილიკები ია-ვარდებით არ ყოფილა მოფენილი. მისი დიდი მეცნიერული მოღვაწეობა საწინააღმდეგო აზრთა ჭიდილში იწრთობოდა, რომელსაც იგი, როგორც მეცნიერების რაინდი, ყოველთვის ვაჟკაცური შემართებით ხვდებოდა. მისთვის მუდამ რჩებოდა დევიზად დიდებული ფლორენციელის სიტყვები: "იარე შენი გზით და, დაე, ვინც რა უნდა ის თქვას."

1985.

ოთარ სალარეიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის შემოქმედება ქართულ (და არა მარტო ქართულ) ეკონომიკათმცოდნეობაში უდიდესი მოვლენაა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მთლიანად არ არის შესწავლილი ამ მეცნიერის ნააზრევის თეორიული, ისტორიულ-ეკონომიკური და დემოგრაფიულ-სამართლებრივი ასპექტები. საქმე ის არის, რომ მისი შემოქმედება ეკონომიკის სფეროში ის აქტუალური მიმართულებაა, რომელმაც მრავალი ადამიანი დააფიქრა და მეცნიერული შეფასებისათვის განაწყო, თანაც, არა მარტო ეკონომისტები, არამედ სხვა დარგთა მკვლევარებიც (ჟურნალისტები, ფილოლოგები, ისტორიკოსები, იურისტები და სხვა). მისი ორიგინალური შემოქმედება არ შეიძლებოდა აღმოცენებულიყო სპონტანურად. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია მისი დამოკიდებულება ეროვნული ტრადიციებისადმი და მისი მასწავლებლის, ივანე ჯავახიშვილის სულიერი სიფაქიზის დაუფლებისადმი. ამით უნდა აიხსნას ის, რომ იგი ხშირად გატაცებული იყო როგორც გლობალური, ასევე ერთი განსაკუთრებული საკითხის უაღრესად სიღრმისეული შესწავლით.

02.04.2000.

ბექირბი ხასია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

აკად. პ. გუგუშვილმა საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების, გეგმიანობის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ბიბლიოგრაფიის, ეკონომიკური და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის და სხვა პრობლემებზე გამოქვეყნებული ფუძემდებლური ნაშრომებით, სწავლულ ეკონომისტთა კვალიფიციური კადრების მომზადებით, აკადემიის სისტემაში ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზაციით, მეცნიერული კვლევის მდიდარი ტრადიციების დამკვიდრებით, მისივე ინიციატივით ჟურნალ "საქართველოს ეკონომისტის" აღდგენით, ახალი ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებით საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ეკონომისტების ქართულ სკოლას, როგორც დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში არის აღნიშნული: "ამიერკავკასიაში უძველესი ეკონომიკური მეცნიერული კვლევის ცენტრია – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი. საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს სსრ-დან შეიტანა პ. გუგუშვილმა".

1985.

გიორგი ნადარეიშვილი
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პაატა გუგუშვილი და ქართული სამართლის ისტორია

გერმანელი ფილოსოფოსის იმანუელ კანტის სიტყვების პერეფრაზირებას თუ მოვახდენთ, შეიძლება ვთქვათ, რომ მეცნიერმა პასუხი უნდა გასცეს სამ უმაღლეს და უმნიშვნელოვანეს კითხვას: რა შემიძლია? რა უნდა გავაკეთო? და რისი, რა შედეგის იმედი უნდა მქონდეს?

დარწმუნებული ვარ, რომ ჯერ კიდევ ოცი-ოცდაერთი წლის ახალგაზრდამ – პაატა გუგუშვილმა სწორი პასუხი გასცა სამივე ზემოხსენებულ კითხვაზე.

მას ბევრი რამის გაკეთება შეეძლო მეცნიერებაში, მაქსიმალურად გამოიყენა ეს შესაძლებლობა, დიდად იღვაწა როგორც მკვლევარმა, როგორც მეცნიერმა და სწორად განსაზღვრა, რომ მის ნაშრომ-ნაღვაწს შთამომავლობა დააფასებდა.

ბიძინა ლუტიძე
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პაატა გუგუშვილი – დიდი სოციოლოგი

პ. გუგუშვილი – ეკონომიკური მეცნიერების ბურჯი საქართველოში, ამასთანავე, სოციოლოგიურ გამოკვლევათა სწორუპოვარი მამამთავარიც იყო. სოციოლოგიური პრობლემატიკის კვლევა მის ცხოველ ინტერესს შეადგენდა ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისიდან.

ცნობილია, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში, მაშასადამე, ჩვენს ქვეყანაშიც, სოციოლოგია არ სარგებლობდა დამოუკიდებელი მეცნიერების სტატუსით. საზოგადოების შესახებ ერთადერთ ჭეშმარიტ მეცნიერებად ისტორიული მატერიალიზმი იყო აღიარებული, იგი მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა. დასავლური სოციოლოგიური თეორიები კი, კომუნისტური გაგებით, იდენტიფიცირებული იყო ყალბ, რეაქციულ, მტრულ ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, რომელიც მხოლოდ დაგმობისა და უკუგდების ღირსი უნდა ყოფილიყო. და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც თეორიული, მეტადრე კი გამოყენებითი სოციოლოგია წარმატებებს წარმატებებზე აღწევდა ინდუსტრიულ საზოგადოებათა საწარმოო ყოფიერებაში. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც საერთო-საზოგადოებრივი პროცესი არანაკლებ დამოკიდებული აღმოჩნდა სოციოლოგიურ გამოკვლევებსა და მათ შედეგებზე – სასარგებლო პრაქტიკულ რეკომენდაციებზე ტექნიკურ მონაპოვრებთან და რაციონალიზატორულ გაუმჯობესებებთან შედარებით.

თუ ვინმეს გასული საუკუნის შუახანებიდან მთელი სისრულით ჰქონდა შეგნებული სოციოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ეს უზარმაზარი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა საზოგადოებისათვის, და არა მარტო რესპუბლიკის, არამედ იმდროინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც, ეს უწინარეს ყოვლისა აკადემიკოსი პ. გუგუშვილი იყო.

აკად. პ. გუგუშვილმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ საფუძველი ჩაეყარა სოციოლოგიური გამოკვლევებისათვის საქართველოში, თუმცა ამას აკეთებდა არა პირდაპირი, არამედ შემოვლითი გზით, ეკონომიკურ მეცნიერებაზე დაყრდნობით, ვინაიდან პირდაპირი გზა სოციოლოგიისაკენ ჩაკეტილი ჩანდა. ამ მძიმე და მეტად საშიშ პერიოდში პ. გუგუშვილს სავსებით სწორი პოზიცია ეკავა სოციოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების საგნის გაგებასა და განსაზღვრაში. მართალია, როგორც ეკონომისტს, მას არ მოეთხოვებოდა ამ პრობლემის დეტალური გარკვევა, საკუთარი აზრის სისტემატიზებული გადმოცემა სოციოლოგიის საგნის შესახებ, სხვა მკვლევართა შეხედულებების ანალიზის, და მათთან საკუთარი მოსაზრებების შეჯერების ნიადაგზე, და მას არც არავითარი პრეტენზია არ განუცხადებია ამ მიმართულებით. უფრო უტყუარი იყო გეზი, რომელიც აიღო მან სოციოლოგიური გამოკვლევების წასამართავად, შეუმცდარი – მისი სოციოლოგიური ალღო.

თენგიზ ჭიაბრიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მეცნიერი – მოძღვარი

ჰეგელმა, გიმნაზისტების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში ასეთი შედარება მოიყვანა: "როგორც ანტეოსი იახლებდა საკუთარ ძალებს დედამიწასთან შეხებით, სწორედ ასევე მეცნიერებისა და განათლების ყოველი ახალი აყვავება და ზრდა ხდება წარსულისკენ მიბრუნების გზით".

შეგიმჩნევიათ, ალბათ, დროის პარადოქსი: რაც უფრო ვშორდებით წარსულს, მით უფრო ახლობელი ხდება იგი ჩვენთვის. ეს ეხება როგორც ცალკეული ადამიანების ბედს, ასაკში შესვლასთან ერთად გონების თვალით ხშირად რომ უბრუნდებიან წარსულს, ისე კაცობრიობის ბედსაც. ნაბიჯსაც რომ ვერ გადადგამს წინ, თუ უკან არ მოიხედა და თავიდან არ შეაფასა შორეული და ახლობელი თაობების მთელი სულიერი ფასეულობა.

ბატონი პაატა გუგუშვილის შემოქმედება ის წარსულია, რომლისკენაც ხშირი მიბრუნების გარეშე ძნელია, თუ შეუძლებელი არა, ნაბიჯის გადადგმა წინ.

გოეთე ამბობდა: ლესინგი უმაღლესი რანგის გონება იყო და მისგან სწავლა შეეძლო მხოლოდ მასავით დიდს. საშუალო გონებისათვის ის საშიში იყო.

დიდი პიროვნება რომ ცნო, თვითონაც რაიმეს უნდა წარმოადგენდე. ვფიქრობ, იგივე თამამად შეიძლება ითქვას პაატა გუგუშვილზე.

ცნობილია, რომ მეცნიერის ცხოვრება, როგორც წესი, ღარიბია გარე მოვლენებით. მისი ძირითადი შინაარსი იხსნება და ვლინდება მხოლოდ მის შემოქმედებაში, რაც ფასდება, როგორც მეცნიერის დიდი სულიერი მამაცობა.

ბატონი პაატა ამ მხრივაც უაღრესად ბედნიერი და ფრიად სასიამოვნო გამონაკლისი იყო.

მეცნიერის ცხოვრების აღწერა ყოველთვის საიდუმლოებითაა მოცული და აინტერესებს ახალგაზრდა მკითხველს, ვინაიდან მისთვის ყველაზე მწვავე საკითხია მარადიული კითხვა, რისთვის დავიბადე და როგორც ვ. მაიაკოვსკი წერდა - ვისით ვაკეთო ცხოვრება?!

ბატონ პაატა გუგუშვილის ცხოვრების აღწერა ამ კითხვაზე გასაცემი პასუხის ერთი შესანიშნავი ვარიანტთაგანია.

რევაზ კაკულია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი და თანამედროვეობა

XX საუკუნის ეროვნული მეცნიერება და საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოუდგენელია აკად. პაატა გუგუშვილის გარეშე. ამ პერიოდის საქართველოს მეცნიერ-ტიტანთა კოჰორტაში მას უაღრესად საპატიო ადგილი უკავია.

პაატა გუგუშვილმა უდიდესი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მეტად ძნელია მოიძებნოს საზოგადოებრივი ცოდნის ისეთი დარგი, რომელსაც იგი არ შეხებია. XX საუკუნის საქართველოში არ ყოფილა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი საკითხი, რომლის შესახებაც პატრიოტ მეცნიერს არ ეთქვას თავისი სიტყვა და საკუთარი წვლილი არ შეეტანოს ყველა დიდ ეროვნულ წამოწყებაში. იგი ამის გამო ფარულ თუ აშკარა დევნასა და შევიწროებასაც განიცდიდა.

აკად. პაატა გუგუშვილს საზოგადოებრივი განვითარების ისტორიისა და ეკონომიკური თეორიის უბადლო მცოდნეს, გააჩნდა განსაკუთრებული უნარი კვლევის პროცესში თანამედროვე მეთოდების გამოყენებით კოლოსალური ფაქტობრივი მასალების ანალიზის საფუძველზე გაეკეთებია ჭეშმარიტად მაღალმეცნიერული დასკვნები თანამედროვე ეკონომიკური თეორიის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად.

გურამ ყუფუნია
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

იგი თავისუფალი ცხოვრებით ცხოვრობდა

"მისთვის რა არის უბრალო ქება, ვისაც შეჰშვენის ქებათა ქება" – სწორედ ბატონი პაატასთანა მამულიშვილზე უთქვამს ბრძენ ქართველ ხალხს ეს სიტყვები.

ნებისმიერი მეცნიერების დარგში არის მსოფლიო თუ საერთაშორისო მასშტაბის თუნდაც რამდენიმე ქართველი მოღვაწე. ასეა ეკონომიკურ მეცნიერებაშიც. მაგრამ ბატონი პაატა ამ მხრივ ყველასაგან განსხვავდება, ის სრულიად ცალკე დგას ყველა დროის ქართველ ეკონომისტთა და არა მარტო ეკონომისტთა შორის. ის იყო დიდი სოციოლოგი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, დემოგრაფი, ლექსიკოგრაფი, პროგნოზისტი, შეუდარებელი პოლემისტი და ორატორი, იუმორის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი.

დავით კურტანიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

იგი დიდი პაატა იყო

პაატა გუგუშვილი ყველას მიმართ ობიექტური, პირდაპირი, პრინციპული იყო, შეუვალი და მებრძოლი პიროვნება, მისგან შორს იყო მლიქვნელური, მაამებლური, მორჩილი ადამიანის თვისებები.

მას შემოქმედებითი მოღვაწეობა ძირითადად კომუნისტური, ავტორიტარული რეჟიმის პირობებში უხდებოდა, როცა ყოველგვარი საკითხი, დაწყებული ეროვნულიდან, თუ სახელმწიფოებრივიდან და დამთავრებული ხელმძღვანელი კადრების შერჩევა-დანიშვნით ნებისმიერ რგოლში, პარტიის ცკ-ში წყდებოდა, პ. გუგუშვილის ყაიდის ხელმძღვანელი არც თუ სასურველად მიაჩნდათ, მაგრამ იგნორირებას ვერ უკეთებდნენ მას, როგორც დიდ მეცნიერს და ორგანიზატორს. აკადემიკოს პაატა გუგუშვილს ხშირად უხდებოდა ევფემიზმისა და ორაზროვანი გამოთქმების გამოყენება მათთან ურთიერთობის აუცილებლობის გამო. მისი ცხოვრება მდინარეს ჰგავდა, რომელიც შეიძლება შეაგუბო, მაგრამ ვერ შეაჩერებ.

დასასრული

ავთანდილ გუნია

ვლადიმერ პაპავა

გიორგი წერეთელი

რამაზ აბესაძე

ლინა დათუნაშვილი თინათინ ჩხეიძე

სადისკუსიო დარბაზის სხდომა

სადისკუსიო დარბაზის სხდომა

დისერტაციის დაცვაზე

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის კაბინეტის გახსნა

ტერმინოლოგიის დამდგენი კომისიის შექმნა

ექსკურსიაზე

ს ა რ ჩ ე ვ ი

ინსტიტუტის დაარსების 65-ე და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადების 105-ე წლისთავის გამო	**4**
ზოგიერთი შტრიხი პაატა გუგუშვილის შემოქმედებაზე	**12**
ავთანდილ სულაბერიძე, ციცინო გვრიტიშვილი, ვლადიმერ სულაბერიძე – ოჯახის სოციოლოგიის საკითხები პაატა გუგუშვილის ნასრომებში	**12**
მოგონებები აკადემიკოს პაატა გუგუშვილზე	**18**
ლეო ჩიქავა – პაატა გუგუშვილი – ქართული ეკონომიკური მეცნიერების ჭეშმარიტი რაინდი	**18**
ელგუჯა მექვაბიშვილი – ბუმბერაზი მეცნიერი, ეროვნული მოღვაწე, მზრუნველი პიროვნება	**21**
მიხეილ ჯიბუტი – პაატა გუგუშვილის ნაშრომის "კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში" – სათაურის წარმოშობის გამო	**23**
იაშა მესხია – პირველი შეხვედრა აკადემიკოს პაატა გუგუშვილთან	**25**
როზეტა ასათიანი – ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის თვალსაჩინო მკვლევარი	**27**
იზოლდა აბაშიძე – უკვდავია მისი სახელი	**29**
ნანული არევაძე – მისი სახელი თაობებს გადაეცემა	**36**
რევაზ გოგოხია – დიდი მეცნიერი და ერისკაცი	**38**
რევაზ ჯავახიშვილი – ბრწყინვალე რედაქტორი და გამომცემელი	**42**
როლანდ სარჩიმელია – აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დამაკვალიანებელი მიდგომა მეცნიერ მუშაკის ახალი სამეცნიერო პრობლემით დასაინტერესებლად	**46**
ცნობილ მეცნიერთა შეხედულებები აკადემიკოს პაატა გუგუშვილზე	**48**
დანართი	**64**

C O N T E N T S

65-TH ANNIVERSARY OF THE FOUNDATION OF THE INSTITUTE AND THE 105-TH ANNIVERSARY OF ACADEMICIAN PAATA GUGUSHVILI	**4**
SOME TRAITS ON THE ACTIVITY OF PAATA GUGUSHVILI	**12**
Avtandil Sulaberidze, Tsitsino Gvritishvili, Vladimer Sulaberidze – The Issues of Sociology of Family in Paata Gugushvili's Works	**12**
MEMORIES ABOUT ACADEMICIAN PAATA GUGUSHVILI	**18**
Leo Chikhava – Paata Gugushvili – True Knight of Georgian Economic Science	**18**
Elguja Mekvabishvili – A Great Scientist, National Figure, Careful Person	**21**
Michail Jibuti – On the Origin of the Title of Academican Paata Gugushvili's Work "Formation and Development of Capitalism in Georgia and TransCaucasia"	**23**
Iasha Meskhia – First Meeting with Academician Paata Gugushvili	**25**
Rosetta Asatiani – A Well-known researcher of Georgian Material and Spiritual Culture	**27**
Isolda Abashidze – His Name is Immortal	**29**
Nanuli Arevadze – His Name Shall Live in Generations	**36**
Revaz Gogokhia – A Great Scientist and Patriot	**38**
Revaz Javakhishvili – Bright Editor and Publisher	**42**
Roland Sarchimelia– An Advisable Approach of Academician Paata Gugushvili for a Scientific Worker to get Interested in a New Scientific Problem	**46**
OPINIONS OF FAMOUS SCIENTISTS ON ACADEMICIAN PAATA GUGUSHVILI	**48**
ANNEX	**64**

ჟურნალი **“ეკონომისტი”**

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 996646; 932804; 899 970103.
E-mail: economisti1@rambler.ru

Journal **“Economisti”**

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 996646; 893 314628.
E-mail: economisti1@rambler.ru

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

გამომცემლობის რედაქტორი **სესილი ხანჯალაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics

Editor of Publishing House **Sesili Khandjaladze**